წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური.

— პრიმა-დე-რივერა გადადგომას აპირებს.

— რუმინეთ - პოლონეთის მთავრობები უარყოფენ მათ შორის საიდუმლო ხელშეკრულების არსებობას.

— ბულგარეთში გრძელდება კომუნისტების დევნა.

— ერიომ თავი დაანება ლიონის ქალაქის თავობას.

— პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯამაგირი არ მიუმატოს სახელმწიფო მოხელეებს.

პარასკევი, 10 სექტემბერი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 206 (1751)

სრულიად საკავშირო აღწერის მოლოდინში

საკავშირო მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წლის დეკემბერში ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში უნდა ჩატარდეს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ამ საქმისათვის საბჭოთა კავშირის ფარგლებში გადადებულია 12 ½ მილიონი მანეთი. ჩვენს პირობებში, როცა სასტიკი დაზოგვის კამპანია სწარმოებს და თითეული კაპეიკი ანგარიშზეა აღებული, აღწერისათვის ასეთი საგრძნობი თანხის გაღება ნათლად მოწმობს თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ხელისუფლება ამ საქმეს.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერას აქვს უაღრესი მეცნიერული ხასიათის მნიშვნელობა, ის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობისათვის და სწრაფი განვითარების გზაზე მდგომ საბჭოთა აღმშენებლობის სისწორით წარმართვისათვის.

აღწერამდე ძალიან ცოტა დრო დაგვრჩენია. ამ ხნის განმავლობაში უნდა ვეცადოთ მთელი წინასწარი მუშაობა ჯეროვანად მოვაგვაროთ. აღწერის წარმატებით დასრულება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად და უნაკლოთ ჩავატარებთ წინასწარ სამზადისს.

აქ ჩვენს წინაშე ისმება მთელი რიგი საკითხები. პირველყოვლისა საჭიროა აღმწერელთა სათანადო კადრის გამოყოფა და მისი შესაფერისად მომზადება-დანაწილება. გარდა ამისა დასახლებული ადგილები აქედანვე უნდა იქნან გარკვევით დანაწილებული საქალაქო და სასოფლო პუნქტებათ. აღწერის დაწყებისას ადგილი არ უნდა დაურჩეს დავას იმის შესახებ: ქალაქს ეკუთვნის ესა თუ ის დასახლებული პუნქტი, თუ სოფელს. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღწერის უმტკივნეულოდ ჩატარებისათვის მოსახლეობის მისდამი დამოკიდებულებას. ამასთან ერთად აღმწერელი ორგანოები დანიშნულ დროისათვის ორგანიზაციულად და ტეხნიკურად მზად უნდა იყვენ აღწერისათვის. ყოველგვარი საჭირო მოწყობილობანი ხელთ უნდა ექნათ მათ.

ყველა ეს წვრილმანი და სხვილმანი საკითხები სამი თვის განმავლობაში არც ისე ადვილი მოსაგვარებელია. ამიტომ საჭიროა სამზადისს აქედანვე შეუდგეთ და რაც შეიძლება გაცხოველებული მუშაობა ვაწარმოოთ ორგანიზაციულ მხარის მოსაწესრიგებლად.

თავისთავად ცხადია, რომ აღმწერთა საკმაო რიცხვს ჩვენ ვერ შევაგროვებთ თავისუფალ ინტელიგენტურ მუშა-ხელიდან. აქ დროებით უთუოდ შეგვიხდება აღწერისადმი სახელ-ფო აპარატის მიშველება. საბჭოთა დაწესებულებები სოფლად თუ ქალაქად დღეიდანვე უნდა შეუდგენ იმ თანამშრომელთა გამოყოფას, რომლებიც მათ მიმდინარე მუშაობის შეუფერხებლად შეუძლიათ მიახმარონ აღწერის ჩამტარებელ აპარატს.

გარდა ამისა ჩვენმა ადგილობრივ ორგანოებმა უნდა გააჩაღონ მოსახლეობაში ფართო აგიტაცია-პროპაგანდა აღწერის მნიშვნელობის შესახებ. გამოცდილებით ვიცით, რომ მოსახლეობა ხშირად უნდობლობით ხვდება ყოველგვარ სტატისტიკურ აღწერას, რა მიზნითაც არ უნდა სწარმოებდეს ის. ამგვარი ცრუმორწმუნეობა და სტატისტიკისადმი შიში საუკუნოებით ითესება მოსახლეობაში, რომელმაც ძველი წყობილების დროს არ იცოდა აღწერა გარდა საგადასახადო ხასიათის აღწერებისა.

ჩვენ უნდა შევძლოთ სხვა ცრუმორწმუნეობასთან ერთად სტატისტიკის ირგვლივ შექმნილ ცრუმორწმუნოების დაძლევაც. საბჭოთა სტატისტიკა ყოველთვის ისახავს მიზნად სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სწავლა-განათლების გავრცელების გზით მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენს სინამდვილეში, როცა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების მთავარი სადავეები სახელმწიფოს ხელშია, როცა გეგმიანი მუშაობა სოციალისტურ აღმშენებლობის მთავარ პირობათაა მიჩნეული, სწორედ დაყენებულ სტატისტიკას უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო ჩვენ დღემდი საშუალება არ გვქონდა საყოველთაო აღწერები მოგვეხდინა. ის ცნობები, რომელნიც ჩვენს განკარგულებაშია ამხანად, ქვეყნის ეკონომიურ, დემოგრაფიულ, კულტურულ და სხვა დარგთა ცხოვრების შესახებ, ბევრ შემთხვევაში მოძველებულია და სინამდვილეს დაახლოვებით თუ გამოხატავენ. ამრიგად ბევრგან ჩვენ გვიხდება სტატისტიკის ვარაუდზე აშენება. ამიტომაა, რომ ჩვენს დღევანდელ მოხსენებებში თუ წერილობით ნარკვევებში იქ, სადაც საქმე ციფრებზე მიდგება, ხშირად წააწყდებით სიტყვებს: „თითქმის“, „დაახლოებით“, „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით“ და სხვა.

ცხადია ასეთი „სტატისტიკით“ სწორ გეგმიან მუშაობაზე ლაპარაკი მეტად ძნელია. ამიტომ მოსახლეობის მომავალ საყოველთაო აღწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მართალია ეს აღწერა ნაწილობრივია, ის არ ეხება მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას, კულტურულ - განმანათლებელ მუშაობას და სხვა, მაგრამ ის მაინც უაღრესად შეამსუბუქებს საბჭოთა გეგმიან აღმშენებლობის წინსვლას.

აღწერა მიზნად ისახავს: მოსახლეობის საერთო რიცხვის, ეროვნულ, სქესობრივ შემადგენლობის, მოქალაქეობრივ მდგომარეობის, პროფესიულობის და სხვათა გამორკვევას.

ეს არის პირველი საყოველთაო აღწერა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს მთელი კავშირის ფარგლებით. მის წარმატებით ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, სოფლისა და ქალაქის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხები.

ამიტომ ამ აღწერისაკენ უნდა მიპყრობილ იქნას ხელისუფლების, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების და მოსახლეობის განსაკუთრებული ყურადღება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დრო ბევრი აღარ დაგვრჩენია. სამზადისს დღეიდანვე უნდა შევუდგეთ. წინასწარი მუშაობის ჩატარება გადასწყვეტს აღწერის ბედს.

მოსახლეობის თავისუფალ თანხების გამოყენება

სახელმწიფოს ფინანსიურ სიძლიერისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მის ხელში თვით მოსახლეობის თავისუფალ თანხების თავმოყრას ანაბარების და შინაური სესხების სახით. ამ თანხების დროებითი გამოყენება სახელმწიფოს უადვილებს სამეურნეო აღმშენებლობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ფულის მასსის მოძრაობის მოწესრიგებას.

ამ მხრივ კერძოდ თვალსაჩინო როლის შესრულება შეუძლიათ სახელმწიფო შემნახველ სალაროებს. ძველად ასეთი სალაროებით მოფენილი იყო ქვეყანა; ასეთები არსებობდენ საფოსტო განყოფილებებსა და წვრილი კრედიტის დაწესებულებებთან. მოსახლეობას მათში შეჰქონდა „შავი დღისათვის“ თუ რაიმე საჭიროებისათვის შემონახული ფულები. ეს ანაბარები საკმაოდ მნიშვნელოვან კაპიტალს შეადგენდენ, რომელსაც მეფის მთავრობა, ცხადია, ხმარობდა არა ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ იმპერიალისტური მიზნებისათვის და თვითმპყრობელურ რეჟიმის გასამაგრებლად.

ომისა და რევოლიუციის პირველ პერიოდში შემნახველობის საქმე ძირფესვიანად მოიშალა. მხოლოდ ბოლო წლებში, როცა საბჭოთა წყობილება საბოლოოდ განმტკიცდა, როცა ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მკვიდრი შეიქნა, სახელმწიფო შემნახველი სალაროებიც თანდათან უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ჩვენ ფინანსიურ ღონისძიებათა სისტემაში.

შემნახველ სალაროების როლი მოსახლეობის თავისუფალ თანხების მობილიზაციაში შემდეგისათვის გაცილებით უფრო მეტად უნდა გაიზარდოს. ამას პირველ ყოვლისა ხელს უწყობს მშრომელ მასსის ნივთიერი მოღონიერება.

მაგრამ თავის თავად არაფერი მოხდება. საჭიროა შემნახველ სალაროების პოპულიარიზაცია, მათი დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანიის წარმოება და შესაფერ ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღება.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ შემნახველ სალაროებში ხალხის მიერ მიბარებულ თანხებს მუშურ-გლეხური სახელმწიფო, თავის თავად ცხადია, იყენებს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ქვეყნის სამეურნეო აღორძინების და მასსების კეთილდღეობის აწევის მიზნით. მაშასადამე, მუშებისა და გლეხების მიერ თავისუფალ თანხების შეტანა შემნახველ სალაროებში დღეს მათი მხრივ ერთგვარი საზოგადოებრივი მოვალეობაა თავიანთი სახელმწიფოს წინაშე, მოვალეობის, რომლის შესრულება ხელს უწყობს მშრომელთა დიქტატურის ეკონომიურ საფუძვლების განმტკიცებას, სოციალისტურ მშენებლობას.

შემდეგ: მშრომელი მასსა სავსებით უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ შემნახველ სალაროებში შეტანილი ფულები უზრუნველყოფილია ყოველი ხიფათისაგან და მას დაუბრკოლებლად უკან მიიღებს, როცა საჭიროდ დაინახავს.

მაგრამ კითხვა ისმება: რა მნიშვნელობა აქვს თვით მოსახლეობისათვის შემნახველ სალაროებში ფულის მიბარებას? საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ხალხი ისე გადაეჩვია შემნახველ სალაროებს, რომ ამის განმარტება აუცილებლად საჭიროა სათანადო კამპანიის ჩატარების დროს.

მოსახლეობისათვის ანაბარების შეტანას შემნახველ სალაროებში გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ სახელმწიფოსათვის. ჩვენ ვსთქვით, რომ ხალხი ამ ბოლო წლებში ნივთიერად საკმაოდ გაიმართა წელში. მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია და, ეჭვს გარეშეა, რომ თავის ხელფასის რამოდენიმე პროცენტს ისინი ხშირად ინარჩუნებენ რაიმე მოულოდნელი შემთხვევისათვის, ან საჭირო ნივთის შესაძენად. ეს უფრო ითქმის გლეხობაზე, რომელიც თავის მომაგრებულ მეურნეობის შემოსავლის ნაწილს ზანდუკში სდებს ოჯახის კეთილმოწყობისა, მეურნეობის შემდგომი აღდგენისა და „შავი დღის“ საჭიროებებისათვის.

მაგრამ დღემდე ეს შემონახვა არ არის მკვიდრი, რამდენადაც თავისუფალ ფულს მასსა მეტ წილად შინ ინახავს და არა შემნახველ სალაროებში აბარებს. შინ დაგროვებული ფული მის პატრონს სულ ადვილად შეიძლება შემოეხარჯოს ტყუილ-უბრალოდ, ან არა იმ მიზნებისათვის, რომლებისათვის ის დანიშნულია. ეს კი აცილებული იქნება, თუ თავის თავისუფალ თანხას ის შეიტანს შემნახველ სალაროში. ყოველ წვრილმან, ხშირად უსარგებლო ხარჯების გასაწევად, გლეხი თუ მუშა სალაროდან ფულს არ გამოიტანს, რადგან მას ამისგან შეაჩერებს ის შეგნება, რომ ფული უფრო საჭირო დანიშნულებისათვის გადასდვა და მიაბარა სალაროში. ამგვარად, მისი ანაბარი შემთხვევით მოხმარებას გადარჩება. ეს კი ხელს შეუწყობს გლეხის მომჭირნეობას, ყაირათიანობას, შეაჩვევს მას თადარიგის დაჭერას, საოჯახო-საბიუჯეტო დისციპლინას, რაც დღემდე ძალზე მოისუსტებს. შემნახველ სალაროებში ფულის მიბარება ერთი საუკეთესო საშუალებაა ყოფა-ცხოვრებაში დოვლათის დაგროვებისათვის.

ეს ცოტაა: გარდა ამისა, რომ გლეხი თუ მუშა-მოსამსახურე თავის თავისუფალ თანხებს, როცა ის შინ ექნება, ძალიან ხშირად, როგორც ვსთქვით, ტყუილ-უბრალოდ ხარჯავს, ამავე დროს არაფერს იღებს აქედან, მისი ფული უქმადაა გაჩერებული და არ მატულობს. სულ სხვა საქმეა შემნახველ სალაროებში ფულის მიბარება. აქ მაში საგრძნობ პროცენტებს აძლევენ თუ ფული შეჰქვთ პირველ მოთხოვნამდე, ღებულობენ 8 პროცენტს, სამიდან ექვს თვემდე —8½ პროც., 6 თვიდან ერთ წლამდე—9 პროც. როგორც ვხედავთ, ეს საკმაო მოგებაა და ამნაირად ფულის მიბარება შემნახველ სალაროში უეჭველად სასარგებლოა.

ბოლო ხანებში შემნახველ სალაროების ასეთი მნიშვნელობა თანდათან იკაფავს გზას მშრომელ მასის შეგნებაში, რასაც მოწმობს ამ სალაროების ზრდა. პირველ ივლისისათვის ამიერ-კავკასიაში არსებობდა სხვადასხვა ტიპის 419 სახელმწიფო შემნახველი სალარო, ანაბარების შემტანთა რიცხვი უდრიდა 12.260-ს, ხოლო ანაბარების რაოდენობა—1.072.050 მან. ამ წლის სამი მეოთხედის განმავლობაში შემნახველ სალაროების რაოდენობა გაიზარდა 72 პროცენტით, ანაბარების შემტანთა რიცხვი—80 პროც., ხოლო ანაბარების—209 პროცენტით. მიღწევები უეჭველად საგრძნობია.

მაგრამ ამით დაკმაყოფილება ოდნავადაც არ შეიძლება. საჭიროა მოსახლეობის გაცილებით უფრო მეტი მასის და უფრო მეტი თავისუფალ თანხების მოზიდვა შემნახველ სალაროებში. ამ მხრივ მუშაობა უნდა ვაწარმოოთ როგორც მუშა - მოსამსახურეებში, ისე გლეხობაში. კერძოდ უკანასკნელის მონაწილეობა სალაროებში სრულიად უმნიშვნელოა, მაშინ, როცა მას საამისოდ თვალსაჩინო შესაძლებლობა გააჩნია. შემნახველ სალაროების გაძლიერება მშრომელ მოსახლეობის თავისუფალ თანხებით სავსებით მოსახერხებელია, თუ ამ საქმეს შესაფერისად მივუდგებით.

მ. ლ—ძე.

სისხლისმღვრელი შეტაკებები ინგლისელებს და ჩინელებს შორის

განმეორებით იტყობინებიან, რომ კანტონის არმიამ ხან-კოუ აიღო

გრძელდება მოლაპარაკება მემაღაროეთა და ნახშირის მრეწველთა შორის

ევროპის პრესა ესალმება გერმანიის ერთხმად მიღებას ერთა ლიგის წევრად

ინგლისელები ჩინეთში

შეტაკება ინგლისელებთან

ლონდონი, 8 სექტემბ. რეიტერის სააგენტო პეკინიდან იუწყება: „მდინარე იან-ცე-კიანგზე ჩინელებთან სროლის დროს, მოკლულ იქნა ინგლისის ორი საზღვაო ოფიცერი და დაიჭრა მრავალი გემ „კიავო“-ს უფროსთა შემადგენლობიდან.

ნაღმოსან „ვიძონ“ და გემმა „კიავო“ გააქციეს ხუთი ოფიცერი, რომელნიც ჩინელების მიერ იყვენ დაპატიმრებული. მეექვსე ოფიცერი კი, როგორც ხმები დადის, დახვრეტილ იქნა ჩინელების მიერ მაშინ, როცა მან სცადა ცურვით მიეღწია საფრანგეთის გემამდი.

ორივე ხომალდი, რომლის მოსამსახურეები ჩინელებისაგან შესდგება, ჯერჯერობით გენერალ იანსენის ხელშია.

ინგლისის დამარცხება

ტოკიო, 9 სექტემბ. **იაპონიის პრესა სიხარულს გამოსთქვამს მდინარე იანცე-კიანგის აუზში ინგლისელების დამარცხების გამო, ამავე დროს პრესას რამოდენიმეთ ეშინია კანტონის ჯარების გამარჯვების.**

იაპონიის საქმიანი წრეები ფიქრობენ, რომ თუ მდინ. იან-ცე-კიანგის აუზი გადავიდა კანტონის ხელისუფლების განკარგულებაში — მაშინ ანტი იაპონური მოძრაობა, როგორც ამ რაიონში, ისე შანხაიში, შეწყდება. საერთო აზრი ასეთია, რომ **კანტონის ჯარის გამარჯვებას მდ. იან-ცე-კიანგის აუზში ჩინეთისათვის ექნება პოლიტიკურ, საერთაშორისო, და სოციალურ დარგში თითქმის 1911 წლის რევოლიუციაზე მეტი მნიშვნელობა.**

ლიბერალური ორგანო „ტოკიო ასახი“ აფთხილებს ინგლისს არ ჩაერიოს ჩინეთის საქმეებში, რადგან ინგლისის საუკეთესო პოლიტიკა იქნება, თუ ის გვერდზე დადგება და ჩინეთის საქმეებს კი თვით ჩინეთს მიანდობს. პრესა არავითარ შენიშვნებს არ უკეთებს აღ. ჩინეთის რკინისგზაზე მომხდარ ამბებს.

ხან-კოუს დაკავება

პარიზი, 9 სექტემბერი. **კანტონის ჯარებმა დაიჭირეს ხან-კოუ, უ-ჩანგი და არსენალი ხან-იანგში.**

ინგლისელებმა ხან-კოუში გაგზავნეს ადმირალი ხავკინსი.

ტყვე ოფიცრები

ლონდონი, 9 სექტემბერი. იუწყებიან ახალ დაწვრილებით ცნობებს საზღვაო ოპერაციის შესახებ იან-ცზეს სათავეში. ამ სამხედრო ოპერაციის დროს დაიღუპა 5 ოფიცერი და 12 მეზღვაური. უძნელესი ოპერაცია შესრულებულ იქნა დიდი წარმატებით. რაზმის ოპერაციის მიზანი იყო ბრიტანეთის სავაჭრო გემების ვან-შენის და ვან-ტუნის განთავისუფლება, რომელნიც ხელში ჩაიგდეს ჩინელებმა და აგრეთვე ექვსი ოფიცრის განთავისუფლება. ყოველგვარი ცდა მოლაპარაკების შესახებ უშედეგოთ დათავდა. **ნაპირებიდან ჩინელებმა ინგლისის საზღვაო რაზმს ზარბაზნები და თოფები დაუშინეს.** ჩინელების გემებზე იყო სამასი ჩინელი ჯარისკაცი. ინგლისელმა მეზღვაურებმა გადასწყვიტეს არ დაუტოვონ ჩინელებს ხელში ექვსი ოფიცერი, ამიტომ იერიში მიიტანეს გემებზე და გაანთავისუფლეს ტყვეები.

მდგომარეობა ხანკოუში

ბერლინი, 9 სექტემბერი. **უ-პეი-ფუ დაბანაკდა ხანკოუდან ჩრდილოეთით 60 კილომეტრის დაშორებით. მისი არმია შემცირდა 10.000 კაცამდე.**

„ტაიმსი“ იუწყება, რომ კანტონის მთავრობამ საიდუმლო ხელშეკრულება დასდო შანხაისთან. ეს ხელშეკრულება ნეიტრალურად აცხადებს სუნ-შუნგფანგს.

მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო, ბრიტანეთის კრეისერი „დურბანი“, რომელიც ინგლისში მიდიოდა, შეაჩერეს სინგაპურში. ინდოეთში მიმავალმა ინგლისურმა პოლკმაც მიიღო ბრძანება გაჩერდეს ხანკოუში. ფიქრობენ, რომ კანტონის არმიამ ხანკოუზე იერიშის მიტანის დროს დაკარგა 20.000 კაცი.

ტრედ-იუნიონების კონგრესი

ახალი კონფერენცია

ბორნემუტი, 8 სექტემბ. 7 სექტემბერს, ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს წევრის მარგარიტა ბონფილდის თავმჯდომარეობით **გაიხსნა ქალთა პროფესიონალური კავშირების ყოველწლიური პირველი კონფერენცია.**

კომუნისტების წინადადება

პარიზი, 9 სექტემბერი. ტრედიუნიონების კონგრესმა უარყო კომუნისტების წინადადება ახალ გაფიცვათა უზრუნველსაყოფად გენერალურ საბჭოს უფლებათა გაფართოების შესახებ. წინადადება უარყოფილ იქნა 3.202.000 ხმით წინააღმდეგ 248.000 ხმისა.

ერიოს გადადგომა

პარიზი, 8 სექტემბერი. ლიონის ქალაქის საბჭომ 30 სოციალისტის ხმის უმრავლესობით 25 რადიკალისა და ერთი სოციალისტის წინააღმდეგ დაადგინა: **გაანთავისუფლოს ერიო ლიონის ქალაქის თავის თანამდებობიდან.** მისი შესვლის გამო პუანკარეს კაბინეტში, და გადასცენ ქალაქის თავის თანამდებობა სოციალისტს.

შვეციის პროფკავშირები

სტოკჰოლმი, 8 სექტემბ. 5 სექტემბერს დამთავრებულმა შვეციის გაერთიანებულ პროფკავშირების კონგრესმა გაილაშქრა პროფკავშირების ნაციონალურ მასშტაბით გაერთიანების წინააღმდეგ ამ საკითხის საერთაშორისო მასშტაბით გადაწყვეტამდე და აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალის შესაფერ დადგენილებათა წინააღმდეგაც.

ინგლისის მაღაროს მუშების დახმარების საკითხი, კონგრესს არ განუხილავს.

მემაღაროების პოზიცია

მემაღაროების პოზიცია

ლონდონი, 8 სექტემბ. მემაღაროეთა ბელადებისა და სანახშირო კომისიის გუშინდელი კრების შესახებ ოფიციალური ცნობა ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული. როგორც მთავრობის წრეებში ფიქრობენ, ჩერჩილის მიზანი არის მოაწყოს კონფერენცია, სადაც სამივე მხარე მიიღებს მონაწილეობას. ჩერჩილს გამარჯვების იმედი აქვს და სურს გამოარკვიოს მემაღაროებთან მოლაპარაკების დროს მათი პოზიციის დეტალები სამუშაო ხელფასის საკითხში და სამუშაო საათების შესახებ. **ოფიციალური ცნობის მიხედვით, მემაღაროეთა ბელადები ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას სამუშაო საათების გადიდებაში, მაგრამ მზად არიან ნაბიჯი გადასდგან დავის გადასაჭრელად ნაციონალურ ფარგლებში.** მთავრობის წრეებს იმედი აქვთ, რომ მომავალ კვირაში მოიწვევენ კონფერენციას, რომელსაც დაესწრება სამივე მხარე.

„დეილი მეილის“ პოლიტიკური კორესპონდენტი ფიქრობს, რომ „სამთა მხარის“ კონფერენცია შესდგება სამშაბათს.

ლონდონი, 9 სექტემბერი. მემაღაროეთა აღმასკომმა ჩერჩილს განუცხადა, რომ მემაღაროენი მზად არიან მსხვერპლი გაიღონ ხელფასის საკითხში, თუ საერთო ტარიფის მინიმუმი მტკიცედ იქნება განსაზღვრული.

წინანდელ პოზიციებისაკენ

ლონდონი, 9 სექტემბერი. სანახშირო ასოციაციის თავმჯდომარისადმი—ევან უილიამისადმი მიმართულ წერილში, ჩერჩილი აღნიშნავს, რომ მთავრობის აზრით, ის „მიდის უკეთესი და მოკლე გზით, რომელიც შეიძლება გამოიძებნოს დასახული მიზნის—ხანგრძლივი დროით საქმიან და ნამდვილ შეთანხმების მისაღწევად“.

„ჩვენ არ შეგვიძლია—სწერს ჩერჩილი—დაუშვათ დაგიანება და საქმის გაჭიანურება. 1.700.000 ოჯახი იტანჯება ამ კონფლიქტის გამო და ელიან ყოველკვირეულ შემოსავლის დაბრუნების შესაძლებლობას.“

ჩერჩილი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული მემაღაროებისა, მაღაროს მეპატრონეებისა და მთავრობის წარმომადგენლების კონფერენცია ძირითად პრინციპებისა, და პრაქტიკულ ზომების გამოსამუშავებლად მუშაობის სწრაფად და საყოველთაოდ განახლების მიზნით. ჩერჩილის მიერ წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს ნაციონალურ მასშტაბით შეთანხმების საფუძველზე საერთო პრინციპების ჩამოყალიბებას; რაიონულ შეთანხმებებს ამ პრინციპების და მიხედვით, ხოლო, ამასთან ერთად, სამუშაო დროისა და სამუშაო ხელფასის საკითხები უნდა გადაწყვეტილ იქნენ რაიონობლივ; რაიონულ შეთანხმებებისდამიხედვით დაუყოვნებლივ მუშაობის აღდგენას და სხ.

საყოველთაო აზრით, ეს გეგმა მიღებული ყოფილა კაბინეტის სანახშირო კომისიის მიერ მაღაროს მეპატრონეთა ლიდერებთან ერთად ორშაბათის ღამის სხდომაზე, და მემაღაროეთა ლიდერებიც თანახმა ყოფილან ამ გეგმისა, როგორც მისაღები ბაზისა მოლაპარაკების აღსადგენათ.

სანახშირო ასოციაციას ამაზე ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ოფიციალურად, მაგრამ მაღაროს მეპატრონეები ამ წინადადების წინააღმდეგ წასულან, და მოითხოვდენ, რომ ნაციონალური მასშტაბით შეთანხმება შეიცვალოს შეთანხმებით რაიონებისდამიხედვით და რომ ვეტოს უფლება არ უნდა მიეცეს ნაციონალურ ორგანიზაციებს.

აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ ჩერჩილის წერილში წამოყენებული წინადადებები ძირიან სანახშირო კომისიის მოხსენებაში აღნიშნულ ხაზით, და სრულიად უდგებიან მაღაროს მეპატრონეების მიერ მარტში შემოტანილ წინადადებას. ამასთან დაკავშირებით, მთავრობა, რომელმაც წინასწარ დაიყოლია ამ პოლიტიკაზე მემაღაროები, სთხოვს მაღაროს მეპატრონეებს დაუბრუნდენ იმ პოზიციებს, რომელიც ეჭირათ მათ იმ მომენტამდე, სანამ თავისი თავი არ ჩასთვალეს წინანდელ გადაწყვეტილებებისაგან განთავისუფლებულათ.

შეთანხმების ფართო პრინციპები

ლონდონი, 9 სექტემბერი. 8 სექტემბერს ღამით შესდგა მთავრობის თათბირი მემაღაროეთა ბელადებთან, რომლებიც მთავრობის გამოწვევით სპეციალურად ჩამოვიდენ ბორნემუტიდან ლონდონში. ამ თათბირის შემდეგ მთავრობამ მაღაროს მეპატრონეთა კავშირს მიმართა წერილით, რომელშიაც წინადადებას იძლევა, რომ დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული მემაღაროეთა, მაღაროს მეპატრონეთა და მთავრობის წარმომადგენელთა კონფერენცია „შეთანხმების ფართო პრინციპის გამომუშავების“ მიზნით.

მთავრობა წინადადებას იძლევა: მხარეთა მიერ ზოგიერთი „მთელ ინგლისისათვის გამოსადეგი პრინციპების“ ცნობის შემდეგ, გაიხსნას სარაიონო მოლაპარაკებანი იმ მიზნით, რომ შეთანხმება იქნას მიღწეული სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დროის შესახებ. მუშაობა მაღაროებში უნდა განახლდეს დაუყოვნებლივ სარაიონო შეთანხმებათა დადების შემდეგ. სარაიონო შეთანხმება დასამტკიცებლად წარედგინება მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა ცენტრალურ ორგანოებს, და ამის შემდეგ შეთანხმება ამ საკითხების შესახებ დაიდება საერთო—ინგლისური მასშტაბით.

შენიშვნა: ამგვარად, მთავრობის წინადადება ითვალისწინებს, რომ შემდეგ, როცა მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა კონფერენციაზე გამომუშავებული იქნება „ფართო პრინციპები“, სარაიონო ორგანიზაციები დაიწყებენ მოლაპარაკებას სამუშაო ხელფასის რაოდენობისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ, ე. ი. სწორედ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც წინედ საერთო ინგლისური მასშტაბით სწყდებოდენ.

ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთები ფიქრობენ, რომ მთავრობის წინადადებანი დაადასტურეს მემაღაროეთა წარმომადგენლებმა მთავრობასთან თათბირზე და მიიჩნიეს იგი როგორც მისაღები საფუძველი მოლაპარაკების განახლებისათვის. მაღაროს მეპატრონეთა აზრი ჯერ კიდევ არაა გამორკვეული.

თავხედური გამოწვევა

(„პრავდა-“ს მოწინავე)

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ამას წინედ მომხდარი ამბავი პირველხარისხოვან საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობის ფაქტია. ყოველივე იმას, რაც ხდება ეხლა შორეულ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის „ინციდენტს“, რომელიც მოსალოდნელია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მმართველ რეაქციის შორის მწვავე კონფლიქტად გადაიქცეს, განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი მუშებმა და გლეხებმა. მერამდენმეჯერ სცდილობს სისხლიანი ჩან-ძო-ლინი თავხედურად გაილაშქროს საბჭოთა კავშირის მშრომელთა კანონიერ უფლებათა წინააღმდეგ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე? მერამდენეჯერ ხმარობენ ძალადობას ჩინეთის რეაქციის სამხედრო წრეები აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომუშავე საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების მიმართ? მერამდენმეჯერ თარეშობენ, „მბრძანებლობენ“ და ძარცვა-გლეჯას ეწევიან აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩან-ძო-ლინის დამქაშები, „გენერლების“ ტიტულით აღჭურვილი მუკდენელი ავაზაკები.

დახურულია აღმოსავლეთ - რკინის გზის სამოსწავლო განყოფილება. გატაცებულია მდინარის ფლოტილია—აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკუთრება, ხურავენ რკინის გზის დაწესებულებებს, სამსახურიდან ითხოვენ საბჭოთა მოსამსახურეებს; და ყოველივე ასეთ „რაინდულ ბრძოლის“ ოპერაციების შემდეგ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, „გენერლები“ იძლევიან თავისი უტიფრობით და სიცრუით უმაგალითო ინტერვიუს, რომელშიაც „განმარტავენ“, რომ საბჭოთა ქონება „თავის ნებით“ დანებდა ავაზაკებს ძარცვა-გლეჯისათვის. მდინარის ფლოტილია კი თვითონვე ჩაუვარდა პირში ჩან-ძო-ლინსო და სხვა ასეთ მოჩმახულ რამეებს.

ცხადია, რომ მანჯურიის ხელისუფალთა ბანდიტური „მოქმედებანი“ შეუძლებელს ხდიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ნორმალურ ურთიერთობას. ცხადია, რომ ჩან-ძო-ლინის აგენტების საქციელი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე არის საბჭოთა კავშირის მშრომელთა თავხედური გამოწვევა. ამიტომ, გამოხატავს რა მუშათა და გლეხთა ნებისყოფას, ჩვენმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა კატეგორიულ საპროტესტო ნოტით მიმართა ჩინეთის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე.

აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი უწესობების პასუხისმგებლობა სავსებით ეკისრება ჩან-ძო-ლინს, რომელმაც აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის შესახებ ხელშეკრულობა დასდო ჩვენთან და რომელიც ეხლა ფეხქვეშ სთელავს ამ ხელშეკრულობას. სავსებით ცხადია, რომ ჩან-ძო-ლინმა, რომელიც დამთვრალია ჩინეთის რეაქციის გამარჯვებით ჩრდილოეთში, ან არ იცის რას აკეთებს, ან სხვისი წაქეზებით, წასისიანებით სურს, რომ შეგნებულად გამოიწვიოს კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან და ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანობის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში.

ჩინეთის რევოლიუციის ჯალათი, მრავალ დამსჯელ ექსპედიციების გმირი, ჩინეთის კოლჩაკი, ჩინეთის კეისრად გახდომის პრეტენზიებით აღჭურვილი, ცრუ და გამყიდველი, რომელიც ყოველწუთში მზადაა უღალატოს თავის საკუთარ სიტყვას, რომელიც მარცხნივ და მარჯვნივ ვაჭრობს თავისი ხმალით, სულით, მათრახით, წვრილმან პოგრომებისა და თაღლითობის მისწრაფებით გატაცებული, რომელსაც გაღვივებული აქვს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება მოსახლეობის ძარცვის ხელოვნებასთან, რომელიც ყოველთვის მზადაა, რომ მუცელზე იხოხოს ლონდონისა და ტოკიოს ბირჟის რწმუნებულთა წინაშე, უცხოეთის კვარტალების ყურ-მოჭრილი მონა, მოძულე ჩინეთის ხალხისა და შეძულებული ჩინეთის ხალხის მიერ, მოსისხლე მტერი ყოველგვარ ეროვნულ - განმთავისუფლებელი მოძრაობისა,—ასე გამოიყურება ჩან-ძო-ლინი,—ჩინეთის რეაქციის ეხლანდელი მეთაური, საერთაშორისო იმპერიალიზმის დასაყრდენი და იმედი ჩინეთში, რომელმაც ბინძური და საშიში ავანტიურა დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე.

ჩან-ძო-ლინის ავანტიურა და ცდა მისი, რომ ხელში ჩაიგდოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა, ვერავითარ პოლიტიკურ გამართლებას ვერ ჰპოებს ჩინეთის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. პირიქით, ჩან-ძო-ლინის ავანტიურა მთლიანადაა მიმართული ამ ინტერესების წინააღმდეგ. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ პროვოკაციული მოქმედება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე გამოწვეულია ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს და ტოკიოს კაბინეტის პირდაპირი დირექტივებით. როგორი „მეგობრები“ არიან ესენი ჩინეთის ეროვნულ მოძრაობისა, ამაზე ლაპარაკი არ ღირს. თვით ჩან-ძო-ლინისთვისაც ბრიტანეთის ბანკნოტების ფურცვლა ათასჯერ უფრო ძვირფასია ჩინეთის ყოველგვარ ეროვნულ ინტერესებზე.

ჩან-ძო-ლინი ჩინეთისათვის არის ისეთი ფიგურა, რომელიც ჩინეთის ეროვნულ დამონების და არა მისი ეროვნული თავისუფლების სიმბოლოს გამოხატავს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზას, რომელიც საბჭოთა ვლადივასტოკს უმოკლესი მანძილით აერთებს საბჭოთა ციმბირთან და რომელიც აშენებულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა თანხებით, ამ რკინის გზის მართვა-გამგებლობა შერეულია (ჩინეთ-საბჭოთა) და ეს მმართველობა სწარმოებს ისეთ საფუძველზე, რომ საბჭოთა კავშირი სრულიად უარს ამბობს იმ მტაცებლურ პრივილეგიებზე, რომლითაც სარგებლობდა მეფის მთავრობა და რომლითაც დღემდე სარგებლობენ ჩინეთის სხვა გზებზე უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები—ჩან-ძო-ლინის მოკავშირენი და მფარველნი.

ყველა მიხვდება ჩან-ძო-ლინის სატრაპების ზრახვებს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, ზრახვებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან როგორც ჩინეთის ხალხის, ისე ჩვენი კავშირის მშრომელთა ინტერესებს.

ჩინეთის მშრომელი მასა ჯერ კიდევ ვერ გაასწორებს თავის ისტორიულ ანგარიშებს ჩან-ძო-ლინთან. საბჭოთა სახელმწიფოს, პროლეტარიული დიქტატურის ქვეყნის მუშურ - გლეხური მასსები დაუყოვნებლივ, ეხლავე წარუდგენენ თავიანთ ანგარიშს ჩან-ძო-ლინს.

ფრთხილად მიხვეულებში ბატონო „მარშალო“! გახსოვდეთ, რომ ისტორიაში წარმოსადგენია მაგალითები, როცა შეიძლება დახრჩობა მდინარის ფლოტილიითაც კი. საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს არ შეუძლიათ უსაზღვროდ ითმინონ ჩან-ძო-ლინის თარეში აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე; თუ ბატონ ჩან-ძო-ლინს აქვს განზრახვა, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე ჩხვლეტით გაზომოს საბჭოთა მოთმინების ფიალა, უნდა ვსთქვათ, რომ ეს მეტად გამოუსადეგარი ხერხია. გაცილებით უკეთესი იქნება თვით ჩან-ძო-ლინისათვის, თუ იგი ეხლავე, დაუყოვნებლივ, სანამ გვიან არაა, დააწყნარებს სათარეშოდ განმზადებულ მუკდენელ იანიჩარებს.

შორს ბანდიტური ხელები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზისაგან.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 9 სექტემბერი.

ერთა ლიგის სესიაზე

გერმანიის დელეგაცია

ლონდონი, 8 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, **ჰინდენბურგმა მიანდო შტრეზემანს, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს შუბერტს და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორს ჰაუსს ერთა ლიგის კრებას დაესწრონ გერმანიის დელეგატები. დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრება დღეს.**

გზა-ჯვარედინზე

პარიზი, 8 სექტემბერი. გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ „ტანი“ სწერს:

„დღეს ჩვენ ვიმყოფებით გზა-ჯვარედინზე და აქედან მივალთ ან ხანგრძლივ ზავთან ან ევროპის საბოლოო დაღუპვასთან. სიფრთხილე მოითხოვს არ მივსცეთ თავი ილიუზიებს და არ ველოდოთ ყველა ერების სასწაულებრივ შერიგებას.

იმ ფაქტიდან, რომ გერმანია დაშვებულია ერთა ლიგაში გამარჯვებულ სახელმწიფოებთან თანასწორ საფუძველზე, არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ წარსულის გაკვეთილები დავიწყებულ უნდა იქნეს. ვერაფერი ვერ წაშლის ომის მოგონებებს და ვერ მოსპობს მასზე პასუხისმგებლობას“.

პოლონეთის პრესის ტონი

ვარშავა, 8 სექტემბ. რამდენად ახლოვდება ხმის მიცემის დრო ერთა ლიგაში, იმდენათ პოლონეთის პრესის ტონი უფრო და უფრო პესიმისტური ხდება. გაზეთ „პოლონეთის კურიერის“ კორესპონდენტი იუწყება ჟენევიდან, რომ **პოლონეთის კონკურენტებს — ჩინეთსა და ჰოლანდიას, ერთა ლიგაში ნახევრად მუდმივ ადგილების მიღებაზე დიდი იმედები აქვთ.**

პარიზის პრესის აზრი

ბერლინი, 9 სექტემბერი. **პარიზის გაზეთების უმეტესობა ესალმება ერთა ლიგაში გერმანიის შესვლას.** ნაციონალისტური გაზეთები ამ ამბავს სკეპტიკურად ეკიდებიან და ფიქრობენ, რომ ვერსალის ხელშეკრულება ახლო მომავალში შეცვლილი იქნება.

მადრიდის გაზეთი „სოლ“ სწერს, რომ გერმანიის შესვლამ ერთა ლიგაში მრავალი დაბრკოლება შეუქმნა ესპანეთს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გაზეთი მაინც მიესალმება ამ ფაქტს, როგორც უდიდეს ფაქტორს ევროპაში მშვიდობიანობის დასაცავად.

გერმანია მიწვეულია პარასკევს სხდომაზე

ბერლინი, 9 სექტემბერი. გერმანიის დელეგატებს ერთა ლიგაში მიეცათ წინადადება დაიკავონ თავისი ადგილები სხდომის დარბაზში ჟენევაში პარასკევს დილით. ამის გამო მოელიან ნინჩიჩის მოკლე სიტყვას, რომელზედაც პასუხს გასცემს შტრეზემანი.

ლონდონის პრესა ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ

ლონდონი, 9 სექტემბერი. ლონდონის პრესა მიესალმება ერთა ლიგაში გერმანიის შესვლას, როგორც უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენას.

„ვესტმინსტერ გაზეტ“ სწერს: „ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს გერმანია-საფრანგეთის საზღვრების დაურღვევლობას ერთა ლიგის დახმარებით, აძლევს გერმანიას სრული მონაწილეობის მიღების უფლებას ევროპის სტაბილიზაციაში. ყოფილ კონფლიქტის და ეხლანდელი ნერვებდაჭიმულობის ერთი მიზეზთაგანი აღკვეთილია. უნდა განვლოს ცოტაოდენმა დრომ, რომ საფრანგეთმა შეიგნოს ის, რომ მისი აზროვნებიდან უნდა გაქრეს აზრი დამონების შესახებ. ფრანკმა უნდა მოიგოს ამ დიპლომატიური წონასწორობის დამყარებით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მალე მოიხსნება ოკუპაცია რეინლანდში, რაც უფრო დაუახლოვებს ერთი-მეორეს ამ ორ ერს“.

არ ჩქარობენ

ბერლინი, 9 სექტემბერი. ერთა ლიგის სხდომაზე რობერტ სესილმა გამოსთქვა მწუხარება იმ აუჩქარებლობაზე, როგორსაც ერები იჩენენ ლიგის დადგენილებათა რატიფიკაციის დროს. როგორც სესილმა აღნიშნა, ხაშხაშზე კონვენციას შარშან ხელი მოაწერა 34 სახელმწიფომ, მაგრამ დღემდე ეს კონვენცია დაუდასტურებია მხოლოდ 6 ერს.

შემდეგი ნაბიჯი

პარიზი, 9 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, კველცმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ერთა ლიგაში გერმანიის მიღება წამოადგენს გერმანიის საერთო პოლიტიკის უდიდეს მორალურ გამარჯვებას ომის შემდეგ. მოკავშირეთა საკონტროლო კომისია და ოკუპაცია ვერ უთავსდებიან გარანტიას, რომელიც მიეცა ერთა ლიგის საბჭოს წევრებს. გერმანიამ უნდა მიიღოს კოლონიზაცის საქმეში მონაწილეობის სრული უფლება.

კრიზისი პოლონეთში

გაფიცვის წინ

ვარშავა, 8 სექტემბ. ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ **პოლონეთი ახალი გაფიცვის საფრთხის წინ იმყოფება. ამჟამად შექმნილია კონფლიქტის მუქარა სახელმწიფო მოსამსახურეების, რკინისგზელების, ფეიქრების, მემაღაროების და მელითონეების მხრით.**

მემაღაროეთა გაფიცვის გამოცხადება გადადებულია 9 სექტემბრისათვის ლოძის ფეიქრები თხოულობენ ხელფასის 15 პროც. გადიდებას. **რკინისგზელები კატეგორიულად მოითხოვენ ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.** სამხედრო მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატება ყოველ დღიურად აძლიერებს სახელმწიფო მოსამსახურეთა სხვა კატეგორიების უკმაყოფილებას. მთავრობამ მოიწვია თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

კატეგორიული უარი

პარიზი, 9 სექტემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობით, მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა ჩინოვნიკების ჯამაგირის მომატებაზე.

პილსუდსკი

პარიზი, 9 სექტემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობით, **პილსუდსკი შვებულებაში წავიდა.**

საიდუმლო ხელშეკრულების გარშემო

პოლონეთის პრესის აზრი

ვარშავა, 8 ექტემბ. პოლონეთის პრესა ილაშქრებს უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ პოლონეთ - რუმინიას შორის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, **რომელიც დადებული იყო საფრანგეთის დახმარებით.**

რუმინეთის პროტესტი

პარიზი, 8 სექტემბ. რუმინიის დელეგაციამ ერთა ლიგის სესიაზე, მიანდო გავასის სააგენტოს უარჰყოს ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთმა, რუმინეთმა და პოლონეთმა დადვეს სამხედრო ხელშეკრულება, რომლის შინაარსი თითქოს საიდუმლოთ ინახება.

სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთსა და რუმინეთს შორის არსებობს მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, რომელიც გატარებულია რეგისტრაციაში ერთა ლიგის მიერ.

ისინი უარყოფენ

ვარშავა, 9 სექტემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობებით, ყველა ცნობები პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ ყალბია.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი

მოსკოვის საგუბერნიო პროფსაბჭოს მოხსენება ამხ. ტომსკის მოხსენების გამო

მოსკოვი, 9 სექტემბერი. მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა საგუბერნიო განყოფილებათა გამგეობებისა და საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების თანდასწრებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია **ტომსკის** მოხსენების გამო ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ:

მოსკოვის საგუბერ. პროფსაბჭ. გაფართოებულმა პლენუმმა საგუბერნიო განყოფილებათა გამგეობებისა და საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების თანდასწრებით მოისმინა ამხ. ტომსკის მოხსენება და აღნიშნავს, რომ ინგლისის მემაღაროეთა ბრძოლას და მის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ინგლისის პროლეტარიატისთვის, არამედ მთელი საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, რადგან მემაღაროეთა დამარცხება გამოიწვევს კაპიტალის გააფთრებულ შემოტევას ყველა ქვეყნების მუშათა კლასის წინააღმდეგ სამუშაო ხელფასის დაკლებისა და სამუშაო დღის გადიდების მიზნით. პლენუმი აღნიშნავს,—რომ იმ დროს, როცა ინგლისის მემაღაროები აწარმოებენ მამაცურ ბრძოლას და ყოველგვარ გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიან, იმ დროს—როცა ბურჟუაზიის შემოტევა თანდათან ძლიერდება, ამსტერდამისა და საწარმოო ინტერნაციონალების ბელადთა შტრეიკბრეხერული პოზიცია, მტკიცდება და ისინი ბურჟუაზიის გულის მოსაგებათ უარს აცხადებენ მემაღაროეთა დახმარებაზე—ამ დროს დახმარების საკითხი უდიდეს საკითხს უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციული პროლეტარიატისათვის.

ასეთ დროს ინგლისის დელეგაციამ ინგლის-რუსეთის კომიტეტში უარი განაცხადა განეხილა საკითხი მემაღაროეთა დახმარების შესახებ. პლენუმი სრულ სოლიდარობას უცხადებს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლების მოქმედებას ინგლის რუსეთის კომიტეტში და აგრეთვე მის წინადადებებს, მემაღაროეთა დასახმარებლად პრაქტიკული ზომების შესახებ.

პლენუმი საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებთან ერთად გადაჭრილად აცხადებს 1.200.000 პროფკავშირებში გაერთიანებულ მოსკოვის მუშა-მოსამსახურეების სახელით, რომ მას გულწრფელად სურს შეინარჩუნოს და განამტკიცოს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, როგორც ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა მასების პროლეტარული ორგანო კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად, მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის შესაქმნელად და ახალი იმპერიალისტური ომის მზადების ჩასაშლელად.

პლენუმი, იწონებს რა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მოწოდებას მემაღაროეთა სასარგებლოდ დახმარების გაძლიერების შესახებ, მიმართავს მოსკოვის საგუბერნიო კავშირების ყველა წევრებს წინადადებით გააძლიერონ დახმარება ყოველთვიურად თავის ხელფასიდან ერთპროცენტიანი ანარიცხების გადადებით ინგლისის მემაღაროეთა დაუძლეველ ბრძოლის გასამხნევებლად.

პლენუმი ამასთანავე ერთად სამარცხვინო ბეჭედს ასვამს ამსტერდამის ინტერნაციონალის მოქმედებას, რომელმაც ჭეშმარიტი პროლეტარული სოლიდარობის ნაცვლად სავახშო სესხი შესთავაზა გაფიცულებს. პლენუმი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მოსკოვის გუბერნიის მუშები და მოსამსახურეები ერთსულოვნად გამოეხმაურებიან მოწოდებას რეგულიარული დახმარების შესახებ და ამით ხელს შეუწყობენ მემაღაროეთა გამარჯვებას. გაუმარჯოს ინგლისის მემაღაროებს, გაუმარჯოს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობას“.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ვალები

ახალი სესხი

პარიზი, 8 სექტემბერი. საფრანგეთის მთავრობა ამზადებს სესხის გამოშვებას 3-4 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. სესხის უზრუნველსაყოფად დანიშნულია შემოსავალი საამორტიზაციო სალაროდან, თამბაქოს მონოპოლიიდან, მემკვიდრეობის გადასახადიდან და ფასეულობათა ხელიდან ხელში გადასვლის სპეციალური გადასახადიდან. თუ ეს საშუალებანი საკმარისათ არ აღმოჩნდა, საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი იქნება შესაფერი თანხა.

სამხედრო ვალები

პარიზი, 8 სექტემბერი. პარიზში ჩამოსულმა 25 ამერიკული გაზეთის მფლობელმა ხოურდიმ პუანკარესთან საუბრის შემდეგ განაცხადა:

„უნდა ვსთქვა, რომ **ამჟამად ევროპის სახელმწიფოების სამხედრო ვალების გაუქმება ან შემცირება შეუძლებელია.** ბეკერი (დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც ამას წინად მოითხოვა სამხედრო ვალების გაუქმება) არ გამოხატავს შეერთებული შტატების ოფიციალური წრეების აზრს, თუმცა არც ის არის მომხრე ვალების უბრალოდ გაუქმების. მისი აზრით ვალების გაუქმება უნდა დაუკავშირდეს საყოველთაო განიარაღების პროგრამას.

მუშათა ბრძოლა

საბოლოო გამარჯვებამდე

პარიზი, 8 სექტემბერი. დიურკირხენის დოკერებმა, რომელთაც გამოცხადებული აქვთ ლოკაუტი, ყრილობაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება იბრძოლონ ბოლომდე წამოყენებულ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად.

ქალაქში მოვიდა ქვეითა ჯარის ახალი რაზმები, მოლიან კავალერიასაც.

მწარმოებელთა ჯიუტობა

პარიზი, 8 სექტემბერი. შატო-რენოს ლითონის ქარხნების მწარმოებლები, რომელთაც დაჟინებით არ სურდათ ეცნოთ მელითონეთა უნიტარული კავშირები, ეხლა დათანხმდენ აწარმოონ მოლაპარაკება გაფიცულთა დელეგაციასთან.

პრიმა-დე-რივერას სამფლობელოში

დიქტატორი

პარიზი, 9 სექტემბერი. **მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს მაროკოდან ესპანეთში 12.000 ჯარის კაცის დაბრუნების შესახებ.**

„ნიუ-იორკ-ჰერალდი“ იუწყება, რომ ახლო მომავალში გადადგება პრიმა-დე-რივერა.

საალყო წესები

ლონდონი, 2 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, პრიმა-დე-რივერამ განაცხადა, რომ სრული წესრიგის აღდგენის გამო მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს საალყო მდგომარეობის მოხსნის შესახებ.

სესხი საფრანგეთს და ბელგიას

პარიზი, 8 სექტემბერი. **ინგლისის ფინანსისტების ჯგუფმა საფრანგეთს და ბელგიას ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი მიაწოდა თვითეულს ორი წლის ვადით.** ბელგიას სესხი მიეცემა პროცენტის გადაუხდელათ, საფრანგეთი კი — წლიურად 2 პროცენტს გადაიხდის.

სესხი იმ პირობით იქნება გაცემული, თუ საფრანგეთი და ბელგია უზრუნველყოფს მას ოქროს და სამრეწველო ღირებულებით, თუ ფინანსისტების ამ ჯგუფს ექნებათ მონოპოლია უცხოეთის ვალიუტაში შემდეგი სესხების მოსაწყობათ და მიღებულ იქნება ინგლისის ფინანსისტების ამ ჯგუფის მიერ წამოყენებული ფინანსიური სტაბილიზაციის გეგმა.

ბელგიის საქმიანი წრეები არ თანხმდებიან ამ პირობებზე, რადგან სესხის გასტუმრება ორი წლის განმავლობაში ფრიად გაძნელდება.

საკლატვალას დევნა

პარიზი, 9 სექტემბერი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, 1.520 მემაღაროე დაუბრუნდა თავის სამუშაოს ნოტინგამშირის, დერბიშირსა და კარდიფში.

მანჩესტერში ნახშირის მომმარაგებელმა კომისიამ გადასწყვიტა საზღვარგარეთ ნახშირის დაკვეთის შეწყვეტა.

გლამარგანში სამდივნომ აკრძალა მიტინგი, რომელზედაც მემაღაროების წინაშე უნდა გამოსულიყო **საკლატვალა.**

თეთრი ტერორის მსხვერპლი

ვენა, 8 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ბუქარესტიდან მიღებული ცნობების თანახმად, **ტკაჩენკო** მოკლულია გზაზედ ღამით 3 სექტემბერს, როცა ის წაიყვანეს კიშენიოვიდან ტატარბუნარის აჯანყების საქმეზე დაკითხვის მიზნით. რუმინეთის „ოხრანკა“ ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი და აცხადებს, რომ მძიმედ დაჭრილმა ტკაჩენკომ მოახერხა გაქცევა.

ბუქარესტის უნიტარული პროფკავშირების პლენარულმა კრებამ მიმართა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით სოლიდარობის შესახებ და აღნიშნავს, რომ „სიგურანცი“ (ოხრანკა) კიდევ ამზადებს მკვლელობათა ახალ გეგმებს.

ვენის გაზეთების რედაქციებმა და კულტურულმა მოღვაწეებმა მიმართეს რუმინეთის საელჩოს ვენაში ტკაჩენკოს ბედის შესახებ, მაგრამ მიიღეს არა სწორი და არეული პასუხი.

საბჭოთა კავშირი და ალჟეზირასის ხელშეკრულება

მოსკოვი, 9 სექტემბერი. როგორც ცნობილია, ესპანეთმა წინადადება მისცა ალჟეზირასის ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს, რომ მოწვეულ იქნას კონფერენცია, ამ ხელშეკრულებით დაწესებულ დებულებათა გადასასინჯავად და აგრეთვე ახალ შეთანხმებათა დასადებად.

ამასთან დაკავშირებით საკავშირო მთავრობის დავალებით საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციასა, ინგლისსა, იტალიასა და საფრანგეთში სათანადო მთავრობებს გადასცა ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მონაწილეობა ალჟეზირასის ხელშეკრულების დადებაში უფლებას აძლევს რუსეთს, რომ კონფერენციის სხვა მონაწილეებთან ერთად დაესწროს ამ ხელშეკრულების განხილვას და რომ ამ საფუძვლით საბჭოთა კავშირის მთავრობა იტოვებს უფლებას არ იცნოს ის გარდაწყვეტილებანი, რომლებიც მისი მონაწილეობის გარეშე იქნება მიღებული ამ საკითხის შესახებ.

კერძოდ საბჭოთა კავშირის მთავრობა მიაქცევს მათ ყურადღებას იმაზე, რომ თუ ეს კონფერენცია იქმნა მოწვეული, აუცილებელია მისი ადგილის შეთანხმება საბჭოთა მთავრობასთან.

შენიშვნა: 1906 წ. ალჟეზირასის ხელშეკრულებას, რომელიც დამყარებულია მაროკოს დამოუკიდებლობის ცნობაზე, ხელი მოაწერეს რუსეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, მაროკომ, შვეციამ, შეერთებულმა შტატებმა და აგრეთვე გერმანიამ და ავსტრო-უნგრეთმა, რომლებმაც მსოფლიო ომის შემდეგ უარი სთქვეს ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობიდან გამომდინარე ყველა უფლებებზე.

ნამდვილად კი ეს ხელშეკრულება ამტკიცებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენას მაროკოში. ბოლოს და ბოლოს 1912 წელში მაროკო გადაეცა საფრანგეთსა და ესპანეთს. ეს იცნეს სახელმწიფოებმა, მათ შორის რუსეთმაც; ასეთივე ბედი ეწვია ტანჟერს 1923 წელში. ტანჟერის მიმართ ახალი წესები იქნა დაფუძნებული ინგლის-საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება უნდა დაედასტურებიათ ყველა სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ალჟეზირასის ხელშეკრულებას. მაგრამ სამთა შეთანხმების მონაწილეებმა ასეთის მიწვევით არ მიმართეს საბჭოთა კავშირს. საბჭოთა მთავრობის ზემომოყვანილი ნოტა გაეგზავნა ალჟეზირასის ხელშეკრულების იმ მონაწილეთ, რომლებთანაც მას ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს.

ფრანგები რეინზე

პარიზი, 9 სექტემბერი. რეინზე, გენერალ გიიომის ხელმძღვანელობით ფრანგების მანევრები დაიწყო.

ბრიანმა განაცხადა, რომ რეინი ამჟამად საერთაშორისო მდინარეა, რომლის ორთავე მხარე დემილიტორიზაცია მოხდენილია 50 მეტრის სიღრმით და ერთა ლიგის დამცველობის ქვეშ იმყოფება.

კომუნისტების დევნა

პარიზი, 9 სექტემბერი. სოფიაში დატუსაღებულია აგრო-კომუნისტური სექციების 18 შეთქმული, რომლებიც მრავალ პროვინციალურ ქალაქებში აწარმოებდენ მუშაობას. **ამ ორგანიზაციამ გამოუშვა გაზეთი „წითელი დროშა“.** ჩხრეკა გრძელდება.

ღამის ცნობები

ბრიტანეთის მემაღაროეთა მადლობა

მოსკოვი, 9 სექტემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დღეს ინგლისიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„უკანასკნელად გამოგზავნილი 200.000 მივიღე. გთხოვთ, გადასცეთ ყველას გულწრფელი მადლობა ბრიტანეთის მუშებიდან.

კუკი, მემაღაროეთა ფედერაცია“.

კუკის დეპეშა პასუხი იმ 200.000 მან. გადაგზავნაზე, რომელიც საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ გაგზავნა 16 აგვისტოს.

632.000 მანეთი გაფიცულ მემაღაროებს

მოსკოვი, 9 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის მაღაროს მუშათა კავშირის ც. კ. ინგლისში სულ გადაგზავნა 632.000 მანეთი.

ბალტფლოტის საშემოდგომო დათვალიერება

ლენინგრადი, 9 სექტემბერი. 9 სექტემბერს საზღვაო ძალების უფროსი მუკლევიჩი გაემგზავრა კრონშტადტში, სადაც მისი მონაწილეობით შესდგება ბალტიის ფლოტის საშემოდგომო ცალკე დათვალიერება.

ულტიმატუმი კანტონის ჯარებს

ლონდონი, 8 სექტემბერი. შანხაიდან იუწყებიან: ძიან-სის, ძიან-სუს, ჩჟე-ძიანის, ფუ-ძიანის, ან-ხოის, სუნ-ჩუან-ფანის პროვინციების სამხედრო გუბერნატორებმა ჩან-ხაი-შის კანტონის ჯარების მთავარ-სარდალს წარუდგინეს ულტიმატუმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ თუ კანტონის ჯარები დაუყოვნებლივ არ დაიხევენ სამხრეთისაკენ, მაშინ სუნ-ჩუან-ფანი შეტევას დაიწყებს მათ წინააღმდეგ.

საფრანგეთ-საბერძნეთის ხელშეკრულება

ბერლინი, 9 სექტემბერი. პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-საბერძნეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელმაც შეაცვალა 1924 წ. 21 თებერვალში დადებული წინასწარი ხელშეკრულება.

აჯანყების მონაწილეთა სასამართლოში მიცემა

ბერლინი, 9 სექტემბერი. 2.400 ესპანელ ოფიცრიდან, (მათ რიცხვში 6 გენერალი), რომლებსაც ბრალად ედებათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, „ჟურნალის“ ცნობით, სასამართლოს წინაშე წარსდგება მხოლოდ 150 კაცი. სეგოვიის სამხედრო აკადემიის ინსტრუქტორებს ყველაზედ მკაცრად დასჯიან.

ესპანეთის დიქტატურა

ბერლინი, 9 სექტემბერი. „იუნაიტედ პრესის“ ცნობით, პრიმა-დე რივერას განზრახვა აქვს მიმდინარე თვეში გაემგზავროს შეერთებულ შტატებში.

მუშათა მოძრაობის შესწავლა

ლონდონი, 8 სექტემბერი. მექსიკის შრომის ფედერაციის მოწვევით, სექტემბრის დასასრულს მექსიკაში გაემგზავრება ევროპის ქვეყნების რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადების დელეგაცია, რომელსაც მიზნად აქვს მუშათა მოძრაობის შესწავლა მექსიკაში. დელეგაციის სათავეში იქნება ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთი მდივანთაგანი—ბროუნი.

მექრთამე პროკურორი

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. შეერთებული შტატების ყოფილი მთავარ პროკურორის დოგერტისა და უცხოეთის ქონებათა ყოფილი დამცველის მილერის პროცესი უკვე დაიწყო. მათ ბრალად ედებათ მექრთამეობა. ფიქრობენ, რომ პროცესის დროს ადგილი ექნება სახკანდალო მხილებებს, რომლებიც შეეხება შეერთებულ შტატების გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 9 სექტემბერი. მემაღაროეთა დელეგაცია მივიდა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოში, სადაც ესაუბრენ ამხ. მელნიჩანსკის. დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ პროფკავშირებისა და პარტიის ურთიერთ დამოკიდებულებისა, სასოფლო-მეურნეობისა, ყოფა-ცხოვრებისა და სხვა საკითხები. ამხ. მელნიჩანსკიმ მიცემულ შეკითხვებზე გასცა ამომწურავი პასუხი. დასასრულ მან დელეგატების თხოვნით, განმარტა ბორნემუტში მოწვეულ ინგლისის პროფკავშირების კონგრესის მთელი მუშაობის მსვლელობა საბჭოთა გაზეთების უკანასკნელი წყაროების მიხედვით.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა კრემლი და ლენინის აკლდამა.

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციის შემდეგი გზა

მოსკოვი, 9 სექტემბერი. 10 სექტემბერს ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია წავა მოსკოვიდან შემდეგი მიმართულებით: ტულა—ხარკოვი—დონის აუზი—როსტოვი დონზე—გროზნი—ბაქო—თბილისი—კავკავი — კისლავოდსკი—მინერალური წყაროები.

ვუკაშინ-მარკოვიჩი მოსკოვში

მოსკოვი, 9 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა სამხრეთ-სლავიის უხუცესი რევოლიუციონერი მოღვაწე ვუკაშინ-მარკოვიჩი, რომელიც ახლახან გაანთავისუფლეს ვენის ციხიდან ავსტრიის უარის თქმის შემდეგ სამხრეთ-სლავიის მთავრობისათვის მისი გადაცემის შესახებ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ლენინთან ერთად შვეიცარიაში

როგორც ცნობილია სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალი დაარსდა შტუტგარდის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესთან დაკავშირებით 1907 წელს. სამდივნოს ხელმძღვანელობა დაეკისრა რობერტ დანებერგს, რომელიც ახლა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანია. ძველი სოციალისტური ახალგაზრდ. ინტერნაციონალი არ იყო მტკიცე ორგანიზაცია, მისი სეკრეტარიატი მუშაობდა როგორც მეორე ინტერნაციონალის განყოფილება. სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მოქმედება ვიწროთ იყო შემოფარგლული და განისაზღვრებოდა პატარა ბიულეტენის გამოცემით, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდიოდა. ომის დაწყების შემდეგ შვეიცარიელმა, იტალიელმა და შვეციელმა ახალგაზრდ. ორგანიზაციებმა საერთაშორისო ახალგაზრდობის ყრილობის მოწვევა ითავეს, რომელსაც თავისი პოზიცია უნდა გამოერკვია მსოფლიო ომისადმი. მაშინდელმა მდივანმა დანებერგმა ჯერ წინააღმდეგობა გაუწია ასეთი ყრილობის მოწვევას, შემდეგ როცა მისი სურვილის წინააღმდეგ 1915 წელს ბერნში კონფერენცია მაინც მოწვეულ იქმნა, მან უარი სთქვა მონაწილეობაზე. მას, რასაკვირველია, მიემხრო გერმანიის ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც იქ გაგზავნა თავისი წინანდელი აგიტატორის მაქს პეტერსის წერილი, სადაც სასტიკი პროტესტი იყო გამოთქმული ბერნის კონფერენციის დღიური წესრიგის წინააღმდეგ.

ამ კონფერენციაზე პირველად ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ისტორიაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ორმა წარმომადგენელმა, რომელნიც ბერნის კონფერენციაზე ლენინის ხელმოწერილი მანდატებით მოვიდნენ.

ბერნის კონფერენციამ კავშირი გასწყვიტა სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ტრადიციებთან. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების პოლიტიკურ და ორგანიზატორულ დამოუკიდებლობას აღიარებდა და ურთიერთობას სწყვეტდა მეორე ინტერნაციონალის პარტიებთან, რომელნიც, გერმანელი სოციალ-დემოკრატიის მაგალითის მიხედვით, ახალგაზრდათა ორგანიზაციებს დიდი ბავშვების შესაკრებ დაწესებულებებათ სთვლიდნენ და არა პოლიტიკურ ორგანიზაციებათ.

კონფერენციამ პირველად სოციალისტური ახალგაზრდობის მოძრაობაში დამოუკიდებელი პოზიცია დაიჭირა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი და რეზოლიუცია მიიღო, რომელშიც ომი გამოუცხადა მეორე ინტერნაციონალის სოციალ-პატრიოტიზმსა და სოციალ-შოვინიზმს. ეს ცვლილება უმთავრესად რუსის დელეგატების მიერ იყო გამოწვეული, ისინი მათი ცენტრალურ კომიტეტისა და ამხ. ლენინის დირექტივების მიხედვით მხარს უჭერდნენ რევოლიუციონურ, ომის საწინააღმდეგო ტენდენციებს. ბერნის კონფერენციაზე მხოლოდ ერთს საკითხში დამარცხდნენ რუსის დელეგატები, სახელდობრ ტაქტიკის საკითხში ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. სკანდინაველი, შვეიცარიელი და გერმანელი დელეგატები სოციალ-დემოკრატიის ცენტრის, შაიზესა, ბალაბანოვასა და სხ. თვალსაზრისს იცავდნენ და სამედიატორო სასამართლოს, განიარაღებასა და მშვიდობიანობის პოლიტიკას მოითხოვდნენ. ამ პაციფისტური ლოზუნგების წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებმა გარკვეული მილიტარული პროგრამმა წარმოადგინეს: სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყება, მუშების შეიარაღება, ბურჟუაზიის განიარაღება და სხ., მაგრამ ისინი უმცირესობაში დარჩნენ და ხმის უმრავლესობ. გერმანელი, სკანდინაური და შვეიცარული დელეგაციების წინადადება იქმნა მიღებული. გამარჯვება ხანმოკლე იყო. თუმცა ქალაქ ციურიხის დელეგატების კრებაზე ჩემი მოხსენებისა და ლენინის თანამოხსენების შემდეგ ბერნის რეზოლიუციები ერთხელ კიდევ ერთხმად იქნა მიღებული, მაგრამ ჩქარა ახალგაზრდობის ინტერნაციონალმა ამ კონფერენციის ყალბი მოქმედების რევიზია მოახდინა.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნა როგორც ციმერვალდის, ისე კინტალის კონფერენციაზე.

შვეიცარიაში შეიქმნა ციმერვალდელთა მემარცხენეების ჯგუფები, რომელნიც ყოველ კვირაში იკრიფებოდნენ და ყოველდღ. პოლიტიკ. კითხ. იხილავდნენ. ციურიხში შეხვედრი ადგილი „თეთრი გედის“ ყავახანა იყო, იქ სხდომებს რეგულიარულად ესწრებოდნენ ლენინი, კრუპსკაია, ბროდსკი და რადეკი. იქ იჭედებოდა იარაღი, რომლითაც შემდეგ გერმანელი და შვეიცარიელი მუშები რევოლიუციონური პროგრამის განსახორციელებლად იბრძოდნენ. კიდევ უფრო მჭიდროთ გახდა ბოლშევიკ ბელადების და სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი 1917 წლის დასაწყისში, რუსეთის რევოლიუციის დაწყების წინ; ერთ კრებაზე, რომელსაც ლენინი ზინოვიევი, რადეკი, პაულ ლევი, ფრიც პლატტენი და ამ სტრიქონების ავტორი დაესწრნენ, მიღებული იქმნა რეზოლიუცია შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის მაშინდელი ხელმძღვანელის, რობერტ გრიმმის, წინააღმდეგ, რომელიც თანდათან მარჯვნივ გადაიხარა. ამ ბრძოლის დროს ახალგაზრდობა საიმედო დასაყრდნობი იყო ციმერვალდის მემარცხენეებისა და ბოლშევიკური ჯგუფისთვის, როგორც ეს ლენინმაც აღნიშნა თავის ცნობილ გამოსათხოვარ წერილში შვეიცარიელი მუშებისადმი.

ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება ის საათი, როცა მუშათა გამანათლებელ საზოგადოებაში „ერთობაში“ („აინტრახტ“) ლენინი, რადეკი და პლატტენი შეიკრიბენ, რათა ერთხელ კიდევ ემსჯელათ გერმანიის გზით რუსეთში გამგზავრების საკითხზე. მე ბედნიერება მქონდა პირადათ ასჯერ მაინც შევხვედროდი ლენინს შვეიცარიაში და შემდეგ კრემლშიც ხშირად მილაპარაკნია მასთან. მე არ მახსოვს, რომ ლენინი ოდესმე ისე აღელვებული ყოფილიყოს, როგორც ციურიხის „ერთობის“ ოთახში იყო იმ დღეს. ის ნათლად ხედავდა იმ დევნას, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ დაიწყებოდა, თუ ის თავის ამხანაგებთან ერთად გერმანიის გზით რუსეთში წავიდოდა. ის გრძნობდა, რომ მათ ლიუდენდორფის მოსყიდულ აგენტებათ, ნილაბ აფარებულ ჯაშუშებათ გამოაცხადებდნენ, რაც შემდეგ მართლაც მოხდა.—ანტანტამ არც ერთი რუსი ბოლშევიკი აღარ გაუშვა რუსეთისკენ. თვით ტროცკი, რომელიც ამერიკიდან ბრუნდებოდა, როგორც ცნობილია, დროებით ინგლისში დააკავეს.—რამდენიმე საათის კამათის შემდეგ გადასწყდა: „ჩვენ უნდა რუსეთში დავბრუნდეთ, თუნდ ჯოჯოხეთის გზით მოგვიხდეს სიარული“! და გაემგზავრნენ კიდეც.—აღტაცებით გააცილეს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა და მცირერიცხოვანმა მეგობრებმა ის მატარებელი, რომელსაც ლენინი გერმანიის გზით რუსეთისკენ უნდა წაეყვანა. მე აღარ მახსოვს, ლენინმა მითხრა ეს სიტყვები გამოთხოვების დროს თუ რადეკმა: „სამი თვის განმავლობაში ჩვენ ჩამოგვახრჩობენ ან ხელისუფლებას დავიპყრობთ“. როგორც ცნობილია, ლენინი და სხვა მეთაურები ძლივს გადაურჩნენ კერენსკის მთავრობის დევნას და რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვება განიცადეს, რომელიც მათ მოამზადეს თავიანთი შეუდრეკელი ენერგიით.

თხუთმეტი წლის განმავლობაში, რომელიც მე სოციალისტური ახალგაზრდობის მოძრაობას შევსწირე, მრავალი ბელადი გავიცანი, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რომელიმე მათგანი ადამიანურად და პოლიტიკურად ისე ახლო მდგარიყო ახალგაზრდობასთან, ისე სცოდნოდეს ფსიხოლოგიური ზეგავლენის მოხდენა პროლეტარულ ახალგაზრდობაზე, როგორც ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინმა.

ვილლი მიუნცენბერგ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ს. მ. უ. ს. რეორგანიზაცია

მოსკოვი, 9 სექტემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოახლოებულ რეორგანიზაციის გამო, რომლის მიხედვით, უნდა გაუქმებულ იქნეს სახელმწიფო მრეწველობის ცენტრალური მმართველობა და სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან უნდა შეიქნეს მთელი რიგი ახალ მმართველობათა, განზრახულია სათბობის მრეწველობის შემდეგი ორგანიზაცია.

არსდება სათბობის მრეწველობის მთავარი მმართველობა, რომლის შემადგენლობაში შევა სათბობის განყოფილება, საგეგმო განყოფილება და სათბობის მრეწველობის ცალკე დარგთა დირექტორატები: ნავთის, ნახშირის და სხვ. დირექტორატები, თავის მხრივ დაყოფილი იქნებიან რაიონებათ. ასე რომ, ნავთის მრეწველობაში შევლენ დირექტორატები აზერბეიჯანის, გროზნის, ემბენის და მცირე რაიონების მრეწველობათა. ყოველ დირექტორატთან დაარსებული იქნება, მრეწველობის შესაფერის დარგის საგეგმო ქვე-განყოფილებანი, რომელნიც ამავე დროს ემორჩილებიან მმართველობის საგეგმო განყოფილებას. განზრახულია აგრეთვე მმართველობასთან შეიქნეს ფინანსიურ-ეკონომიური ბიურო.

„ბურევესტნიკი“-ს მსხვერპლნი

ლენინგრადი, 9 სექტემბერი. 7 სექტემბერს წყლიდან ამოღებულ იქნა კიდევ 8 გვამი, მათ რიცხვში ხუთი წითელი ფლოტელია ამგვარათ 8 სექტემბრამდე ამოღებულ გვამების საერთო რიცხვი 55 შეადგენს.

პოლონეთის ჰაეროპლანები

მოსკოვი, 9 სექტემბერი. მინსკიდან მიღებულ დეპეშასთან დაკავშირებით, საბჭოთა ტერიტორიაზე პოლონეთის ჰაეროპლანების გაფრენის შესახებ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში აცნობეს, რომ ეს გაფრენები დაუშვებელია არა მარტო საჰაერო გეგმის თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოების თვალსაზრისითაც. ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჰაეროპლანების გადაფრენის დროს აუცილებელია ნებართვა დამარშრუტების შეთანხმება.

ტარიფი პურის გადატანაზე

მოსკოვი, 9 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარიატის სატარიფო კომიტეტმა დაადგინა 20 პროცენტით გაადიდოს ტარიფი რკინის გზით ხორბლისა და ფქვილის გადაზიდვაზე დაწყებული ბატაისკ-არმავირის უბნიდან და დასავლეთით ამ უბნიდან ყველა სადგურებზე ეიბატის სადგურამდე და ამიერკავკასიის რკინის გზის ყველა სადგურებზე სადგურ უიბატიდან დასავლეთით.

ამავე სხდომაზე გადაწყდა დაკლებულ იქნას „სოვტორგფლოტის“ რკინის გზის ტარიფი 20 პროცენტით და ფრახტი 10 პროცენტით პურის გადაზიდვაზე აღნიშნულ სადგურებს შორის მანძილზე ნოვოროსიისკის და ტუაპსეს ნავთსადგურებიდან ფოთისა და ბათომის მიმართულებით.

უკრაინა

ქსენძის საქმე

ხარკოვი, 9 სექტემბერი. უკრაინის უზენაესმა სასამართლომ, გაარჩია საკასაციო საჩივარი ქსენძი ბელოსავაჟილინსკისა, რომელსაც აგვისტოს დასაწყისში კოროტენსკის საოლქო სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა დახვრეტა. ბელოსავაჟილინსკი 4 წლის განმავლობაში აწარმოებდა ემიგრანტების გადაყვანას, პოლონეთში, რისთვისაც მათგან ბლომათ ფულს იღებდა. ჟილინსკი ეხმარებოდა პოლონეთში გადასვლის დროს ისეთ პირებსაც, რომელნიც საბჭოთა სასამართლოს ემალებოდენ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეების გამო.

საბინაო აღმშენებლობა

მოსკოვი, 9 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ცენ. კომ. ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ **მოლდბერგმა** საბინაო აღმშენებლობის სეზონის შედეგების შესახებ სთქვა: საბინაო აღმშენებლობის გაიაფების მიზნით მტკიცეთ უნდა გავატაროთ საშუალებათა კონცენტრაციის იდეა სამრეწველო რაიონებში, როგორც მაგ. „დონბასში“, „ურალსა“ „ივანოვ-ვოზნესენსკში და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც მწვავედ სდგას საბინაო აღმშენებლობის საჭიროება. ამ სეზონში ჩვენ დავხარჯავთ კრედიტის მიცემის სახით ცალკე პირონებებზე 3 მილიონ მანეთს. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კრედიტის მიცემა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებ: მიმართ შენობების ასაშენებლად. ცენ. კომ. ბანკი ასეთ მოლაპარაკებას აწარმოებს ცალკე ორგანიზაციებთან. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან უკვე დავდევით ხელშეკრულება და ჩვენ გადმოგვეცემა 3 ნახევარი მილიონი მანეთი სასკლაო-საბინაო ფონდიდან. მომავალი სეზონიდან ჩვენ გადავდივართ კრედიტის მიცემის დეცენტრალისტურ სისტემაზე ადგილობრივ ქალაქის კომუნალურ ბანკების საშუალებით. მიმდინარე საოპერაციო წელში გავანაწილეთ 110 მილ. მანეთი. ამ თანხიდან 1-ლ აგვისტომდე გავეცით 56 ნახევარი მილ. მანეთი ე. ი. 50 პროცენტზე მეტი.

სრ. საკავშირო საავიაციო ლატარია

მოსკოვი, 9 სექტემბერი. საკავშირო ავიაქიმს განზრახვა აქვს 1927 წლის დასაწყისში მოაწყოს სრულიად საკავშირო საავიაციო ლატარია. მოგებათა შორის არის 2 დედა-მიწის ირგვლივ მოგზაურობა მიმოსვლის ყველა საშუალებათა, პირველ რიგში ავიაციის გამოყენებით. 20 მოგება—გადაფრენა ბერლინში, პარიზში, რომში და დასავლეთ ევროპის სხვა პუნქტებში. მოგებათა შორის არის აგრეთვე გადაფრენები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სულ განზრახულია გამოშვებულ იქნას 2 მილ. ბილეთი. ბილეთის ფასი—50 კაპ. ბილეთის გაყიდვა დაიწყება 1927 წ. იანვარში, მოგება კი—ამავე წლის ივნის-ივლისში.

ლატარიის მიზანია—მომავალი წლის გადაფრენათა და აგრეთვე ავიაციის სამეცნიერო დაწესებულებათა დახმარების აღმოჩენი: ფონდის შექმნა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საცალო ფასები

ბაქო, 9 სექტემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, 1-ლ აგვისტოსათვის სამრეწველო საქონელზე 10 პროც. რაოდენობით ფასების დაკლების შესახებ, განუხორციელებელი დარჩა. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ღონისძიებით ფასებმა იწყეს დაკლება მხოლოდ აგვისტოს მეორე ნახევარში. სახელმწიფო საგეგმო კომისია, ადასტურებს რა ამას, შეუდგა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებების შეუსრულებლობის მიზეზების გამორკვევას.

ხუდაფერინის საბაჟო პოსტის გაუქმება

ბაქო, 8 სექტემბერი. აზერბეიჯანის საგეგმო კომისიას გადაეცა საკითხი ხუდაფერინში საბაჟო პოსტის გაუქმების შესახებ, იმ მოსაზრების გამო, რომ მისი საქონლის ბრუნვა უმნიშვნელოა. პოსტის გაუქმება გამოიწვევს 2.658 მან. ეკონომიას.

ცხენების მოშენება

ბაქო, 9 სექტემბერი. 17 სექტემბერს აზერბეიჯანის იპოდრომზე იხსნება ცხენთა გამოცდის შემოდგომის სეზონი. გათამაშებული იქნება 14 დიდი სახელწოდებითი და 8 სპეციალური ჯილდო, სულ 11.600 მანეთის რაოდენობით. ჯირითში მონაწილეობას მიიღებს წმინდა ინგლისური კვიცი „მაია“, რომელიც აზერბეიჯანის ცხენსაშენის სამმართველომ იყიდა ავსტრიაში და მონაწილეობას ღებულობდა 1924 წელს ვენასა და ბუდაპეშტში გამართულ შეჯიბრებაში, სადაც აღებული აქვს პირველი ჯილდო.

პარკის დამზადების გარშემო

ბაქო, 8 სექტემბერი. პარკის დამზადებაზე მომწესრიგებელ ორგანოების მიერ გამოცხადებულ სადირექტივო ფასების დაუცველობის გამო აღძრულია საკითხი „აზაბრეშუმის“ და „კეიჰბირლიგის“ ხელმძღვანელ პირების უმაღლეს დისციპლინარულ სასამართლოში მიცემის შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის საზღვრები

გუშინ, დღის 1-ლ საათზე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში რწმუნებულის სამმართველოს შენობაში გაიმართა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის საზღვრების გამყვანი შერეული კომისიის მე-49 პლენარული სხდომა. საბჭოთა და ოსმალეთის დელეგატების წევრებს გარდა, სხდომას დაესწრნენ, აგრეთვე, ოსმალეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული თბილისში ბ-ნი ნური-ბეი, ვიცე-კონსული ბ-ნი უსეინ-ბეი და სხ.

სხდომის გახსნის შემდეგ, საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. კარკლინმა მოკლე სიტყვაში განმარტა სხდომის დღის წესრიგი, რის შემდეგ მხარეები გადავიდენ გენერალურ ოქმის, მისი დამატებების და სანაპირო ზონის რუკაზე ხელის მოწერაზე.

გენერალურ ოქმს საბჭოთა კავშირის მხრიდან ხელი მოაწერეს: საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ, ამხ. კარკლინმა, დელეგაციის წევრებმა ამხ. კუზნეცოვმა და კალანდაძემ; ოსმალეთის რესპუბლიკის მხრიდან—ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ბ-ნ ფახრი-ბეიმ და დელეგაციის წევრებმა, ბ. ბ. ვეხბი-ბეიმ, რიფატ-ბეიმ და ჯემალ-ბეიმ. სანაპირო ზონის ყოველი ფურცელი ხელმოწერილია საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე, ამხ. კარკლინისა და ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე—ბ-ნ ფახრი-ბეის მიერ.

გენერალურ ოქმსა და სანაპირო ზონის რუკაზე ხელისმოწერის შემდეგ, მოკლე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ო. კარკლინი.

— დღევანდელი დღე—ამბობს ამხ. კარკლინი—ღირსშესანიშნავი დღეა ოსმალეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირისათვის, ღირსშესანიშნავი იმით, რომ დღეს ჩვენ შევასრულეთ ერთი უმძიმესი და სერიოზული სამუშაოთაგანი მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების განსახორციელებლათ. ამ რთულ მუშაობას დასჭირდა თითქმის ორი წელი. ამ მუშაობით მიღებული ნაყოფი შევა ახალ განძად ორივე სახელმწიფოს ურთი-ერთ დამოკიდებულებაში. შესრულებულ მუშაობას აქვს არა მარტო პოლიტიკური, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც საზღვარზე მყოფ მოსახლეობისათვის. ამიერიდან აღარ იქნება ლაპარაკი იმაზე, თუ სად იწყება და სად თავდება საზღვარი. ცხადია, ჩვენ საზღვარი როდი დაგვიწესებია ერთი-მეორის დასაშორებლათ. მტკიცე საზღვრების დაწესებით ჩვენ ვქმნით საუკეთესო პირობებს ორი ხალხის მშვიდობიან თანამშრომლობისათვის და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს ამოცანა წარმატებით შევასრულეთ.

ჩვენი მუშაობის პროცესში არა ერთი და ორი საკითხი წამოიჭრა, რომლებზედაც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა, რადგან ჩვენი საზღვრები გადიან არა მიყრუებულ ადგილებზე, არამედ აყვავებულ მინდვრებსა და დასახლებულ პუნქტებზე. თავის მუშაობაში შერეული საწარმოო კომისია, სახელმწიფოებრივ ინტერესს გარდა, მხედველობაში იღებდა მოსახლეობის ინტერესებსაც.

მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებებისა, ჩვენ წარმატებით შევასრულეთ მუშაობა. ეს მოწმობს იმას, რომ ორივე დელეგაცია საკითხების გადაწყვეტას უდგებოდა გულწრფელად, ერთი-მეორის სრული გაგებით. ჩვენ ვხელმძღვანელობდით მხოლოდ და მხოლოდ იმ პრინციპებით, რომელიც საფუძვლად უდევს მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებს, ე. ი. ძმობისა, მეგობრობისა და ორივე სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფის პრინციპებით, და მხოლოდ აი ამ მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა ერთი ურთულესი და უმძიმესი სამუშაოს ჩქარა დასრულებისა.

და აქ, შერეულ სანაპირო კომისიის მე-49 პლენარულ სხდომაზე მე უნდა დავამოწმო, რომ ოსმალეთის დელეგაცია და ამ დელეგაციის თავმჯდომარე ყოველთვის უწყობდენ ხელს ყველა სადაო საკითხების გადაწყვეტას. ჩვენ გადავჭერით ყველა სადაო საკითხები ორივე სახელმწიფოს ინტერესით თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა ფახრი-ბეიმ სთქვა:

— დღეს პატივი გვაქვს მოვაწეროთ ხელი საბუთს, რომელიც ამყარებს საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის საზღვრის ხაზს ნატურაში. ამასთან ერთად ორივე დელეგაცია ხელმძღვანელობდა ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებების ტექსტით, რომელიც დაიდო ორივე სახელმწიფოს შორის, როგორც ძმობის საწინდარი.

ჩვენი მუშაობის პროცესში ოსმალეთის დელეგაციას მოუხდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნა. ყველგან, სადაც კი წავედით, ჩვენ სიხარულით და ძმურად გვიღებდენ, რასაც ჩვენ ვერ დავივიწყებთ და რომელზედაც ჩვენ დაგვრჩება საუკეთესო მოგონებები.

ამასთან ერთად მე უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ო. კარკლინი და დელეგაციის წევრები იღებდნენ მათგან დამოკიდებულ ყოველ ზომებს ყველა საკითხების ორივე სახელმწიფოს ხალხთა საკეთილდღეოთ გადასაჭრელად.

ფახრი-ბეის სიტყვის შემდეგ, საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კარკლინმა ოსმალეთ-საბჭოთა საზღვრების შეერთებული სანაპირო კომისიის მუშაობა ოსმალეთ-საბჭოთა საზღვრების დასამყარებლად ნატურაში გამოაცხადა დასრულებულად.

პარტიული ცხოვრება

ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი

30 აგვისტოს შესდგა საოლქო და სამაზრო კომიტეტების მუშა და გლეხ ქალთა განყოფ. გამგეების სრულიად საქართველოს მე-6 თათბირი. თათბირს დაესწრენ ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტების ქალთა განყ. გამგეები, ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ქართველიშვილი, ცეკას საორგ. განყ. გამგე ამხ. ლოლობერიძე და ა.-კ. მუშა და გლეხ ქალთა განყ. გამგე შავერდოვა. თათბირს თავმჯდომარეობდა საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე,
2. ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების 6 თვის მუშაობის ანგარიში;
3. მოხსენება ადგილებიდან 1925—26 წლის სადელეგატო კრების მუშაობის შესახებ. (სიღნაღი, გორი, ოზურგეთი, სენაკი და სამხრეთოსეთი).
4. მოხსენება ადგილებიდან გლეხ ქალთა კუთხეების მუშაობის შესახებ (თელავი, ბორჩალო და რაჭა).
5. მოხსენება კლუბის მუშაობის შესახებ (ბათომი და თბილისი);
6. მუშა და გლეხ ქალთა ცენტრალურ და სამაზრო განყოფილებათა 6 თვის მუშაობის საორიენტაციო გეგმა (1926 წლის სექტემბრის—1927 წლის თებერვლამდე);
7. მიმდინარე საკითხები.

მოხსენება პირველი საკითხის შესახებ მოსმენილ იქნა რუსთაველის თეატრში პარტაქტივის გაერთიანებულ სხდომაზე.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყ. 6 თვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვარო ჯაფარიძემ.

ამხ. ჯაფარიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა საანგარიშო პერიოდში ქალთა შორის მუშაობის მიღწევები და აღნიშნა ის ხელისშემშლელი პირობები, რომლებიც აფერხებდა ქალთა შორის მუშაობას.

ორატორმა თავის მოხსენებაში გააშუქა ორი უმთავრესი საკითხი,—სახელდობრ, საბჭოთა არჩევნები და სადელეგატო კრების მუშაობა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არჩევნებში გვაქვს საგრძნობი მიღწევები, რაც გამოიხატება საბჭოს წევრ ქალთა რიცხვის ზრდაში და სხვა და აგრეთვე, 1925—26 წ. მოწვევის სადელეგატო კრებებს გაცილებით მეტი აქტივობა ეტყობათ გასულ წელთან შედარებით, მომავლისთვის მაინც საჭიროა მაქსიმალური ზომის მიღება, იმისათვის, რათა როგორც სადელეგატო კრების, ისე საბჭოთა არჩევნები უფრო მეტი სიცხოველით და ქალთა მასების მეტი მონაწილეობით იქნეს ჩატარებული.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიდაც მთელმა რიგმა ამხანაგებმა მიიღო მონაწილეობა. კამათის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც ცეკას ქალთა განყოფილების მუშაობა ცნობილ იქნა სრულიად დამაკმაყოფილებლად.

ადგილებიდან მოხსენებას 1925—26 წლის მოწვევის სადელეგატო კრების მუშაობის შესახებ აკეთებენ შემდეგი ამხანაგები: ოთაკვაძე, გოგოლაშვილი, კიდაიში, ძინძიბაძე, ჩიჩუა და ჩიკაევა. მომხსენებლებმა თავის მუშაობაში აღნიშნეს 1925—26 წლის სადელეგატო კრების მუშაობის მიღწევები და ის დეფექტები, რომელიც მათ უშლიდა ხელს, რომ სადელეგატო კრებების მუშაობა სათანადო დონეზე ყოფილიყო დაყენებული. მოხსენების ირგვლივ გამართულ საქმიან კამათში ამხანაგები აღნიშნავდენ სადელეგატო კრების სუსტ მუშაობის მიზეზებს და უმთავრეს მიზეზად სთვლიან იმ გარემოებას, რომ პარტკომები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ქალთა შორის მუშაობას და აგრეთვე აგიტპროპები, რომლებიც თავის პირდაპირ მოვალეობათ უნდა სთვლიდენ სადელეგატო კრების მეცადინეობის თავის დონეზე დაყენებას, შესაფერი ხელმძღვანელების გამონახვას და მათთვის ლიტერატურის მიწოდებას—სრულიად არ აქცევენ ყურადღებას და არ კისრულობენ ამ საქმეს თავის თავზე. საჭიროა, რათა მომავალში ეს გამოწორებულ იქნას და აგიტპროპები ჩაბმულ იქნას სადელეგატო კრების მუშაობაში. უკიდურეს შემთხვევაში სადელეგატო კრების პროგრამა ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას და შეიძლება კიდეც დამახინჯდეს ხელმძღვანელების მიერ.

ორატორები აგრეთვე აღნიშნავდენ, რომ ის ორგანიზატორები, რომლებიც არიან გამოყოფილი უჯრედებიდან ვერ არიან საქმის კურსში, რისთვისაც საჭიროდ სთვლიან ორგანიზატორთა თათბირის მოწვევას, სადაც ისინი გაეცნობიან ქალთა შორის მუშაობის მეთოდებს და ამოცანებს. აღნიშნავდენ რა, დელეგატ ქალთა ინსტიტუტში, როგორც რიცხვობრივ თვისობრივ ზრდას, და აგრეთვე ქალთა საზოგადო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას, საჭიროდ მიაჩნიათ ამ აქტივობის მიზანშეწონილად გამოსაყენებლად ადგილობრივად ქალთა შორის მომუშავეთა კადრის შექმნა.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია და გამომუშავებული მთელი რიგი ღონისძიებები მომავალი მუშაობისათვის.

გლეხ-ქალთა კუთხეების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცინცაძემ (თელავიდან) და ამხ. იაგზრაშვილმა (რაჭა).

რადგანაც გლეხ-ქალთა კუთხეები ახალი საქმეა საქართველოში ამ კუთხეების გახსნის მიზანშეწონილობის გამორკვევის მიზნით დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია. „არსებულ კუთხეების მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი გლეხ-ქალთა კუთხეების ქსელის გაფართოება სხვა ადგილებზედ, რადგანაც კუთხე ერთად-ერთი საშუალებაა ქალთა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ჩაბმისა და გაცნობის, და ის აგრეთვე პირველდაწყებითი საფეხურია ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად“.

თათბირის მუშაობა სამ დღეს გაგრძელდა.

ვასაძე.

ქალთა შორის მუშაობის საკითხები

ამ ერთი კვირის წინ დამთავრდა ჩვენი პარტიის ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი. თათბირმა ჯამი გაუკეთა განვლილ საანგარიშო პერიოდის საქმიანობას და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა, რომელიც არსებობს ქალთა შორის მუშაობის დარგში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქალთა შორის მუშაობას გასულ წელთან შედარებით საგრძნობი წინსვლა ახასიათებს. გაიზარდა და გაფართოვდა ქალთა ორგანიზაციაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი, გაძლიერდა სადელეგატო კრებების მუშაობა, ამ კრებების საქმიანობას გეგმიანი ხასიათი მიეცა, გაუმჯობესდა მეცადინეობა და სხვა. გაიზარდა აგრეთვე მშრომელ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობა, რაც აშკარად დამტკიცდა უკანასკნელ საბჭოთა არჩევნების დროს. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ქალთა შორის დიდი მუშაობაა ჩატარებული და რომ ამ მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, და ეს თათბირზედაც გამოირკვა, რომ ქალთა შორის მუშაობას ახლავს მთელი რიგი დეფექტები, რომელიც იმდენად ქალთა განყოფილებების უმოქმედობას არ მიეწერება, რამდენადაც სხვა მიზეზებს.

თათბირზე ადგილობრივ ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობა ადგილობრივ ვერ არის უზრუნველყოფილი სათანადო პარტიული ხელმძღვანელობით. ეს რასაკვირველია თემკომების და პარტკომების ნაკლია. ქალთა სადელეგატო კრებები, ისევე, როგორც მთელი მუშაობა ქალთა შორის, პარტიულ ორგანიზაციების უახლოეს მონაწილეობით და ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს. სამწუხაროთ ყველგან არ უწევენ ამ გარემოებას ანგარიშს. ზოგან ეს იმიტომ ხდება, რომ ორგანიზაცია ხელმძღვანელ ძალთა ნაკლებობას განიცდის, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არ არის იშვიათი, როდესაც მიმაგრებული ამხანაგები სუსტად მუშაობენ, ხოლო მათ პასუხს არავინ სთხოვს. ამ გარემოებას უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება, იმისათვის, რომ ქალთა შორის მუშაობა უფრო მეტად გაღრმავდეს და მასზე უზრუნველყოფილი იქნეს პარტიის მტკიცე გავლენა.

აღსანიშნავია, აგრეთვე კიდევ ერთი გარემოებაც: როგორც ვიცით სადელეგატო კრებებზე სწარმოებს ქალთა მეცადინეობა სათანადოთ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით. მეცადინეობის წარმოებისათვის არ კმარა რასაკვირველია მარტო პროგრამის არსებობა, აქ საჭიროა, პირველ ყოვლისა პროპაგანდისტთა და ლექტორების სათანადო კადრი ერთის მხრივ, ხოლო სახელმძღვანელოები, მეორე მხრივ. ქალთა ორგანიზაციების თათბირზე ადგილებიდან მოხსენების დროს აღინიშნა, რომ აგიტპროპგანყოფილებები, რომელთა მოვალეობას შეადგენს ამ საქმის მოწესრიგება, ნაკლებად ზრუნავენ მასზე. რასაკვირველია, მომავალში ამასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, თუ არ გვსურს, რომ სადელეგატო კრებები უსარგებლო და მხოლოდ ქაღალდზე არსებულ ინსტიტუტად გადაიქცეს.

ქალთა ლტოლვა ამ კრებებისადმი შესამჩნევია. არის სოფლები, სადაც სოფლის ყველა დიასახლისი-ქალი იკრიბება განსაზღვრულ დღეს და მეცადინეობასთან ერთად ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობს. ამას სათანადო ყურადღება სჭირია და ანგარიშის გაწევა..

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერება, პარტხელმძღვანელების განმტკიცება და სადელეგატო კრებების უზრუნველყოფა სათანადო ძალებითა და ლიტერატურით ადგილობრივ პარტორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. პარტკომიტეტებს საკმაოდ მოეპოვებათ თავის განკარგულებაში როგორც მომზადებული ძალა (აქტიური ინტელიგენცია), ისე სხვა რესურსებიც იმისათვის, რომ ეს მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული.

ბანიძე.

უღარიბეს გლეხთა ჯგუფები

(თელავის მაზრა)

მე-14 პარტყრილობის დამთავრების შემდეგ სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა მთავარი ყურადღება მიაქცია ღარიბ გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბებას. ასეთი დიდმნიშვნელოვანი მუშაობის ერთი ხელის დაკვრით ჩატარება შეუძლებელი იყო; წინასწარ საჭირო იყო სოფლის უჯრედების განმარტებითი კამპანიის ჩატარება, რათა უჯრედები კარგათ გარკვეულიყვენ ამ საკითხში; წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მნიშვნელოვანი შეცდომების დაშვება. სამაზრო კომიტეტის მიერ ეს კამპანია ჩატარებულ იქნა მთელ მაზრაში. შემდეგ დაწყებულ იქნა ჯგუფების ჩამოყალიბება. პირველ რიგში უღარიბეს გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბება დაიწყო ისეთ ადგილებში, სადაც სამაზრო კომიტეტის მიერ მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები არიან. ამ გზით შესაძლებელი გახდა პარტიული ხაზის მტკიცედ გატარება. ჯერ-ჯერობით ჩვენი მაზრის შემდეგ სოფლებში მუშაობენ ღარიბ გლეხთა ჯგუფები შილდა, ენისელი, ყვარელი, ზემო-ხოდა- მილდა, ენისელი, ყვარელი, ზედა-ხოდაშენი იყალთო და ახმეტაში; ჯგუფები ჩამოყალიბებულია საბჭოებთან. დანარჩენ თემებში თუმცა არის ჩამოყალიბებული ღარიბ გლეხობის ჯგუფები, მაგრამ აქ მუშაობა ჯერ არ დაწყებულა.

ამგვარად წარმოებულმა მუშაობამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო. რამოდენიმე ადგილას დაარსებულ უღარიბეს ჯგუფთა მუშაობა წესიერ კალაპოტში ჩამოყალიბდა.

ჯგუფები პირველ რიგში უღარიბეს გლეხ-საბჭოს წევრებიდან შესდგა, ხოლო შემდეგ ისინი თანდათანობით გაფართოვდენ და შემოიკრიბენ სოფლის უღარიბეს გლეხთა დანარჩენი ნაწილიც მათ კრებებს ესწრებიან საშუალო შეძლების აქტიური გლეხებიც.

აღსანიშნავი ის არის, რომ საშუალო და ღარიბ გლეხთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, და მათ შორის სრული თანხმობა და ურთიერთ გაგება დამყარდა.

ქრ. კოხტაშვილი.

ჩამორჩენილი უჯრედი

(დიღომის ა. ლ. კომკავშირის უჯრედი)

დიღომი სულ შვიდი ვერსითაა დაცილებული თბილისიდან, მაგრამ მიუხედავათ ამისა ახალ. ლ. კომკავშირის უჯრედში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ეს უჯრედი თბილისის მეორე რაიკომში შედის, რაიკომი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას. ამის გამო არის ალბათ, რომ უჯრედში არ სწარმოებს მუშაობა, ან და უკეთ, რომ ვსთქვათ სრული არევ-დარევა სუფევს.

საკმარისია დაესწროთ ერთ კრებას, რომ სრული წარმოდგენა იქონიოთ ამ უჯრედის მდგომარეობაზე. აურ-ზაური, ყვირილი, ერთი-მეორისათვის თავში ჩარტყმა, ჩხუბი—აქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

არავითარი დისციპლინა არ არსებობს, არავითარი მეცადინეობა არ მიმდინარეობს, კრებებზე ერთი - მეორეს წინააღმდეგ კინკლაობის მეტს არას აკეთებენ.

უჯრედის დაქვეითებას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე 5 სექტემბერი, აქ ისე ჩაიარა, რომ დღესასწაულის შესახებ არავის არაფერი გაუგია. არც კრება გაუმართავთ, არც მოხსენება ყოფილა, რა თქმა უნდა საღამოზე ან სხვა რაიმეზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ეს რომ სადმე მიყრუებულ სოფელში ხდებოდეს, სადაც არც ადგილობრივ მოიპოვებიან ხელმძღვანელი ძალები და ვერც ცენტრი მისწვდება—ეს კიდევ გასაგები იქნება. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ დიღომი თბილისიდან თითქმის ორიოდე ნაბიჯზე მდებარეობს და მისთვის რიგიანი ხელმძღვანელობა ვერავის გაუწევია.

კომკავშირის მეორე რაიკომმა უნდა მიიღოს დაბოლოს ზომები ამ უჯრედის გასაჯანსაღებლად.

წალდი.

ყურადღება უღარიბეს და საშუალო გლეხობას

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

თერჯოლის თემის კომუჯრედში პარტიის სამი წევრი და 20 კანდიდატია. უჯრედს არა ჰყავს არჩეული ბიურო, ვინაიდგან დღემდე უჯრედში პარტიის მხოლოდ ორი წევრი იყო. ეხლა მოემატა მესამე, რითაც შესაძლებელი გახდება ბიუროს არჩევა. გამოყოფილი იყო უჯრედიდან პ.—გ. მდივანი და ტეხნიკური მომუშავე. კრებები იმართება თვეში ოთხჯერ: ორი ღია კრება და ორი დახურული. ღია კრებაზე ესწრება კომკავშირელების ძალიან მცირე რიცხვი, რაც უნდა მიეწეროს თემკომის (ა. ლ.. კ. კ.) სუსტ მუშაობას. ესწრებოდა აგრეთვე უპარტიო გლეხობა. კრებებზე ისმება უმთავრესად ადგილობრივი საკითხები, როგორიცაა: სახალხო სახლის შესახებ, ქალთა შორის მუშაობა, თვითდაბეგვრის წესი, ტყეების დაცვა და სხვა. სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა უჯრედის წევრთა თვითგანვითარებისათვის. ღარიბ და საშუალო გლეხობის შორის მუშაობა ძალიან სუსტია, რაც უნდა იქნეს გამოსწორებული მომავალში. უჯრედს უპარტიო გლეხობა ნდობის თვალით უყურებს და უჯრედის წევრებს ხშირად ირჩევს სხვადასხვა საპასუხისმგებლო ადგილებზე.

ვალ—ია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საბოტაჟი მომჭირნეობის კამპანიაში

მუშურ - გლეხური სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილი ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ გადაუდებლად მოითხოვენ სოციალისტური დაგროვების შინაური რესურსების გაძლიერებას; ამისათვის აუცილებელია პირველ რიგში სისტემატიური და გაბედული ბრძოლის გატარება მომჭირნეობის რეჟიმის დასაცავად, გეგმაშეწონილი მუშაობა მეურნეობის ყოველგვარი დარგის რაციონალიზაციისა და სახელმწიფო აღმშენებლობისათვის. ამიტომ მომჭირნეობის რეჟიმი სახალხო მეურნეობასა და მართველობაში არ უნდა ატარებდეს დროებით დამკვრელ კამპანიის ხასიათს, რომელიც განისაზღვრება თანამედროვე სამეურნეო დაბრკოლებებით. ეს ლოზუნგი უნდა გაგრძელდეს ჩვენი სამეურნეო განვითარების პერიოდის განმავლობაში. ის უნდა იყოს ყოველი სამეურნეო მუშაკის თვალ წინ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესუსტდეს ამის გამო პროდუქციის თვისება და შრომის ნაყოფიერება და მით უმეტეს არავითარი გავლენა არ უნდა იქონიოს მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობასა და მის კულტურულ დონეზე. პირიქით მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში თითეული სამეურნეო მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ სოციალისტური მრეწველობის განვითარება არ შეიძლება განხორციელდეს მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარეშე.

საუბედუროდ, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დროს ბევრმა სამეურნეო ორგანიზაციებმა თავისი კამპანია მიმართეს იქითკენ, საიდანაც დიდი წინააღმდეგობის გაწევა არ იყო მოსალოდნელი; დაინახეს მომჭირნეობის ძირითადი ელემენტი შტატების მექანიკურ შემცირებაში, ნილაბ აფარებულ ხელფასის დაკლებაში, სპეცტანსაცმლის თვისების გაუარესებაში და სხვა. დასტოვეს უყურადღებოთ სავაჭრო ხარჯები და სამეურნეო მეთოდები. ზოგიერთ შემთხვევებში ყოველ ეჭვს გარეშე, შემჩნეულია უმოქმედობა და ბიუროკრატიზმი, რომელიც გამოიხატება მხოლოდ მიწერ-მოწერაში და ცარიელ ფრაზებში, რომლის დასამტკიცებლად მოჰყავთ შეუმოწმებელი და ხშირად მშრალი და ამდენადვე ეფექტის მომგვრელი ციფრები. ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიამ, აიღო რა თავის ხელში მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ ამიერ-კავკასიის მასშტაბით, აღნიშნა მთელი რიგი ზომების, რომლებიც მიმართულია მომჭირნეობის რეჟიმის იდეის ჩასანერგავათ თითეული მუშისა და სამეურნეო მუშაკის შეგნებაში და ამ იდეის სასწრაფოდ ცხოვრებაში გასატარებლად. მომჭირნეობის რეჟიმის რეალური მიღწევების და მისი სისწორით განხორციელების დანახვის მიზნით, ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს წარმოადგინონ 28 აგვისტოსათვის ანგარიში, მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ამ მიმართულებით, რომელსაც თან დართული უნდა ექნეს კონკრეტიული და ზედმიწევნით შემოწმებული საბუთები.

მიუხედავათ იმისა, რომ უმაღლესმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაუგზავნეს სადირექტივო მიმართვა მომჭირნეობის რეჟიმისთვის ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ და მასების აქტივობისა და ინიციატივის გამოსაცოცხლებლად, ზოგიერთმა ორგანიზაციებმა ამ საკითხის მიმართ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში, გამოიჩინეს აშკარა ბიუროკრატიული დამოკიდებულება, რომელსაც თან დაყვა საბოტაჟი, რადგან დასტოვეს თითქმის პასუხის გაუცემლად ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეკითხვა.

ასეთი მოპყრობა საქმისადმი აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენად შეუთვისებიათ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დირექტივები მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. ამით აგრეთვე საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მათ არ ექნებათ რაიმე კონკრეტიული მიღწევები. ასეთ მოპყრობას საქმისადმი არ შეიძლება არ შეხვდეს ჩვენი უმაღლესი ორგანოები შესაფერი დაფასებითა და გადაჭრილი ზომების მიღებით.

ვ. სტურუა.

უთავბოლო ხარჯებმა იმატა

როგორც გაიგეს, რომ მომჭირნეობის რეჟიმია გამოცხადებული, იმ წუთშივე შეიქნა „ზაკპოგრუზის“ გამგეობის „ფაცური“. სამუშაოდან უფროსი მუშები და დარაჯების უფროსი მოხსნეს და სამი კაცის ადგილას დანიშნეს ერთი კაცი. დარაჯებიც ასე გაანაწილეს.

რა მოხდა? გავიდა ერთი თვე. უფროსი მუშა დაიღალა, მან ვერ შესძლო 24 საათის განუწყვეტელი მუშაობა; გაასაჩივრა შრომის კომისარიატში, მოიგო საქმე და ამგვარად „ზაკპოგრუზმა“ დაარღვია შრომის არსებული კანონები და ზედმეტიც გადაიხადა.

ამას გარდა, ზაკპოგრუზის გამგეობამ ერთი უბანი მეორე უბანს შემოაწერა. მოხსნა რწმუნებული ერთი უბნის, დანიშნა სახელის შეცვლით რევიზორ-ინსტრუქტორი თანაშემწით, ჯამაგირი კი მოუმატა ასეთმა „რეორგანიზაციამ“ საქმე შეაფერხა და ხარჯებიც გაადიდა. დარაჯების უფროსების დანიშვნა ნავთლუღში არ იყო საჭირო, მაგრამ რა უნდა ექნათ, ან სად უნდა წაეყვანათ თავისი კაცი? ადგენ და ისინიც იქ მოაწყვეს.

გამგეობამ კანტორის რიცხვიც გაამრავლა. ზაკპოგრუზში გვაქვს ერთი კანტორა, ერევნის მოედანზე. ანდრეევის ქუჩაზე მოეწყო კანტორა და ამაში დაიხარჯა რამოდენიმე ათასი მანეთი. ერთი კანტორა გახსნეს სადგურის ქუჩაზე. მისი მოწყობა დაჯდა სამი ათასი მანეთი და სხ.

გამგეობა მომჭირნეობის რეჟიმის თვალსაზრისით დროზე ჯამაგირებს ვერ არიგებს და კანტორებზე ფლანგავს უამრავ ფულებს.

მუშები უკმაყოფილო არიან; ადგილკომი ებრძვის, მაგრამ ვერაფერი გახდა.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უთავბოლო ხარჯებს და აქ დაცულ იქნეს შრომის ნორმალური პირობები.

ეკალი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ვებრძოლოთ ბიუროკრატიულ დამახინჯებას

მომჭირნეობის კამპანიის ერთ თანდაყოლილ უარყოფით თვისებათ გადაიქცა სხვადასხვა კომისიების თუ განსაკუთრებულ ორგანოების დაარსება, რომლებსაც ევალებათ გაატარონ დაზოგვა თავიანთ დაწესებულება-წარმოებებში. კომისიები მიმართავენ კრებებს, ჰკარგავენ დროს ადგენენ ოქმებს და პროექტებს. ერთი სიტყვით, გარეგნულათ დიდი ხმაურობაა, თითქოს რაღაცა მართლაც კეთდება, არსებითად კი იმის ნახევარიც არ კეთდება, რაამდენიც „ფართი-ფურთია“. პირიქით, ზოგჯერ ამნაირი მუშაობა მომჭირნეობის კამპანიის უღრეს ბიუროკრატიულ დამახინჯებას იძლევა.

ამგვარი მუშაობის მიუღებლობაზე გაზ. „ბედნოტა“ სწერს:

„მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: ერთია ბრძოლა აშკარა ბოროტმოქმედებასთან, სახაზინო ქონების ქურდობასთან, შეგნებულ დაუდევრობასთან; მეორე—ბრძოლა მეურნეობისა და მართვა-გამგეობის აპარატის გაუმჯობესებისათვის.

ორივე ეს ამოცანები ერთად უნდა გადაიჭრას. არც ერთი მათგანი არ შეიძლება მოგვარებულ იქნას ბიუროკრატიულად, ბრძანებლობის გზით, არც ერთი მათგანი არ უნდა წყდებოდეს მუშებისა და გლეხების ფართე მასების მონაწილეობის გარეშე.

ამისათვის უნდა მოხდეს კამპანიის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება. მაგრამ საჭიროა თუ არა ახალი ფორმების შექმნა, კომისიების გამოყოფა, „მომჭირნეობის მებრძოლ შტაბების შექმნა“ და სხვა? არა, რასაკვირველია. საჭიროა მხოლოდ სავსებით გამოვიყენოთ პარტიისა და მასის დამაკავშირებელი უკვე არსებული ორგანოები: საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი, სადელეგატო კრებები.

ყველა ეს ორგანოები უნდა ავამოძრაოთ და ამრიგათ ვეცადოთ დავიცვათ მომჭირნეობის კამპანია ბიუროკრატიულ გადახრისაგან“.

პატარა ფელეტონი

„ლიკვიდკომი“

ანუ

სიზმარი ცხადად

ეს სიზმარი იყო ცხადად...
იყო,—გაქრა ისევ წუთში,
როგორც მეფის მანიფესტი,
თუ თქვენ გახსოვთ, ცხრაას ხუთში
გამეღვიძა და სიამით,
გადავისვი შუბლზე ხელი,
მოვიწმინდე, სიზმარში რომ
გადამასკდა ოფლი ცხელი.
და ვიფიქრე: გვიხსნა ღმერთმა,
ეს რომ ასე იყოს მართლა,
მაშინ ისევ დაგვეპირდება
უწყებების წმენდა-გაცვლა.
თუმცა სიზმარი კერძო არის,
კერძო — ჩემი საკუთრება,
მაგრამ უნდა გავამჟღავნო—
ასეთი მაქვს მოსაზრება:
იქნებ რაც მე სიზმრად მარტომ
საიდუმლოდ ღამით ვნახე,
არც იმდენად სიზმარია
და აშკარად უჩანს სახე.
ვიტყვი სიზმარს, თუმცა ვშიშობ
იგი ცხადად არ აგვიხდეს,
მე ვიტყვი და...ვინც რა უნდა
ისე ახსნას, ისე მიხვდეს.

* * *

დამესიზმრა, თითქოს სადღაც,
რომელიღაც ერთ უწყებას,
(სახელი კი აღარ მახსოვს,
ძილში მივეც დავიწყებას)
ერთხანს ჰქონდა, თუ არ ვცდები,
მგონი წიგნის მაღაზია;
და აგებდა ვაჭრობაში,
თუმც ყოველთვის იყო ღია.
ერთხელ, როცა მაღაზიის
შეადგინეს ანგარიში,
უწყებაში წაგებაზე
გაჩნდა ერთი ვაი-ვიში.
შეიკრიბა ხელმძღვანელთა
საგანგებო მყისვე კრება,
დადასტურდა, რომ სიცოცხლე
მაღაზიის უკვე ქრება.
და რადგანაც უწყებაზე
შესტკიოდა გული ყველას,
ბევრი აღარ დააყოვნეს:
მიჰყვეს ხელი საქმის შველას.
იმსჯელეს და ითათბირეს,
სულ ყველამ სთქვა თითო სიტყვა,
და კამათში საბოლოოდ
გამოირკვა იქვე კითხვა.
აღმოჩნდა, რომ მაღაზია
იგი უნდა დაიხუროს,
რომ უწყება საბოლოოდ
ვალებით არ დაიყუროს.
მაგრამ რადგან დასათვალი.
იყო ლუქი და ფანქარი,
თანაც შესამოწმებელი
რკინის ყუთი და დავთარი,
დაადგინეს (თუმც გადაწყდათ
იქ ამისთვის ზოგ-ზოგს ომი),
რომ დაარსდეს ამ საქმისთვის
უსათუოდ „ლიკვიდკომი“.
მოიწვიეს თავმჯდომარე,
თანამშრომელთ შტატი მთელი,
თან ვექილიც, რომ მონახოს
კანონი და „საფუძველი“,
და რადგანაც „ლიკვიდკომსა“
სამუშაო ჰქონდა ძნელი,
ვადაც აღარ შეუზღუდეს,
დაუნიშნეს ერთი წელი.
ჯამაგირიც განუწესეს:
მცირეს მცირე და დიდს დიდი,
ხუმრობაა?! ლუქი იყო
და ფანქარი გასასყიდი.
დაადგინეს,—შეასრულეს
საქმე იმათ განაპირი.
თავისუფლად ჩაისუნთქეს:—
მოიცილეს ერთი ჭირი.
მე სიზმარში იმ ლიკვიდკომს
სწორედ მაშინ მოუსწარი,
როცა შუბლზე ასკდებოდა
ბევრი ფიქრით, ოფლი მწარე.
ის ფიქრობდა: ერთ წელიწადს
რა ვაკეთო მე, რა ნეტა?!
ნუ თუ კვირა არ კმაროდა
რომ დუქანი დამეკეტა?!!...
მეც ვიფიქრე: რომ არ ექნათ,
სჯობდა ხარჯი ამისთანა.
რამდენ მსურველს მიხვდებოდა
იმ თანხებით ანა-ბანა!

* * *

ვიფიქრე და... გამეღვიძა.
ვსთქვი მესიზმრა, გვიხსნა ღმერთმა.
მაგრამ მაინც გამირბინა
თავში ობლად აზრმა ერთმა:
უცნაური სანახავით
ღმერთს ქვეყანა აუვსია,
მგონია, რომ ამ სიზმარში
სწორედ ჩვენი „წერკუმსია“.
და ის წიგნის მაღაზიაც,
თუ არ ვცდები, იმისია,
მგონი იმას დაუნიშნავს
იგი „ლიკვიდკომისია“.
მე ეს მხოლოდ გავიფიქრე,—
გავიფიქრე მხოლოდ წუთში...
და კვლავ სიზმარს ავედევნე
სათვალთვალოდ ისევ კუდში.

ხოზიკა.

სას.-სამეურ. პროდუქტების დამზადება

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ საქართველოში, შეიმუშავა 1926-27 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედვა მიმდინარე წლის დამზადების გამოცდილება და აგრეთვე მომზადებულ ორგანიზაციების ტეხნიკური და ფინანსიური შესაძლებლობანი.

გეგმა ითვალისწინებს 25 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას.

თამბაქო

თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ 1925—26 წელში დამზადებული იქნა აფხაზეთში, კახეთში, სამეგრელოში, გურიაში და აჭარისტანში—535.600 ფ. თამბაქო.

1926-27 წელში წინასწარი გამოანგარიშებით საქართველოში უნდა მოვიდეს 570.000 ფ. თამბაქო. აქედან გეგმის მიხედვით განზრახულია 520.000 ფ. თამბაქოს დამზადება. აქედან—440 ათასი ფ. აფხაზეთში, 70.000 ფ. კახეთში და 10 ათასი ფ. გურია-სამეგრელო-აჭარისტანში. თამბაქოს დამზადება დაჯდება 13.520.000 მანეთი.

მატყლი

88.000 ფ. მატყლის მაგიერ, რა რაოდენობაც დამზადებული იქნა მიმდინარე წლის განმავლობაში, 1926-27 წელში განზრახულია დამზადდეს—105.000 ფ. მატყლი.

გარდა აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა პროდუქტების დამზადება (სიმინდი, დაფნის ფოთოლი, ჯაგარი, ხილი, რძის პროდუქტები, და სხვა).

მთელი 1926-27 წელში დასამზადებელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება შეადგენს—31.628.000 მანეთს.

ჩაი

ნორმალურ კლიმატიურ პირობებში 1926-27 წლის განმავლობაში აიკრიფება დაახლოვებით 3.000.000 გირვანქა ნედლი ჩაის ფოთოლი. მთელი ეს რაოდენობა უნდა იქნეს დამზადებული საქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაი“-ს მიერ. დამზადებას დასჭირდება 510.000 მან.

ღვინო

ვენახებს წელს კარგი პირი უჩანს. წინასწარი გამოანგარიშებით ღვინის მოსავალმა უნდა მიაღწიოს 5.000.000 ვედროს. ამ რაოდენობიდან გეგმით განზრახულია 740.000 ვ. ღვინის დამზადება. (1926-27 წლის 10 თვის განმავლობაში დამზადებულია 490.000 ვ.).

სპირტი

შინა-ვაჭრობის კომისარიატის ცნობით მიმდინარე წლის განმავლობაში დამზადებულია 4.050.000 გრადუსი სპირტი. 1926-27 წლის განმავლობაში განზრახულია დამზადდეს 5.750 ათასი გრადუსი სპირტი, რასაც დასჭირდება 1.437.500 მანეთი.

აბრეშუმის პარკი

უკანასკნელ წლებში აბრეშუმის პარკის მოსავალმა გადააჭარბა წინა 3 წლების მოსავალს. 1926 წელში საქართველოში მოვიდა 150.000 ფ. მეტი პარკი. 1927 წელში გეგმის მიხედვით უნდა მოვიდეს 180.000 ფ. ამ რაოდენობიდან განზრახულია 150.000 ფ. დამზადება (წელს დამზადებული იქნა—139.000 ფ.).

ბამბა

მიმდინარე წელს ბამბით დათესილია 8018 დესეტინა მიწა (1000 დეს. მეტი ვიდრე შარშან). ბამბის მოსავალი ნავარაუდევია 280.000 ფ. აქედან განზრახულია დამზადდეს 240.000 ფ. (გასულ წელს დამზადდა—170.000 ფ.).

„ინდო“

„ინდოს“ მუშაკთა ამიერ-კავკასიის სამმართველომ დაუგზავნა რესპუბლიკანურ გამგეობებს შემდეგი შინაარსის მოწოდება:

„ინდო - ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე გაფიცვამ მიიღო გაჭიანურების ხასიათი. კაპიტალისტ - კონცესიონერებს სურთ ჩვენი ორგანიზაციული რიგების ჩაშლა სიმშილითა და გაჭირვების განცდით.

გაფიცულთა დასახმარებლად ჩვენი კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დიდძალი თანხა, მაგრამ საჭიროა კიდევ დახმარება.

ამიერ - კავკასიის საგაფიცვო კომიტეტი—პლენუმის პრეზიდიუმის წინადადებით, გავალებთ ადგილობრივ მოაწყოთ საღამო გაფიცულთა სასარგებლოთ“.

ცეკას ხაზს იწონებენ

საგაფიცვო მთავარ კომიტეტისაგან მიღებულია ცნობა, რომ ოდესაში შესდგა მთავარი საგაფიცვო კომიტეტის სხდომა „ინდოს“ პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად. ამ სხდომაზე გამოირკვა, რომ „ინდოს“ მთელ ხაზზე სრული თანაგრძნობით შეხვდნენ ცენტრალური კომიტეტის მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებს „ინდოს“ ადმინისტრაციისადმი კენიგანთან მოლაპარაკების დროს.

„ინდოს“ მუშებმა სთხოვეს ცეკას, რათა უკანასკნელმა დაჟინებით მოითხოვოს „ინდოს“ ადმინისტრაციისაგან 20 პროცენტით სამუშაო ხელფასის გადიდება 1925 წლის 1-ლ ნოემბრიდან.

როგორ მიმდინარეობს გაფიცვა

ამიერ - კავკასიის გაფიცვის კომიტეტმა ოდესიდან გაფიცვის მთავარ კომიტეტიდან გუშინ მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გაფიცვა მთელ ხაზზე ერთსულოვნად მიმდინარეობს, მომუშავეთა განწყობილება მტკიცეა.

საერთო კრებებზე „ინდოს“ მუშაკები მთლიანად მხარს უჭერენ ცეკას მოთხოვნილებებს“.

„ინდოს“ მუშაკნი გაფიცულ მემაღაროებს

მოსკოვი, 9 სექტემბერი. დღეს საღამოს ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციის ნაწილმა ინახულა ცენტრალური ტელეგრაფი, სადაც მათ ოდესაში პირდაპირი მავთულით გაგზავნეს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა „ინდოს“ გაფიცულ მუშაკთა სახელზე:

„გიგზავნით ძმურ სალამს გაფიცულ სატელეგრაფო მუშაკებს და გისურვებთ სრულ გამარჯვებას თქვენს ბრძოლაში“.

ამის საპასუხოდ „ინდოს“ მუშაკებმა ოდესაში გადასცეს მადლობა მისალმებისათვის და განაცხადეს, რომ „ინდოს“ გაფიცულმა სატელეგრაფო მუშაკებმა დაადგინეს ანარიცხების შეგროვების გაგრძელება ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თამბაქოს ქარხანა

ქუთაისი, 9 სექტემბერი. 26 კომუნარის სახელობის ქუთაისის თამბაქოს ქარხანაში აგვისტოს თვის განმავლობაში დამზადებულია 5.847.000 ცალი პაპიროსი, ე. ი. ნორმაზე 846.000 ცალით მეტი. ამიერ-კავკასიის ბაზარზე გამოშვებულია 2.190.000 ცალი პაპიროსი, ხარკოვში გაიგზავნა 950.000 ცალი. ნედლი მასალის მარაგი კიდევ იკმარებს ერთი თვე.

არ არის საკმარისად ზოგიერთი ჯიშის ფურცლოვანი თამბაქო, რის გამო ადგილი აქვს ზოგიერთ ხარისხის პაპიროსების მცირე რაოდენობით დამზადებას, ზოგის კი—გადაჭარბებით.

ცხოველების გაცოფება

ქუთაისი, 9 სექტემბერი. ქუთაისის აღმასკომის ვეტერინალურ განყოფილების მიერ აგვისტოს განმავლობაში აღნიშნულ იქნა ერთი შემთხვევა კატის გაცოფებისა და ოთხი შემთხვევა—ძაღლის, რომელთაც დაუკბენიათ 10 კაცი. ივლისში აღნიშნულ იქნა ორი შემთხვევა კატის გაცოფებისა და 10 შემთხვევა ძაღლის გაცოფების, დაუკბენიათ 58 კაცი. დაკბენილები გამოგზავნილ იქნენ თბილისში, პასტერის სადგურზე.

მოსახლეობის ზრდა

ახალსენაკი, 9 სექტემბერი. სამაზრო სტატისტიკურ ბიუროს ცნობების თანახმად ამჟამად მაზრაში 128.285 ადამიანია, 1886 წ. მოსახლეობა უდრიდა—10[illegible] კაცს. ამრიგად 40 წლის განმავლობაში მაზრის მოსახლეობა გაზრდილა 20.0000 კაცით.

ცემენტი ამიერ-კავკასიისთვის

ფოთი, 9 სექტემბერი. ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის გემ „პეტრე სტაროსტინი“-თ მოტანილია 9.400 ფ. ცემენტი.

აფხაზეთი

ზღვის ნაპირის გამაგრება

სოხუმი, 9 სექტემბერი. სოხუმის ნავთსადგურის მმართველობამ დაამთავრა სამზადისი მუშაობა ზღვის ნაპირის გასამაგრებლად. დაიწყო რეგულიარული მუშაობა. სწარმოებს სათანადო ლიანდაგის დაგება. მასსივები და ლიანდაგის რიგი გაკეთებული იქნება ნაპირიდან 180 მეტრის მანძილზე.

მალარიასთან ბრძოლა

სოხუმი, 9 სექტემბერი. მალარიასთან დაჩქარებულ ბრძოლის წყალობით, სოხუმში აგვისტოს განმავლობაში აღრიცხული იყო სულ 16 შემთხვევა მალარიით ახლათ დაავადებისა.

სოხუმის სამალარიო სადგურის მიერ აღრიცხულ იქნა შემთხვევა, მალარიის კომატიზურ (ტვინის) ფორმით დაავადების.

ბრინჯის ნაკლებობა

სოხუმი, 9 სექტემბერი. მთელ აფხაზეთში შემჩნეულია ბრინჯის ნაკლებობა. ფასები გაიზარდა და უკვე ავიდა ფუთი 9 მანეთზე დაბალი ხარისხებისა.

ბრინჯის ნაკლებობის ნიადაგზე გაძლიერდა კერძო ვაჭრების სპეკულიაცია.

ბაზარზე შესამჩნევია აგრეთვე თხის ტყავის ნაკლებობა.

წერილები

ქოიავას მარიობა

(ძველი—აბაშა, სენ. მ.)

„კაცს ყოველ დღე ხაჭაპურის ჭამა მოსწყინდება. მზეთუნახავი ქალი რომ გყავდეს, ისიც მოგაბეზრებს ბოლოს და ბოლოს თავს“. ასეთია ძველი აბაშის მცხოვრებ, სამსონ კოწიას-ძე ქოიავას ბრძნული აზრები ოჯახის ყოფა-ცხოვრების შესახებ. და ის არა თუ ამბობს, კიდევაც ასრულებს თავის ნათქვამს. სამსონი თავის სიტყვის კაცია.

ერთი ცოლი სამსონმა უკვე გაისტუმრა ჭირისუფლებთან. ქალი ჭიშკრიდან გადასული არ იყო, რომ მშვენიერ სქესის მოყვარულ ქოიავას ეზოში მეორე ცოლი შემოუვიდა. მაგრამ გავიდა ხანი, სამსონის თქმულების თანახმად, „ხაჭაპური მობეზრდება კაცს“, და ქოიავასაც მობეზრდა ეს „მეორე ხაჭაპური“. დაუპირა ქალს მშობლებისაკენ გასტუმრება, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა ეს საქმე. მას მეზობლები აუხირდენ, „რა ამბავია, რა ზნედაცემულობას იჩენ, კაცი ხარ თუ მხეცი - ხვადიო“, თან ქალის ჭირისუფლებიც ცოტა მაგარი ვაჟკაცები იყვნენ და სამსონი ასე ადვილად ვერ ბედავდა განზრახვის სისრულეში მოყვანას.

მაგრამ მარიობა კარზე იყო? თუ ამ დღეს არა, როდის უნდა გაესწორებია ქოიავას ანგარიში ცოლის ნათესავებთან. აფრინა წერილები მოყვრებში. მოკითხვა და ნახვის ნატვრა შეუთვალა და თან მოსიყვარულე მასპინძელივით დასძინა: „მობრძანებითა თქვენითა განამხიარულეთ ოჯახი ჩვენი“-ო.

მარიობა დღეს სიმამრ ცოლის-ძმა მართლაც ეწვია ქოიავას. პირველ დღეს სვეს, სჭამეს და იმხიარულეს. ქეიფი ერთი დღიდან მეორეზე გადაბეს. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, „მწუხარება მხიარულების ბიძაშვილია“. ხო და სამსონ ქოიავას სახლშიაც მალე შესცვალა ერთი „ბიძაშვილი“ მეორემ. გაჩნდა საინების ტრიალ-ტრიალი და ბოთლების ლაწა-ლუწი. ერთი მხრივ იბრძოდა სამსონი და ანტონ ქოიავები, მეორე მხრით სამსონის სიმამრი და ცოლის-ძმა.

მალე სუფრის მოწყობილობას ოთახის მორთულობაც მიჰყვა, მთელი ავეჯეულობა აინგრდაინგრა. ქალებისა და ბავშვების კივილი იქაურობას იკლებდა. მოჩხუბრები სისხლში გაიღებნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთს არ ეშვებოდენ.

გვერდით, ორი ფეხის გადადგმაზე თემაღმასკომის სამმართველოა, ისე მიიმალ-მოიმალენ ადგილობრივი ხელისუფალნი, რომ კაცი სანთლითაც ვერსად ნახავდა. ბოლოს, ორი საათის თავდავიწყებულ ბრძოლის შემდეგ, გამოჩნდა „მადლიანი“ იქვე შემთხვევით მყოფი სტუმარი მილიციელი, რომელმაც დაცალა რამდენიმე ვაზნები და მოჩხუბრები მიმოჰფანტა.

ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება, ქოიავას მარიობა ბედნიერათ არ დასრულებულა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ დასასრული მარტო ეს ჩხუბი არ იქნება. ქოიავას უმზგავსო საქციელის შესახებ თავის სიტყვას იტყვის ადგილობრივი პარტორგანიზაცია, რომლის წევრიც, სამწუხაროთ, ის დღეს არის.

კ—ჩი.

გზა გვექნება

(ორბელ - ცაგერის გზა)

ლეჩხუმის მაზრაში უგზოობა სულს უხუთავს გლეხობას. მაზრის ცენტრში გადასვლა წვიმიან დღეებში პირდაპირ ტანჯვაა. ამიტომ სამაზრო აღმასკომმა მოიწვია ინჟენერები და ორბელ-ცაგერს შუა დაგეგმეს გზა. მუშაობა კარგა ხანია, რაც დაიწყო. გლეხები დიდი ხალისით ეპყრობა ამ საქმეს. ამ გზის შეყვანა ცაგერში წინ წასწევს მაზრის კულტურულ ეკონომიურ მდგომარეობას.

ხსენებულ მუშაობაში აღსანიშნავია მაზრაღმასკომის ენერგია და უნარი. ამ გზის გაყვანისთვის თითქმის დღე და ღამ მუშაობას აწარმოებენ, რაც დიდად სასიხარულოა.

მიუხედავათ იმისა, რომ მაზრა დეფიციტიანია, მაინც არის მიღწევები აღმშენებლობის დარგში. მოთავდა აღმასკომის ახალი შენობა. ძველს კი უკეთდება კაპიტალური შეკეთება. ეს სახლი შემდეგ გადაეცემა საავადმყოფოს. მთავარ ქუჩაზე ვიხრჩობოდით ტალახში. ეს ქუჩა მოკირწყლეს ხრეშით. ახლა თუნდა ავტომობილით ვავლოთ. თეატრის შენობის შეკეთებაც მალე დამთავრდება.

განზრახულია აგრეთვე სასმელი წყლის გამოყვანა შუაგულ ბაზარში.

ჯანმრთელობის საქმესაც სერიოზული ყურადღებით ეპყრობიან. განზრახულია საწოლების რიცხვის გამრავლება, და ქირურგის მოწვევა. თემებშიაც სწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობა, დ. ლაილაში სულ მალე ავტომობილი შევა.

ჰოფი.

ოცი მომავალი საბჭოთა მოქალაქეები

(ზუგდიდი)

ზუგდიდში 1923 წლიდან არსებობს საბავშვო სახლი. პირველ ხანებში სახლი მოკლებული იყო ყოველგვარ სახსარს. არ ჰქონდა სათანადო ბინა და საჭირო მასალები, მაგრამ 1925 წლის ბოლო რიცხვებიდან სახლის მდგომარეობას ყურადღება მიაქცია სამაზრო აღმასკომმა და გადასცა ექვს თვალიანი სახლი ერთი დესეტინა ბაღით. ამის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. სახლი თავის დონეზე დადგა, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურული მხრივ.

დღეს საბავშვო სახლში არის 20 ბავშვი—7 წლიდან—11 წლამდე, მათ შორის 7 გოგოა. ბავშვები გამოცდილი ხელმძღვანელების დახმარებით ეწევიან კულტურულ მუშაობას. არსებობს სხვადასხვა წრეები, სადაც არიან ჩაბმული ბავშვები და პირნათლად ასრულებენ დავალებას. აგრეთვე ბავშვებმა გამართეს გლეხებისათვის სანიმუშო ბოსტანი. საბავშვო სახლი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს გლეხებში. უპატრონო ბავშვების ლტოლვა ბავშვთა სახლისაკენ მეტად დიდია, მაგრამ უსახსრობის გამო მათი მიღება ძნელი ხდება. სახლს არა ჰყავს ღარაჯი, რომელიც უნდა დაინიშნოს.

მცოდნე.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლა.** აზარეთის თემში (ახალციხის მაზრა) შენდება ახალი სკოლა.

— **ხიდაგოოს** თემში სიღნაღის აღმასკომი ხსნის სამოსახლო უბანს.

—**სიღნაღის** აღმასკომი შეუდგა სამაზრო საავადმყოფოს გაკეთებას.

— **ყამარლის** თემი (ბორჩ. მაზრა) შეუერთდა ბაშკიჩეთის თემს.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი

სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეტანისათვის ახალი კანონით დაწესებულია სამი ვადა: 1) 1 ნოემბრისათვის, 2) 1927 წლის 1-ლი იანვარი და 3) 1 თებერვალი.

გადასახადის დაგვიანებით შეტანისათვის გადამხდელი იხდის ჯარიმას, მაგრამ ვინაიდან ჯარიმა იწვევს უკმაყოფილებას ერთი მხრივ გადამხდელებისაგან, და მეორე მხრივ საბჭოთა ხელისუფლებასაც არა სასურველად მიაჩნია ჯარიმის აღება, ამიტომ განზრახულია ფართე კამპანიის ჩატარება, რომ გლეხმა თავის დროზე შეიტანოს გადასახადი. კამპანიის დროს გლეხები უნდა გააცნონ იმ გარემოებას, რომ გადასახადის შეტანა შეუძლია ვადამდე, როცა მას უნდა და საშუალება აქვს მაგალითად შრომის შემნახველ სალაროებში და არ დაუცადონ საგადასახადო პუნქტების დაარსებას აღნიშნულ ვადებზე. ეს გაუადვილებს გლეხს გადაინახოს საჭირო თანხა გადასახადისათვის და ამავე დროს აიცდინონ ფულის ხელში შემოხარჯვა და დროზე გადასახადის შეუტანლობისათვის ჯარიმა.

წითელ ჯარში

„ლენინის კარავი“.

(N ლეგ. მე-9-ე ასეული).

ამ ასეულში თავმოყრილნი არიან სომეხი ცვალებადი წითელარმიელნი ახალქალაქის მაზრიდან. ბევრმა მათგანმა არ იცის ქართული ენა და ამიტომ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობა მათთან სწარმოებს სომხურ ენაზე. სამეცადინოთ მათთან შერჩეულნი არიან სომხური ენის კარგათ მცოდნე ჯგუფხელმძღვანელები.

ასეულს აქვს საკუთარი „ლენინის კარავი“, სადაც ცვალებადნი ატარებენ მეცადინეობიდან თავისუფალ დროს. კარავი ლამაზად არის მოწყობილი. ბლომად არის სურათები და პლაკატები. არის აგრეთვე სომხურ ენაზე. ყაფაზებზე აწყვია მრავალი სომხური წიგნი. ასეულს მოსდის სომხური ჟურნალ-გაზეთები.

კარავში ყოველთვის მრავლად არიან არმიელნი. ზოგი წერილის წერაშია გართული, ზოგი კითხულობს რაიმე წიგნს. უფრო კი ხშირად აქ იმართება საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. პოლიტხელმძღვანელი შემოიკრებს თავის გარშემო არმიელებს და ებაასება მათ მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე, შინაურ ცხოვრებაზე და მათ მომავალ მუშაობაზე.

სომეხი ცვალებადი არმიელნი გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას. ცდილობენ შეიძინონ შეკრებაზე, რაც შეიძლება მეტი ცოდნა, რომ ამით მოუტანონ რაიმე სარგებლობა თავის კულტურულად ჩამორჩენილ მაზრას.

ამაში „ლენინის კარავიც“ უწყობს მათ ხელს საჭირო მასალის და სახელმძღვანელოების მიწოდებით.

ი. ზ.

სამხედრო კუთხეებში მუშაობას ნუ შევაჩერებთ.

ქართული წითელი ჯარის ნაწილების მიერ საქართველოს სოფლებში და ქალაქებში მრავლად არის გახსნილი და მოწყობილი სამხედრო კუთხეები. მუშაობა კუთხეებში, როდესაც ჯარის ნაწილები იდგნენ წერტილებზე, მიმდინარეობდა წარმატებით. მუშაობდენ სხვადასხვა ხასიათის წრეები, იმართებოდა შეჯიბრი სკოლაში, სწარმოებდა სამხედრო ხასიათის თემების დამუშავება.

ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიალურ ნაწილების საერთო შეკრება. ჯარის ერთეულები მოხსნილნი არიან წერტებიდან. მათ არა აქვთ შეძლება გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა სამხედრო კუთხეებს სიშორის გამო. მხოლოდ ეხმარებიან სამუშაო გეგმის და სხვა საჭირო მასალის მიწოდებით.

ადგილებიდან მოსული ცნობების მიხედვით, წერტებიდან ჯარის ნაწილების წამოსვლის შემდეგ. ბევრ სამხედრო კუთხეში შეწყვეტილია მუშაობა.

სამოქალაქო ორგანოები, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფებიან სამხედრო კუთხეები, მუშაობის შეჩერებას კუთხეებში ხსნიან იმ გარემოებით, რომ კუთხეებს არა ჰყავთ მეთაურები, რომლებმაც უნდა აწარმოონ სამხედრო ხასიათის მეცადინეობა. ეს არის სწორი შეხედულება საქმეზე. სამხედრო კუთხის სამუშაო გეგმაში, გარდა სპეციალური სამხედრო მეცადინეობისა, გათვალისწინებულია მრავალი სხვადასხვა სამუშაო, რომლის ჩატარება შეიძლება უმეთაუროთაც ადგილობრივი ძალების საშუალებით.

საჭიროა, რომ სამხედრო კუთხეების მესვეურებმა და ხელმძღვანელებმა გამოიჩინონ უნარი და ვაჟკაცობა და გამოიყენონ ის ძალები, რომლებიც მოიპოვება მრავლად ჩვენ დაბა-სოფლებში. სამუშაოდ კუთხეში ფართედ უნდა იყვნენ მოზიდულნი ყველა სათადარიგო მეთაურები, ყველა შვებულებაში მყოფი წითელარმიელნი და სახლში დარჩენილი ცვალებადნი. ყველა მათ აქვთ საკმაო გამოცდილება სამხედრო დარგში და უეჭველია მოუტანენ სარგებლობას სამხედრო კუთხეს.

გარდა ამისა, თუ სოფლად არ მოიძებნება ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია სამხედრო საქმის გაძღოლა, უნდა გამოიძებნოს სხვა საშუალება მეცადინეობის საწარმოებლად. ჯარის ნაწილის დაბრუნებამდე წერტზე, კუთხეში უნდა სწარმოებდეს გარჩევა და დამუშავება სამხედრო ხასიათის წიგნების და ბროშიურების, რომლებიც ყოველ კუთხეს მრავლად მოეპოვება. ყოველი კუთხე ღებულობს გაზეთ „წითელ არმიელს“. მასში მოთავსებულია წერილები სამხედრო დარგიდან. უნდა ხდებოდეს ამ წერილების ხმამაღალი კითხვა და იმართებოდეს სჯა-ბაასი მათ ირგვლივ.

ამ მუშაობით ჩვენ შევძლებთ შევინარჩუნოთ სამხედრო კუთხეები შეკრების ხანაში და არ შევაჩეროთ მათი მუშაობა.

ც. ხ.

მნიშვნელოვანი დახმარება.

მიმდინარე ტერიტორიალური შეკრების ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. მათ სავსებით შეიგნეს, რომ ტერიტორიალური სისტემის განმტკიცება არ არის საქმე მარტო სამხედრო ორგანოების, არამედ იგი მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს ყველა ძალების დახმარებას.

ქ. გორის სამოქალაქო, პარტიული და პროფორგანიზაციები ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობდნენ N ქართულ ლეგიონთან ერთად შეკრების ირგვლივ და ცდილობდენ ხელი შეეწყოთ შეკრების ბრწყინვალედ ჩატარებისათვის.

გარდა ამისა, მათ აღმოუჩინეს ლეგიონს აგრეთვე მატერიალური დახმარება. აღმასკომის, პარტკომის და პროფბიუროს მიერ გადაეცა ლეგიონს შეკრების საჭიროებისათვის თანხა. პოლიტბიურომ და განათლების განყოფილებამ გადასცეს ლეგიონს სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნები და საკანცელარიო ნივთები.

ლეგიონის მიერ ეს თანხა მოხმარებულია ცვალებადელთა შორის პარტპოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისათვის.

ლეგიონი მხურვალე მადლობას უთვლის ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს უხვი დახმარებისათვის.

გ—ი.

თემების რეორგანიზაცია

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის დადგენილებით საქართველოში მოხდა თემების შემდეგი რეორგანიზაცია:

ახალქალაქის მაზრა

გაუქმდა შემდეგი თემები: ქულიკამის და დილისკის. დაარსებულია შემდეგი ახალი თემები: ახალქალაქის, კარწახის, განძის და ტამბოვსკის სასოფლო საბჭო.

გაუქმებულია დილისკის თემის შემდეგი სოფლები: აპნია, გოგაშენი და დანგალი. ესენი შეუერთდა ხურთკისის თემს. ბარალეთის თემის სოფელი კეთილია შეუერთდა ალასტანის თემს. ტამბოვსკის სასოფლო საბჭოს შეიწერა სოფ. ასფარა, ვლადიმიროვკა, ტამბოვკა, ახალი ხულგუმო და რანოვკა.

ტოლოშის, ბალოშეთის, ლეპისის ურაველის, ზეელის, ვალის, უდეს, და ადიგენის.

ახალციხის მაზრა

გაუქმებულია შემდეგი თემები: ტაძრისი, წირი, მინაძის, ენთელის, მოხეს, ღელოვანის და ჯაყისმანის.

დატოვებულია შემდეგი თემები: აწყურის, ახალციხის (ყოფ. კლდის), ვარხნის, ასპინძის, ურაველის, ზედლის, ვალის, უდეს და ადიგენის. ტაძრისის და ღვიოის თემების საკითხი უნდა მოეგვარდეს ახალციხის და გორის სამაზრო აღმასკომების შეთანხმებით.

ზუგდიდის მაზრა

გაუქმებულია შემდეგი თემები: ლეგდვებიის, ჯოლეჯიანის, რიყის, ახალ-ეწერის, ჭკადუაშის, ლეწურწუმის და ჯიხას-კარის.

ხობულის, ნორაშენის, დიდი ნეძის და ქარიატის თემები გაერთიანდენ.

სენაკის მაზრა

გაუქმებულია თემები: ძონძირ-ირულის,—თეკლათის თემთან შეერთებით და თეკლათის თემის სახელწოდებით, წყემის,—გუჯეთის თემთან შეერთებით და გუჯეთ-წყემის თემის სახელწოდებით, სეფიეთის,—ონტოფოს თემთან შეერთებით, ონტოფო-სეფიეთის თემის სახელწოდებით. ქოლობანის,—მარტვილის თემთან შეერთებით, ნაგვაძის,—მარტვილის თემთან შეერთებით, ფოცხოს,—უშაფათის თემთან შეერთებით, ძველი აბაშის,—აბაშის თემთან შეერთებით და აბაშის თემის სახელწოდებით.

ოზურგეთის მაზრა

გაუქმებულია შემდეგი თემები: ოზურგეთის, ბუკნარის, ძიმითის, ჯვარცხმის. ზომლეთის და აკეთის თემები გაერთიანდა; გაერთიანებულია აგრეთვე ნიგვზიანის და ნინოშვილის თემები ნინოშვილის თემის სახელწოდებით. დატოვებულია შუა-სურების თემი. სილაურის თემი გაუქმდა.

ქუთაისის მაზრა

გაუქმებულია შემდეგი თემები: კუხის, იანეთის, ბაშის, ჰოგნარის და გოდოგნის. ლანირ-ჭაგანის და ლანირ-ქვიტირის თემები გაერთიანდა. გაერთიანდა აგრეთვე იანეთის და იწერის თემები.

შორაპნის მაზრა

გაუქმებულია შემდეგი თემები: სარქველეთუბნის თუზის, ზედა-საზანოს, დელიკაურის, ლაშე-ღვერკის. შროშის თემი შეუერთდა ძირულის თემს.

სამრეწველო მცენარეები

ფოთის ამოშრობილ ჭაობებში

ამ.-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა 3 ათასი დესეტინა მიწის ამოშრობა ფოთის ჭაობიან რაიონში. ამ მიწის ნაკვეთიდან საქართველოს სახალხო მამულების ტრესტს გადაეცა 1000 დესეტინა მიწა. ტრესტს განზრახვა აქვს მოაწყოს წმინდა სამრეწველო ტიპის საბჭოთა მეურნეობა, რომლის მიერ გაშენებული იქნება ახალზელანდიური სელი, რამის მცენარე და კანაფი იმ მიზნით, რომ დამზადებულ იქნეს სამრეწველო ნედლეული. ამ მცენარეების თესვას შეუდგებიან უახლოესს გაზაფხულზე. ახალზელანდიურ სელს ხმარობენ უმთავრესად სუფთა ჰოლანდიურ ტილოს დასამზადებლად.

ამ დღეებში ტრესტის მომავალ მამულში მიემგზავრება ტრესტის სპეციალური კომისია მიწის ნაჭრების დასაგეგმად.

ბამბა

წინასწარი გამოანგარიშებით წელს საქართველოს ბამბის რაიონებში უნდა აკრეფილი იქნეს 260.000 ფ. ბამბა. უნდა აღინიშნოს, რომ ბამბის მოსავალი წელს არ არის დამაკმაყოფილებელი. ბამბის ნათესების ზრდას ხელი შეუშალა

საშუალოთ დესეტინა წელს მოგვცემს 30 ფ. ბამბას, მაშინ როდესაც შარშან იძლეოდა 33 ფუთს.

მიღებულია ზომები მებამბეთა პურით და ფართლეულობითი მომარაგებისათვის.

მომავალი კამპანიისათვის გლეხებს დაურიგდებათ 50 მან. თვითეულ დესეტინაზე და გარდა ამისა სათესლე მასალა. განზრახულია სარწყავი არხების შეკეთება და ახალი არხების გაყვანა, ბამბის ნათესების არის გაფართოვების მიზნით.

სახელმწიფო ვაჭრობა

თხილი

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა შეუდგა 15.000 ფუთი საექსპორტო თხილის დამზადებას. ამ რაოდენობიდან 10.000 ფუთი თხილი მზადდება დასავლეთ საქართველოში. თხილი გაიგზავნება რუსეთში არსებულ საზოგადოების განყოფილებებში.

დაფნის ფოთოლი

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა შეუდგა საექსპორტო დაფნის ფოთლის დამზადებას. დაფნა მზადდება 5.000 ფუთის რაოდენობით.

მანუფაქტურა

საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ შეიძინა ორი ვაგონი მანუფაქტურა და ამდენივე ფეხსაცმელი საქართველოს ბაზრისათვის.

მონოპოლია

საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ ხელშეკრულება დასდო რეზინის ტრესტთან აწარმოოს მონოპოლიური ვაჭრობა ეტლის რეზინისა ამხანაგობის აპარატების საშუალებით.

საგალანტერიიო საქონელი

საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ შეიძინა 30.000 მანეთის საზღვარ-გარეთული საგალანტერიო საქონელი.

გაერთიანება

სავაჭრო პუნქტების ჯეროვანი დატვირთვის მიზნით, საქართ. სახ. ვაჭრობის სამმართველო 1-ლ ოქტომბრიდან აერთიანებს ორ სავაჭრო პუნქტს რკ. გზ. უბანში.

ღვინო

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა შეუდგა საექსპორტო ღვინის დამზადებას. ღვინო მზადდება სულ 120.000 ვედროს რაოდენობით. ამ რაოდენობიდან 50.000 ვედრო ღვინო მზადდება კახეთში, ხოლო 70.000 ვედრო—დასავლეთ საქართველოში. კახეთში ღვინოები შეძენილი იქნება ადგილობრივი კოოპერაციების საშუალებით ამ მიზნით ბეს სახით უკვე გაიცა სამმართველოს მიერ 20.000 მანეთი. ამხანაგობა შეუდგა აგრეთვე წინასწარ მუშაობას დასავლეთ საქართველოში ყურძნის შესაძენათ.

სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა შეუდგა წინასწარ მუშაობას ღვინოების დასაყენებლად. ამ მიზნით, ამხანაგობამ შეისყიდა სახალხო მამულების ტრესტისაგან 150.000 გრადუსი ღვინის სპირტი. ამავე მიზნით სახალხო მამულების ტრესტზე შეკვეთილია ამხანაგობის მიერ 200.000 გრადუსი სპირტი.

ღვინის პროდუქცია გაიგზავნება სარეალიზაციოთ ამხანაგობის მოსკოვის, ხარკოვის, დონის როსტოვის და ბაქოს განყოფილებებში.

ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სექტემბრის დამლევს ამხანაგობა იწვევს თათბირს, რომელსაც დაესწრებიან, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში არსებულ განყოფილებათა ღვინის სპეციალისტები.

მეთამბაქოების მტკივნეული საკითხები

ომის და რევოლუციის შემდეგ თამბაქოს კულტურა ჩვენში თითქმის სრულიად მოისპო. საჭირო გახდა ამ კულტურის აღდგენა, ხოლო რადგან გაღარიბებულ გლეხობას არ მოეპოვებოდა საამისო სახსარი საბჭოთა მთავრობამ იკისრა მეთამბაქოე გლეხებისათვის ხელის შეწყობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით. მიზანი თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ამ ოპერაციის ცხოვრებაში გატარებას წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლებანი.

გლეხამდე ვერ აღწევდა თავის დროზე თანხები, ამის გამო თამბაქოს მოსავალიც და ხარისხიც მცირდებოდა, ადგილი ჰქონდა მრავალ გაუგებრობებს გლეხებსა და თამბაქოს მიმღებ ორგანიზაციებს შორის. მოყვანილ თამბაქოს თავის დროზე ვერ იღებდენ გლეხიდან, გაჭირვებული გლეხი კი იძულებული ხდებოდა თავისივე ნაწარმოები ქურდულად გაესაღებინა და სხვა. ყოველ შემთხვევაში, გლეხი, როგორც იყო, ახერხებდა თამბაქოს მოსავლის დაბინავებას, მაგრამ მისი გასაღების საკითხი ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ისე, რომ გლეხს აენაზღაურებია დახარჯული შრომა და თანხა.

1926 წელში მთავრობას განზრახული ჰქონდა 2.500 დესეტინა თამბაქოს დათესვა, ავანსები კი კრედიტების შემოკლების გამო ამ მიზნისათვის გაიცა მხოლოდ 1.500 დესეტინისა. ამ რაოდენობიდან სიღნაღის მაზრას შეხვდა 1.000 დესეტინა, მარტო სიღნაღის მაზრაში. ამრიგად იაფი სესხი ეძლეოდა მხოლოდ თამბაქოს მთესველების 66 პროცენტს, დანარჩენი 34 პროც. დარჩა უავანსოდ. თვითეულ დესეტინაზე გლეხს უნდა მიეღო ლაგოდეხის რაიონში 400 მ., ალაზანს გამოღმა 250 მან. ეს თანხა, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებდა გლეხს, რადგან ერთი დესეტინა თამბაქოს დამუშავებას სჭირდებოდა არა 350—400 მანეთი, არამედ 1.175 მ., როგორც ეს გამომუშავებული იქნა შინავაჭრობის კომისარიატის მიერ.

გლეხი თავის ბიუჯეტის შესავსებათ იძულებული გახდა მიემართნა მევახშისათვის, რომელიც მშვენიერად სარგებლობდა ამ შემთხვევით და იღებდა გაჭირვებული გლეხიდან 240 პროცენტს წლიურს (10 მანეთზე თვეში 2 მანეთს). ამიტომ თამბაქოს ტრესტების პოლიტიკამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა—გლეხმა იაფი სესხი ვერ მიიღო სახელმწიფოდან, მევახშიდან აღებული სესხით დამუშავებამ კი მხოლოდ თამბაქოს თვითღირებულება გაცილებით გაზარდა.

ეს 350—400 მანეთი მაინც რომ გლეხს თავის დროზე მიეღო კიდევ იოლათ წავიდოდა, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამასაც თავის დროზე ვერ იღებდენ. პირველი და მეორე ავანსი (თუმცა დიდი დაგვიანებით) გლეხმა მიიღო 350—400 მანეთის ანგარიშით, მაგრამ მესამე ავანსის მიღების დროს, როდესაც თამბაქო უკვე შემოსული იყო და გახურებული კრეფა სწარმოებდა, შუა მუშაობაში, ავანსის რაოდენობა შემცირებულ იქნა 25 პროც. ამან გამოიწვია თამბაქოს მოუვლელობა—დაწვა სიცხიანი დღეების გამო, ზოგმა ეხლავე დაიწყო ახალი თამბაქოს (დიბის) გაყიდვა კონტრაბანდისტ-მეშოჩნიკებზე.

არასოდეს მეთამბაქოე არ ყოფილა ისე გულნატკენი, როგორც წელს. ავანსის შემცირებამ გამოიწვია საზოგადო კრებების მოწვევა სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბაში და დელეგაციების გაგზავნა თბილისში მთავრობის წინაშე ყველა მტკივნეული საკითხების მოსაგვარებლად. დელეგაციამ შეასრულა საზოგადო კრებების დავალებანი, რის შემდეგ მთავრობამ ნება დართო მე-4 ავანსის ანგარიშში ნაწილი ეხლავე მისცემოდა გლეხს, ხოლო დაკლებულ 25 პროც. მომატებაზედ კი უარი უთხრა.

1925 წლის თამბაქოზე შინავაჭრობის კომისარიატის მიერ გამომუშავებული იყო საშუალო ფასი 18 მანეთი. გლეხს იმედი მიეცა, რომ ეხლა მაინც მიიღებდა ღირებულ ფასს, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა—თამბაქოს ტრესტების ზეგავლენით 18 მანეთი შეცვლილი იქნა 14 მ. 50 კ., გლეხები იძულებულნი გახდნენ ჩაებარებიათ თამბაქოები უკანასკნელ ფასებში, რადგან სასოფლო-სამეურნეო ბანკი მოითხოვდა მათგან სესხის დაფარვას. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ამ-ბას სიღნაღის მაზრაში დღევანდლამდე დარჩათ 1925 წლის მოსავლის თამბაქოები 20.000 ფუთამდე. ეს თამბაქოები ამხანაგობის მიერ წესიერად მოვლილი და დადუღებული იქნა, ამხანაგობები ელოდებოდნენ, რომ შინავაჭრობის კომისარიატი გამოიმუშავებს დადუღებულ თამბაქოებზე ახალ ფასს, რადგან ეს პროცესი იწვევს დიდ ხარჯებს. გამოანგარიშებულია, რომ თამბაქოს ფერმენტაცია ზრდის თვითღირებულებას 20 პროც. შინავაჭრობის კომისარიატს კი გამოუმუშავებია მხოლოდ 8 პროც., რაც ძლივს ფარავს მხოლოდ ბუნებრივ შეშრობის და დაბნევის ხარჯებს. გამოდის, რომ სას.-სამ. ამხ-ბებმა დადუღებულ თამბაქოებზე უნდა იზარალონ 12 პროც. რატომ უნდა ხდებოდეს ასე? ჩვენ ვიცით, რომ 1924 წლის მოსავალი თამბაქოს ტრესტებმა და მოსკოვის ორგბიურომ შეიძინეს გლეხებისაგან დაუდუღებელი თამბაქოები საშუალოდ 7—8 მანეთში, სპეკულიანტებს კი დადუღებულ თამბაქოში მისცეს ფუთში 25—30 მანეთამდე, ესე იგი 250—300 პროცენტით მეტი. წელს კი, როდესაც ნედლი თამბაქოს ფასი იყო 16 მანეთი და დადუღებული თამბაქო აქვს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. ტრესტებს არ სურთ მისცენ კოოპერაციას თვითღირებულებაც, ე. ი. 20 პროც. მომატებით ფერმენტაციაზე გაწეულ ხარჯების ასანაზღაურებლად.

რასაკვირველია, ამაზედ დათანხმება სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბს არ შეეძლოთ, რადგან ეს მათ დაღუპვას უდრიდა, ამისათვის მათ გააპროტესტეს და ელიან სამართლიან პროცენტების გამომუშავებას.

ერთ არანორმალურ მდგომარეობას აქვს კიდევ ადგილი. სიღნაღის მაზრაში მეთამბაქოებს კოოპერაციის საშუალებით ეძლევათ ავანსი 260—300 მანეთი დესეტინაზე. აქვე (ლაგოდეხში) აზტაბრისტი, ვინმე ნარინიანცის საშუალებით აძლევს 450 მანეთს, ხოლო მომიჯნე ზაქათალის ოლქში კი 600 მანეთს. რით აიხსნება ასეთი სხვადასხვაობა? რატომ ყველა მეთამბაქოები ერთნაირ პირობებში არ უნდა იყვნენ ჩაყენებულნი?

ამრიგად საბჭოთა საქართველოს ინტერესი მოითხოვს ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს თამბაქოს კულტურის განვითარებას, სათანადო ორგანოებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოაგვარონ ყველა მტკივნეული საკითხები ამ დარგში. საჭიროა 1926 წლის მოსავლის თამბაქოზე მაინც გამომუშავებულ იქნას ისეთი კალკულიაცია, რომელიც გლეხს დაუბრუნებს დახარჯულ თანხას და შრომას, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხს მუშაობაზე გული აუცრუვდება და თამბაქოს კულტურა ჩვენში შემცირდება თუ სულაც მოისპობა.

ზ. ას[illegible]

მარილისის ქარხანა

თბილისში დაბრუნდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო მრეწველობის ტრესტის და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნული სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკვლია მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხნისთვის საჭირო სატყეო რაიონები.

კომისიამ დაათვალიერა მარელისის—წიფის სატყეო რაიონი და დარწმუნდა, რომ გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილია ხე-ტყის რაიონებით.

პირველ რიგში ტყის ჭრა დაიწყება მე-30 კვარტალში, ღოდების უბანში, რომელიც ქარხნიდან მდებარეობს 8—10 ვერსის მანძილზე.

კირილე ბოჭორიშვილის ხსოვნას

დღეს ქუთაისში ასაფლავებენ ტყიბულის მაღაროებზე ტრაგიკულად გარდაცვალებულს, სამთო ინჟენერს, კირილე იოსების ძე ბოჭორიშვილს.

ღარიბის გლეხის შვილმა, მძიმე პირობებში და სიმწრით აღზრდილმა, განსვენებულმა კირილემ, იშვიათი ენერგიით შესძლო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრება 1906 წ. თავისი მუყაითობით უპროტექციოთ დაიმსახურა ყოფილ მრეწველთა საბჭოს სტიპენდია, რომლის საშუალებით მოახერხა ლეობენის სამთო აკადემიის დამთავრება, სამი წლის ოჯახური მდგომარეობით გამოწვეული, მეცადინეობის შეწყვეტის შემდეგ, ომის წინ, 1914 წელში მეფის რუსეთში არსებული პირობების გამო, კირილე იძულებული იყო დაეწყო მასწავლებლობა გიმნაზიაში და მხოლოდ 1919 წ. დასაწყისიდან ის შეუდგა თავის პროფესიაში მუშაობას, ტყიბულის მაღაროებში, სადაც ის განუწყვეტლივ მსახურებდა ჯერ ძველი მაღაროების გვირაბების გამგეთ, უკანასკნელადკი—ახალი მაღაროების გამგეთ და ტყიბულის მაღაროების მთავარ ინჟენერის თანაშემწეთ.

განსვენებული კირილე მუშაობაში და მეგობრობაში ერთნაირად იშვიათი ადამიანი იყო. მიუხედავათ თავისი არსებითად მხიარული და საზოგადოების მოყვარული ხასიათისა, სტუდენტობის დროს, ის დღე და ღამ მხოლოდ მეცადინეობაზედ ფიქრობდა, არ კარგავდა არც ერთს წამს უქმათ დროს გატარებაში და ამ [illegible] მის ამხანაგებისთვის მუდმივ დაუფასებელ [illegible] წარმოადგენდა. ასე[illegible] დროსაც. პირადათ მე იშვიათად შემხვედრია სხვა მეორე ადამიანი, რომელსაც ისეთი საოცარი ენერგიით, განუწყვეტლივ და გატაცებულად შესძლებოდეს მუშაობა, როგორც განსვენებულ კირილეს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მისი მუშაობა უკანასკნელი 1½ წლის განმავლობაში, მის მიერ მოგონილი, მეტად ორიგინალური, ქვანახშირის დამუშავების სისტემის გახატარებლად. ამ მიზნისათვის ის დღე და ღამ გვირაბში იყო, პირადათ ასწავლიდა მუშებს ამ სისტემისთვის საჭირო სამუშაო წესებს, ებრძოდა სიტყვით და მაგალითით მის იდეურ მოწინააღმდეგეებს და ბოლოს მიაღწია იმას, რომ, ამჟამად, მისი სისტემა მაღაროებში ფართო მასშტაბით ვრცელდება და დანგრეულ ადგილებში კარგ შედეგებს იძლევა; მაღაროების მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად ამ სისტემამ დროზედ მოასწრო...

კირილეს ზნეობრივი მხარე იშვიათად იყო შეზავებული მისი საოცარი შრომის უნარიანობასთან. იგი ყოველ მხრივ მომხიბლავი იყო და რა გასაკვირია, თუ რომ მას არ ჰყავდა არა თუ მტერი—უბრალო მომდურავიც-კი.

აი ასეთ ადამიანს ვესალმებით ჩვენ დღეს საუკუნოთ... სამთა-მადნო მუშაკთა ოჯახს გამოაკლდა დაუღალავი, ენერგიული, მხნე, დაკვირვებული და ნიჭიერი საუკეთესო წევრი; ტყიბულის მაღაროებს—მისი წარმატებისთვის თავდავიწყებული მუშაკი; მეგობრებს—გულწრფელი, პირდაპირი, თავაზიანი, თავმდაბალი და კეთილშობილი დაუვიწყარი ამხანაგი.

ინჟ. გ. წულუკიძე.

დახმარება გაფიცულებს

გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებასთან შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ინგლისის მაღაროს მუშების დახმარების გაძლიერების შესახებ.

აღნიშნული იქნა, რომ ერთდროული დახმარება, რომელიც გაღებული იქნა საქართველოს მუშების მიერ არ არის საკმარისი, რადგან გაფიცვამ მიიღო ხანგრძლივი ხასიათი. ამიტომ საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ დახმარების კამპანიასაც მიეცეს ხანგრძლივი ხასიათი.

განზრახულია ჩატარებული იქნეს ახალი კამპანია მთელ საქართველოში. საჭიროთ იქნა ცნობილი ერთდროული დახმარების მაგიერ გაღებულ იქნეს **1 პროცენტი ხელფასიდან გაფიცვის დამთავრებამდე.**

თბილისში კამპანია უნდა ჩატარდეს 15 სექტემბრამდე, პროვინციაში—20 სექტემბრამდე.

საქ. პროფსაბჭოს განზრახული აქვს მიმართოს კავშირის წევრებს სათანადო მოწოდებით.

საგზაო მშენებლობა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს ადგილებზე საგზაო აღმშენებლობის და გზების მეთვალყურეობის ადმინისტრატიული აპარატი.

დღემდე ადგილებზე შინ. საქ. კომისარიატის ხაზით არ არსებობდა ჩამოყალიბებული საგზაო - საამშენებლო აპარატი, რაც შესამჩნევათ აბრკოლებდა ჩვენში საგზაო აღმშენებლობის საქმეს. მთელ რესპუბლიკაში იყო მხოლოდ შინსახკომის სატეხნიკო განყოფილება, რომელიც ვერ სწვდებოდა ყველა საქმეებს და მრავალი საქმე გაუკეთებელი რჩებოდა.

შინაგან საქ. კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მოეწყოს ყველა მაზრებში განსაკუთრებული საგზაო - სატეხნიკო განყოფილებანი. გარდა ამისა, განზრახულია საგზაო პერსონალის შტატის გადიდება, ისე რომ ყოველ 50 ვერსზე მოდიოდეს თითო ათის-თავი—გზის მეთვალყურე.

ტყეების მოშენება

მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა სატყეო კულტურის გავრცელებას და ტყეების მოშენებისათვის წინასწარ მუშაობას.

შემუშავებული გეგმის თანახმად, საჭიროთაა ცნობილი წინასწარ მომზადონ გამოცდილი მეტყევე-მეთვალყურეები, რომელთაც შეასწავლიან ტყის მოვლა-მოშენებას, ტყის გავლენას ხალხის ჯანმრთელობაზე, მოსავალზე, კლიმატიურ პირობებზე და სხ.

ასეთი კურსები უკვე გაიხსნა მარელისში დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის გაიხსნება ახლო მომავალში თელავის ან სიღნაღის მაზრაში.

კურსების მოწყობა და ხელმძღვანელობის გაწევა დავალებული აქვს მეტყევე ფირცხალაიშვილს, რომელიც ითვლება ტყის კულტურის საუკეთესო მცოდნეთ.

მუშათა ცხოვრება

სპილენძის სატკეც ქარხანაში.

საქართველოს სპილენძის მეურნეობაში და შინამრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ლოთონტრესტის ს. მ. უ. ს. სპილენძის სატკეც ქარხანას. აღნიშნული ქარხანა აერთიანებს 41 მუშა-ხელს, აქედან დროებითია შვებულებაში წასულ მუშების მაგივრად 4 კაცი.

აღნიშნულ რაოდენობიდან მამაკაცია 39, დედაკაცი—2; ეროვნების მხრივ: ქართველია 12, რუსი—12, სომეხი—11 და სხვა ეროვნების კი 6. აქ არსებობს შემდეგი კომისიები: კულტკომისია, შრომის დაცვის, საკონფლიქტო შემფასებელი კომისია, სარევიზიო და სხვა.

კულტკომისიაში შედის 2 კაცი, საკონფლიქტო-შემფასებელში 2 კაცი, სარევიზიოში 3 კაცი, შრომის დაცვისაში 2 კაცი. მუშების თითქმის 30 პროცენტი ჩაბმულია პროფაქტივის მუშაობაში.

კომისიების მუშაობა, საერთოდ, დამაკმაყოფილებელია. მუშების 80 პროცენტი ჩაწერილია მუშათა ცენტრალურ კლუბში. კლუბში წევრებად ჩაწერის შესახებ ჩატარებულ იქნა კამპანია.

დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება.

გამოდის კედლის გაზეთი „მეტალი“-ს სახელწოდებით, სადაც შუქდება ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხები.

საექსკურსიო საქმეც კარგად იყო დაყენებული. მოწყობილ იქნა ექსკურსია „ზაჰეს“-ში და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ნედლი მასალა ბლომათ გვაქვს.

ქარხანას ნედლი მასალა საკმაოდ მოეპოვება. აქვს საშუალება დაამზადოს სპილენძი საშუალოდ თვეში 1.700-დან 1.800 ფუთამდე, რაც უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სპილენძის მეურნეობაში.

აქ მუშაობს 160 ცხენისძალიანი მანქანა „პარაჩხი“.

არის აგრეთვე საცხელებელი და სხვა მანქანები, რომელზედაც მუშები ნორმალურად მუშაობენ. მანქანების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

აქვე მოწყობილია აგრეთვე 2 ცალი ელექტრომოტორი, სპილენძის საჭრელი მანქანა და სხვა.

მუშათა ხელფასის საშუალო თანრიგი ისაზღვრება 6-ით, რითაც იღებენ საშუალო გასამრჯელოს 35 მანეთის რაოდენობით.

სპეცგანაკვეთები განისაზღვრება მეთერთმეტე თანრიგით და უდრის 66 მან. 70 კაპ.

გაზეთებს იწერენ მუშების 40 პროც., რაც კულტურულ მუშაობაში საგრძნობ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გამოწერილია „კომუნისტი“ 11 ცალი, „მუშა“—1 ცალი, „ზარია ვოსტოკა“—10 ცალი, „რაბოჩაია პრავდა“—12 ცალი და სხვ.

მუშებს ეძლევათ სპეცტანისამოსი და სპეცჩექმები.

ღებულობენ საექიმო დახმარებას უფასოდ. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მუშებს ეძლევათ 615 გრამი კარაქი დღეში.

სიმძიმის გადასატანად მოწყობილია „ვაგონეტკა“.

ქარხანაში სისუფთავე დაცულია.

ამჟამად სწარმოებს ქარხნის კაპიტალური შეკეთება, რომელიც დამთავრდება, დაახლოვებით, ერთ თვენახევარში.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

საერთო კრება.

22 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ხ. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა კლუბთან არსებულ ქართულ დრამწრის საერთო კრება. უბნის პროფკავშირიდან კრებას დაესწრო ამხ. ლ. კანდელაკი. მომავალი მუშაობის ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვიქ. ნინიძემ, რომელმაც აღნიშნა მომავალი მუშაობის გეგმა. საკლუბო მუშაობის ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კანდელაკმა, რომელმაც აუცილებლობად აღიარა მომავალში საკლუბო მუშაობის ჩატარება. მართალია, ხალხი კმაყოფილია წარმოდგენებით, მაგრამ შეძლებისდაგვარად წმინდა საკლუბო მუშაობა აუცილებელია.

დასასრულ კრებამ დაადგინა ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ დაიდგას ერთი წარმოდგენა.

მუშკორი რადიუში.

მუშკორთა რაიონული კრება.

8 სექტემბერს ლენინის უბანში სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნის მუშათა კლუბში პირველი რაიკომის აგიტპროპის განყოფილების თაოსნობით შესდგა გაზ. „კომუნისტი“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს და „მუშა“-ს და პირველი რაიონის კედლის გაზეთების მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ინსტრუქტიული მოხსენება ამხ. ნ. სალირაშვილისა კედლის გაზეთში მუშაობის შესახებ

მომხსენებლის სიტყვით, პირველ რაიონში 18 კედლის გაზეთია. გვაქვს დაარსებული წრეები, მაგრამ მაინც არ სწარმოებს სათანადო მუშაობა. არის შემთხვევები, რომ სარედაქციო კოლეგიას აღრიცხვაზე ჰყავს 43 კედლკორი, ფაქტიურად კი მხოლოდ 3—4 კაცია. ზოგიერთ წარმოების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიაში წევრებად არიან ადმინისტრატორებიც, რაც დაუშვებელია.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს კედლის გაზეთების მთელ რიგ ნაკლებს, როგორც, მაგალითად, მათი უშინაარსობა, „კამპანიური“ ხასიათი და სხვ. შემდეგ მომხსენებელი გადადის სწორ სარედაქციო მუშაობაზე. იგი აღნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა მოეწყოს ადგილობრივად წრეები, გაიმართოს ხშირად მუშკორთა საერთო კრებები. კრებები არ უნდა გაგრძელდეს საათნახევარზე ზევით.

კედლის გაზეთში უნდა შუქდებოდეს განსაკუთრებით წამოწყება-დაწესებულებათა საჭირბოროტო ადგილობრივი საკითხები. კედლის გაზეთებში ჩაბმული უნდა იქნეს უმთავრესად უპარტიო მასა და ქალები. კედლის გაზეთების რედკოლეგიები უნდა ირჩეოდენ კედლკორთა წრის საერთო კრებაზე. წრის ხელმძღვანელად ითვლება სარედაქციო კოლეგია და სხვა.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მუშკორებმა, რომელნიც აღნიშნავენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს და ამბობენ ხაზგასმით, რომ მუშკორთა დევნა ჯერ კიდევ არ შენელებულა და მოითხოვენ მუშკორები ამის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვ.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

მოტყუებული დავრჩით

20 აგვისტოს, წალვერის კლუბში მომღერალ კავსაძეს თავისი გუნდით უნდა გემართა კონცერტი. რამოდენიმე დღით ადრე გააკრეს აფიშები. გუნდის წევრები მთელი დღე გადაჩაქურებული დადიოდენ. ყველანი მათ შესცქეროდენ და აცნობენ ერთი-მეორეს—„აი ისინი არიან მომღერლებიო“. ბილეთის ყიდვას დროც მოვიდა. რამოდენიმე ამხანაგმა მოვინდომეთ კონცერტზე დასწრება. მივედით მოლარესთან ბილეთის ფასის გასაგებად. ჩვენ შეკითხვაზე თუ რა ღირდა ბილეთი გვიპასუხა:—„50 კ. ნაკლები ყველა გაიყიდაო“. ჩვენ ვიყიდეთ ეს ფასიანი ბილეთები. დანიშნულ დროზე მივედით, მაგრამ, სამწუხაროდ, კონცერტს-კი ვერ უყურეთ. კლუბზე დიდი ბოქლომი ედო და გუნდის წევრები რესტორან „სინათლეში“ „სასმლებს“ მიირთმევდენ. გავიგეთ, რომ კონცერტი გადაედოთ უამინდობის გამო. მოვაკითხეთ მეორე დღეს და მივხვდით, რომ მოტყუებული დავრჩით. კავსაძე ქალაქში წასულიყო.

საკვირველია! რათ დასჭირდა კავსაძეს ჩვენი მოტყუილება? ეს სირცხვილია თორემ ჩვენ ათი-არ შაურებით არ დავიქცევით.

მუშკორი კოტე ქვენობნელი.

პენსიონერები

დამზღვევ სალაროს პენსიონერებს ლოდინი აუსრულდათ: თითქმის ყველა პენსიონერს გაუდიდდა და დაურიგდა კიდეც გადიდებული პენსია ამ წლის მკათათვიდან ჯამაგირის მიხედვით: პირველ ჯგუფის პენსიონერი იღებს თვეში ხელფასის რაოდენობას, მეორე ხარისხის—25—35 მანეთამდე, ზოგი მეტსაც, მესამე ხარისხის—15—20 მანეთამდე.

რასაკვირველია, უმრავლეს კმაყოფილ პენსიონერებთან გულნატკენი პენსიონერებიც არიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძნელია ყველას გულის მოგება. იმედია, დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმი ეცდება არსებითად გაარჩიოს განცხადება-საჩივრები იმ პენსიონერებისა, რომელთაც უვიცობით, თუ გაუგებრობით თავიანთი ჯამაგირი გარკვეულად არა ჰქონდათ ნაჩვენები განცხადებებში.

ზოგ პენსიონერებს პენსია მოუმატეს ძველი ჯამაგირის მიხედვით, ზოგს კი ახალი ხელფასის ანგარიშით, ვინც კი ვერ მოასწრეს ამ ცნობების მიწოდება, დარჩნენ ძველ პენსიაზე.

რასაკვირველია, ზოგიერთ არანორმალურ მოვლენას სალაროს პრეზიდიუმი გამოასწორებს სამართლიანად და კანონიერად.

ფადარა ვანო.

მუშათა ქრონიკა

მუშათა კლუბების გამგეობათა გადარჩევა ა.-წ. სექტემბერში მთელ რესპუბლიკაში უნდა ჩატარდეს საკავშირო მუშათა კლუბების გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების ხელახალი არჩევა.

— **შავ მუშებსაც უნდა მიეცეთ პრემია.** ტყავ-ტრესტის საერთო მუშათა კრებამ სთხოვა ქარხკომს შეადგინოს იმ შავი მუშების სია, რომელნიც არ ღებულობენ პრემიას და მიეცეთ მათაც პრემია.

— **ახალი ხელშეკრულება.** ტყავ-ტრესტის ადმინისტრაციასთან დადებული ახალი ხელშეკრულება მოიწონა საერთო კრებამ და მოითხოვა, რათა იგი დარჩეს ძალაში 6 თვის განმავლობაში.

თორნის მექანიზაცია

თორნის პურის ჩასაკრავი მანქანის გასინჯვა

გუშინ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში შესდგა ტეხნიკური თათბირი თორნეში პურის ჩასაკრავ მანქანათა პროექტების განსახილველად.

თორნის პურის ჩასაკრავი მანქანები უკანასკნელ ხანებში გამოიგონეს მოქ. კლდიაშვილმა, ვაშაკიძემ და ისაკაძემ. მანქანა საგრძნობლად აადვილებს პურის ცხობის საქმეს თორნეებში.

აღნიშნულ, თათბირზე თავის გამოგონილებების შესახებ მოხსენებები გააკეთეს თვით გამომგონლებმა. კლდიაშვილმა წარმოადგინა ორი პროექტი თავის მიერ გამოგონილი მანქანის და ამ მანქანის საშუალებით გამომცხვარ პურის ნიმუში. ვაშაკიძის მანქანაც პურის ავტომატიურათ გამოცხობის პრინციპზეა დამყარებული.

ისაკაძემ წარმოადგინა ასეთივე პროექტი ზოგიერთ ტეხნიკურ გაუმჯობესებით.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე მეთორნეთა წარმომადგენლების აზრი მანქანების შესახებ.

თათბირმა ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა გამოჰყოს კომისია საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების, მუშკოოპის, მეთორნეთა წარმომადგენლების და აგრეთვე ერთი ინჟენერის და სამივე გამომგონლის მონაწილეობით, კომისიამ ერთი თვის განმავლობაში უნდა განიხილოს სამივე გამოგონილება, რომელთა გამოცდა მოხდება მუშკოოპის თორნეებში.

პროფკავშირებში

კომუნალურ მუშაკთა კავშირის პირველი კონფერენცია

გუშინ, ამხ. ჩოდრიშვილის სახ. ტრამვაელთა კლუბში გაიხსნა საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის პირველი კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. **მარიამიძემ,** რის შემდეგ არჩეული იქნა საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგის შემადგენლობით: **მარიამიძე, ბეჟანიშვილი, თავდგირიძე, ლევშიცი, გედევანიშვილი და ახობაძე.**

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის ც. გ. მოხსენება ექვსი თვის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის დელეგატების არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები. რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალ. გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მარიამიძემ.**

ცენტრ. გამგეობის მუშაობა

ცენტრალური გამგეობა მუშაობას აწარმოებს გადარჩევის დღიდან, ე. ი. გასული წლის ნოემბრიდან. ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა კავშირის წევრთა რიცხვი 610 კაცით, ასე რომ ამჟამად კავშირი აერთიანებს 6.793 წევრს. გამგეობას მტკიცე კავშირი აქვს კავშირის წევრთა მასასთან თავის მდაბალ პროფორგანიზაციების მეოხებით. მასის მოთხოვნილებათა უფრო წესიერად დაკმაყოფილების მიზნით, გამგეობა აწარმოებდა მდაბალ ორგანოების გაწვრთნას. ამ მოსაზრებით გაიმართა ადგილკომების კონფერენციები. გასული ხნის განმავლობაში ჩატარდა ადგილკომების გადარჩევა. გარდა ამისა გამგეობას ჩაუტარებია სხვადასხვა კამპანიები, როგორც მაგალითად ურთიერთ დახმარების, სოლდაზღვევის და სხვ. საკითხების გასაშუქებლად ასეთ მუშაობას თავის შესაფერი ნაყოფი გამოუღია. თითქმის 100 პროცენტი კავშირის წევრებისა ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრებად ირიცხებიან.

უმუშევარ კავშირის წევრებისათვის, რომელთა რაოდენობა 500 კაცს აღემატება კარგად არის დაყენებული დახმარებების გაცემა. ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა ახალგაზრდათა შორის. ისინი ჩაბმული არიან როგორც საწარმოო, ისე კულტურულ მუშაობის საკითხებში.

დიდი მიღწევებია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. უცოდინარობა 70 პროცენტით აღმოფხვრილია.

საწარმოო კომიტეტის და საწარმოო თათბირების მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. მათი დადგენილების 80 პროცენტი ტარდება ცხოვრებაში.

მიღებული იყო ზომები შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის გასაჯანსაღებლად. ამ მიზნით ჩატარდა აღნიშნულ კომისიათა მუშური ნაწილების კონფერენცია.

სპეცტანისამოსის დარიგება დასრულდა. ამ მხრივ მუშათა შორის არავითარ უკმაყოფილებას არა აქვს ადგილი. კლუბების მუშაობა კარგათ მიმდინარეობს, მაგრამ უბინობა ხელს უშლის ამ მუშაობის წარმოებას. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო კულტურულ და სატარიფო მუშაობის სხვადასხვა საკითხებს და აღნიშნა კავშირის მუშაობის ზოგიერთი სუსტი მხარეები.

ამხ. მარიამიძის მოხსენების შემდეგ დაიხურა კონფერენციის პირველი სხდომა.

პროფმუშაობის ქრონიკა

„კინოკავშირში“

— **სამეცნიერო კინო-სურათები.** ს. პ. კ. ს. „კინოკავშირის“ მიერ ახლო ხანში შეძენილი იქნება სამეცნიერო კინო-სურათები კინო-ლექციებისათვის.

— **კლუბების კინო-მექანიკოსთა გადამზადება.** განზრახულია მოხდეს ყველა კლუბების კინომექანიკოსთა გადამზადება „ზაჰეს“-ის ელექტროდენზე გადასვლის გამო.

სამთამადნო მუშათა კავშირში

— **კავშირის მე-6-ე ყრილობა.** კავშირის ც. გამგეობის მე-14-ე პლენუმმა დაადგინა მოწვეულ იქნეს კავშირის მე-6-ე ყრილობა ქ. ჭიათურაში, ა.-წ. 20 ოქტომბერს.

— **სრულიად საქართველოს კულტკონფერენცია.** ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას განზრახული აქვს რესპუბლიკანური კულტკონფერენციის მოწვევა სექტემბრის დამლევს.

ბინის ქირა

დღეს დილას, შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალურ განყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება თბილისის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი დებულება ბინის ქირის შესახებ.

სხდომაზე სათათბიროთ მოწვეული არიან: თბილისის აღმასკომის, პროფსაბჭოს, შრომის კომისარიატის, კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

მორატორიუმი ვექსილებზე

რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებმა მიიღეს სახკომსაბჭოს მიმართვა ვექსილებზე მორატორიუმის (ვადის გაგრძელების) დაუშვებლობის შესახებ.

მიმართვასთან ერთად ადგილებს დაეგზავნათ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს და საფინანსო - ადმინისტრატიული კომისიის დადგენილება, რომლითაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეკრძალებათ მორატორიუმის დადება ვექსილებზე. ამასთანავე სახელმწიფო ბანკს მიცემული აქვს დირექტივა პასუხისგებაში მისცეს ამ დადგენილების დამრღვევნი.

მატყლის საწყობი

თბილისში პრიბილევის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ზორგაგენის მატყლის საწყობი გადაეცა მატყლის ოპერაციების საწარმოებლად სასოფლო სამეურნეო კოოპერატივთა ახალ ცენტრის „სოფლის კავშირი"-ს საორგანიზაციო ბიუროს, სრულიად უსასყიდლოთ და საიჯარო ქირიდან განთავისუფლებით.

ბრძოლა ხანძართან

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა 1926—27 წლის ცეცხლ-გამძლე მშენებლობის სამუშაო გეგმა.

აქამდე ჩვენში აღნიშნული მშენებლობა თითქმის არ არსებობდა. მეორეს მხრივ ცუდათ სწარმოებდა ხანძართა აღრიცხვა. 1923 წლიდან მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა ხანძართა სტატისტიკური აღრიცხვის საქმე. საშუალო გამოანგარიშებით ცეცხლისაგან მიყენებული ყოველწლიური ზარალი ჩვენი სასოფლო-მეურნეობისა გამოიხატა 613.775 მანეთში. ხშირია ხანძარის შემთხვევები ბორჩალოს მაზრაში და აფხაზეთში. ხანძარის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ჩვენში განსაკუთრებული ცუდი სახურავები უნდა ჩაითვალოს. უკანასკნელი აღრიცხვით სოფლად არსებულ შენობების 60 პროცენტი დახურულია ისლით ან ყავრით. ასეთი მდგომარეობით კი ჩვენი სოფლები არ არიან დაზღვეული ცეცხლისაგან.

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმაში ცეცხლ-გამძლე შენობების აგების შესახებ გათვალისწინებულია უპირველეს ყოვლისა მოხდეს სოფლად არსებულ შენობათა სახურავის გამოცვლა. ამ მიზნით მიმდინარე წელში უნდა მოხდეს კრამიტის ქარხანათა ქსელის გადიდება, ისე რომ ამით მივაღწიოთ კრამიტის პროდუქციის მაქსიმალურ გაიაფებას ჩვენს ბაზარზე. ამ საქმისათვის გეგმით გათვალისწინებულია გადაიდოს 100.000 მანეთი.

მეორეს მხრივ გათვალისწინებულია მოეწყოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან სპეციალური აპარატი, რომელსაც დაევალება პრაქტიკული შემოწმება ყველა შენობათა პროექტებისა, იმის მიხედვით საშიშროები არიან თუ არა ის უკანასკნელნი ხანძრის მხრივ კონკურსების მოწყობა ცეცხლ-გამძლე შენობის პროექტების განსახილველად, სააგიტაციო მუშაობის წარმოება და ცეცხლ-გამძლე მშენებლობის მასალათა ზედამხედველობა და მისი დამუშავება; ამასთანავე აპარატი უნდა ხმარდებოდეს ღონისძიებას ცეცხლ-გამძლე შენობათა მასალების ბაზარზე გასაიაფებლად. ასეთი აპარატის შესანახად ყოველწლიურად უნდა იქნეს გადადებული 20.000 მანეთი.

ამას გარდა გეგმით გათვალისწინებულია რამოდენიმე ცეცხლ-გამძლე შენობის აგება ბორჩალოს მაზრაში, აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მთელი ამ მუშაობის შესასრულებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო გადადებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მომავალ 1926—27 საოპერაციო წელში 120.000 მანეთი.

ამას გარდა ცეცხლ-გამძლე შენობის აგების საქმეზე გლეხებს უნდა გაეცეთ გრძელვადიანი სესხები (2-დან 5 წლამდე). ამ მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს უნდა გადაეცეს 100.00 მანეთი, რომელსაც იგი გაანაწილებს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე.

მგლისაგან დაკბენილნი

გუშინ, თბილისში დაბრუნდა ჯანსახკომის მიერ გორის მაზრაში მივლინებული პასტერის სახელობის ინსტიტუტის გამგე ამხ. **გურგენიძე.**

ამხ. გურგენიძე დაწვრილებით გაეცნო ადგილებზე შემთხვევის პირობებს.

გურგენიძის გადმოცემით, გორის მაზრაში დაკბენილია 60 კაცამდე. აქედან 45 კაცი უკვე ექიმობს პასტერის სადგურში და ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში.

ცოფიანი მგლისაგან დაკბენილია აგრეთვე 50-მდე მსხვილფეხა საქონელი.

მგლის მიერ 80 პროცენტი დაკბენილია თავში, რაიც საშიშროებას წარმოადგენს. ამის გამო პასტერის სადგური ღებულობს ენერგიულ ზომებს გლეხებისათვის ფართე საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

შემჩნეულია, რომ მგლისაგან დაკბენილი ზოგიერთი პირები თბილისში არ ჩამოდიან საექიმოთ. ამის გამო პასტერის სადგურს მოუხდება დიდძალი ასაცრელი შრატის შეძენა, რომ ადგილობრივ აუცრას გლეხობას.

მოკლული მგლის თავი ჩამოტანილია პასტერის ინსტიტუტში ანალიზის მოსახდენათ.

გზები

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო შეუდგა მუშაობას გზატკეცილების შესაკეთებლად. ამჟამად მუშაობა გზების შესაკეთებლად სწარმოებს საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც სამმართველოს განზრახვა აქვს მოაწყოს რამოდენიმე ნახევარ გვირაბი ხიფათისაგან მიმოსვლის უზრუნველსაყოფად.

სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება სურამის გზატკეცილის შეკეთება სურამიდან სოფ. ამაშუკეთამდე, ხოლო ამაშუკეთიდან სად. ძირულამდე 8 ვერსის მანძილზე შენდება ახალი გზატკეცილი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამაშუკეთის რაიონის სოფლებისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი დააახლოვებს მათ რკინისგზის მთავარ ლიანდაგთან.

ენერგიულად სწარმოებს აგრეთვე ამჟამად სვანეთის ბილიკის გაწმენდა, სადაც განზრახულია რამოდენიმე ხის ხიდების მოწყობა და ნახევარ გვირაბის აგება.

მომავალ საოპერაციო წლისათვის განზრახულია მთელ რიგ გზატკეცილების შეკეთება და ახალი გზების გაყვანა.

ჯანსახკომის შტატები

ჯანსახკომის ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებათა გაფართოვების გამო (ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი და სხვ.) დამტკიცდა დამატებითი შტატი 263 კაცის რაოდენობით.

მაზრებში არსებულ საპატიმრო სახლებთან არსებული საავადმყოფოების საჭიროებისათვის დამტკიცდა შტატი მთელი რესპუბლიკისათვის 46 კაცის შემადგენლობით. ამასთანავე მოხდა შტატის გადიდება თბილისის გამსახლის საავადმყოფოში 3 კაცით.

შტატების ასეთი საგრძნობი გადიდება გამოწვეულია ბალნეო-ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის გახსნით და არსებულ საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვის გადიდებით.

ახალი პასაჟი

მუშკოოპის ახალი პასაჟის აგება, რომელიც სადგურთან ეწყობა — წარმატებით მიდის.

შენობის აგება და მაღაზიების მოწყობა დასრულდება 1-ლი ნოემბრისთვის.

პასაჟის აგების მიზანია სოფლიდან ჩამოსულ გლეხობას მიაწოდოს მისთვის საჭირო ყოველგვარი საქონელი და აგრეთვე შეიძინოს მისგან გასასყიდათ ჩამოტანილი სოფლის ნაწარმოებნი. პასაჟთან მოწყობილი იქნება იაფ-ფასიანი ღამის გასათევი სახლი და სასადილო.

პასაჟის მაღაზიებში გაიხსნება სოფლისათვის საჭირო ნაწარმოებთა განყოფილებები, როგორც მაგალითად, ჭურჭლეულობის, ფართლეულობის, ფეხსაცმელების, რკინეულობის და სხვ.

ქრონიკა

შრომის პირობების გამოკვლევა

საბჭოთა კავშირის შრომის სტატისტიკის ცენტრალურმა ბიურომ წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროს გამოიკვლიოს ადგილებზე სოფლის მოჯამაგირეთა შრომის პირობები და ყოფა-ცხოვრება და აგრეთვე დაქირავებულ მუშების მდგომარეობა საქართველოს მსხვილ საბჭოთა მეურნეობაში.

დავალების შესრულებას უკვე შეუდგენ.

ვალიუტის გადაგზავნის აკრძალვა უცხოეთში

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გამოუცხადა ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებს, რომ აკრძალულია უცხოეთში ფოსტით გადაგზავნა: სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთების (ჩერვონეცები), სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, საბჭოთა კავშირის ლითონის ფულის და რევოლუციამდე მოჭრილ რუსეთის ოქროს და ვერცხლის ფულის, საბჭოთა კავშირის ვალიუტაზე გადატანილ საბანკო ბილეთების, ჩეკების, თამასუქების და გადახდის სხვა დოკუმენტების.

ყველა მ ფასეულობათა გადაგზავნა უცხოეთში აკრძალულია, განურჩევლად ჯამისა, და აგრეთვე იმ პირთა და დაწესებულებათა, რომლებიც ფასეულობებს აგზავნიან.

იმ შემთხვევაში, როცა უცხოეთში გადაგზავნილ საფოსტო ამანათებში აღმოჩნდება ჩადებული ასეთი ფასეულობანი, უნდა მოხდეს მათი კონფისკაცია და გადაეგზავნოს მოსკოვში სავალიუტო სამართველოს.

თბ. აღმასკომში

— **ტრამვაის რონოდების** გასაჩერებელ ადგილებზე ამ დღეებში შეუდგებიან ტრამვაით მოძრაობის წესების პლაკატების გაკვრას.

— **98 შრომის სკოლას** ეწოდა ამხ. იაკუბოვის სახელი.

— **საფუთო გადასახადი** რკ. გზის სამმართველოსთან შეთანხმებით შემოღებული იქნა ყა-

— **ბორჩალოს** აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს სოფ. გომარეთში გახსნას საკრედიტო ამხანაგობა.

მიწ. მოქმ. სახალხო კომისარიატში

— **გამოკვლევა.** მიწათ-მოქმ. სახ. კომისარიატმა მიავლინა სპეციალისტები კახეთისა და საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურებზე ქიმიურ და ბოტანიკურ სამუშაოთა ჩასატარებლად.

— **ტაბახმელის საშრატე** სადგურმა აგვისტოში დაამზადა 1510 ლიტრა ჭირის საწინააღმდეგო შრატი და ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატი—22,340.

— **ტყის კულტურა.** მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად მიწად-მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა მარელისის რაიონში გააშენოს წიფლის ტყეები.

შრომის სახალხო კომისარიატში

— **გამოკვლევა.** დამთავრდა სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ მუშათა შრომის პირობების გამოკვლევა ქუთაისის და შორაპნის მაზრებში.

— **შრომის ინსპექტორები.** მთელ საქართველოში ამჟამად მუშაობს სას.-სამეურნეო შრომის 6 ინსპექტორი.

— **ოქტომბერში** კომისარიატი იწვევს თათბირს შრომის დაცვის გაუმჯობესების შესახებ.

— **ჭიათურის მაღაროებში** საკავშირო შრ. კომისარიატის მიერ დანიშნულმა კომისიამ დაამთავრა შრომის პირობების გამოკვლევა.

— **ხარჯთ-აღრიცხვა.** კომისარიატმა უკვე შეადგინა 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

— **შრომის დაცვის** საკავშირო თათბირზე რომელიც შესდგება მოსკოვში 27 სექტ., საქართველოდან გაიგზავნა ამხ. გოგინაშვილი.

კოოპერაცია

— **20 სექტემბერს** დანიშნულია ა.-კ. კოოპერატივთა საბჭოს პლენუმი.

— ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი 21 სექტემბრისათვის იწვევს კოოპერატიულ თათბირს ა.-კ. მასშტაბით.

— **„სოფლის კავშირის"** საორგანიზაციო ბიურომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გასაჯანსაღებლად შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა 1.035.000 მან. რაოდენობით 1926—27 წლისათვის.

სახალხო განათლება

— **რკინისგზების** მუშათა ფაკულტეტზე მსურველთა განცხადებები მიიღება 14 სექტემბრამდე. 15 სექტ. დაიწყება მისაღები გამოცდები.

— **ჭრა-კერვის და ქუდების** სკოლაში დაიწყო მსურველთა ჩაწერა. უნდა მიმართონ: მუშათა სასახლე,(ოთახი 49). მიიღებიან ყველა კავშირის წევრები და დიასახლისები.

ზინოვიევის სახელობის პრაქტიკულ საანგარიშო ინსტიტუტში დაიწყება მისაღები ჩაწერა.

სხვადასხვა

— **პური მებამბეებს.** ბამბის მეურნეებს საქ. მებამბეობის კომიტეტი ამ თვეში დაურიგებს 35 ათას ფ. ხორბალს.

— **შრომის ბირჟიდან** აგვისტოში სამუშაოზე გაიგზავნა 1500 კაცი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ახალსენაკიდან—ბულბახის სახელოსნოს, ადგილობრივი—ნიკოგოსოვს, დრანდიდან—შურღაიას, მოსკოვიდან—მაგიდსონს, ბეშტაშენიდან—შმიდტს, პარიზიდან—ივანიცკის, ლახამულიდან—ივერიას, გაგრიდან—ეგოროვისას მოსკოვიდან—დოლიძეს, მოსკოვიდან—კულაშოვს, ქობულეთიდან—ჩაჩანიძეს, ნოვოროსსისკიდან—დევდარიანს.

შემთხვევები

აფერისტი მერაბიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიკრიკათ მსახურებდა შალვა ივანეს ძე **მერაბიშვილი.**

მერაბიშვილი უნივერსიტეტის და აგრეთვე სხვა დაწესებულებების თანამშრომლებს ართმევდა ფულებს თითქოს მათ სახელზე მოსულ ამანათების დასახსნელად—სინამდვილეში კი ფულებს ითვისებდა. ასე მაგალითად; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს ყირქესანიშვილს გამოართვა 7 მან. 50 კაპ. „ამანათების დასახსნელად"; სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ინჟინერ ვალიძეს დასტყუა 18 მანეთი.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა აფერისტი მერაბიშვილი დააპატიმრა.

სისხლის სამართლის მილიცია სთხოვს ყველა იმ პირებს, ვისაც კი მერაბიშვილმა ფულები დასტყუა გამოცხადდეს ოთახი № 11.

— **გამფლანგველი.** გუშინ შეიპყრეს 1000 მან. გამფლანგველი ხ. აგაიანი, 20 წლის.

— **ქურდობა.** სამხედრო ჰოსპიტალიდან მოიპარეს თეთრეულობა.

— ავლაბრის ქუჩა № 8 გაქურდეს გაიანე მენქელიანის ბინა.

— მე-40 შრ. სკოლის გამგეს სიმონ წერეთელს მოჰპარეს 200 მ. ოქროულობა.

— **ხანძარი.** გუშინ, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის გამზირი № 5 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც სასწრაფოთ იქნა ჩამქრალი ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ.

— **მკვლელობა.** სოფ. წინწყაროში ძმ. კონსოვებმა შურისძიების ნიადაგზე მოჰკლეს ა. მოსიევი ხანჯლით.

— **ქურდი შვილი.** 8 სექტ. სემიონოვის ქ. № 7 ანნა გერშოვის ბინა გაქურდა მისმა შვილმა იოსებ გერშოვმა და მიიმალა.

— **ფ.-ტ. მთავარ კანტორაში** მოქ. მანუჩაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 200 მან.

რკინის გზებზე

მარგანეცის ჩიხი

ჭიათურა-დარკვეთის შუა აშენებული მარგანეცის დასატვირთავი ჩიხი გაიხსნა ექსპლოატაციისათვის.

მატარებელი ვერ გააჩერეს

7 ენკენისთვეს სადგ. მიურაკ-ჩაიში მიდიოდა საქონლის მატარებელი, რომელიც მემანქანემ ვერ გააჩერა; მატარებელმა გაიარა სადგური და გასცილდა ისრებს 17 ვაგონით. დაზიანდა ორთქლმავალი. ხაზი დაიკეტა ერთი საათით. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ხაზი და ვაგონები არ დაზიანებულა.

ღერძის გატეხის გამო

8 ენკენისთვეს რუსთავ-გარდაბანის შუა, რუსთავიდან გაგზავნილ დაზიანებულ ცისტერნას გაუტყდა ღერძი და ცისტერნა გადავარდა ლიანდაგიდან. ამ შემთხვევამ გამოიწვია მოძრაობის შეწყვეტა და მთელი რიგ მატარებლების დაგვიანება.

კამეჩზე დაჯახება

8 ენკენისთვეს ევლახ-მალაის შუა, საქონლის მატარებელი დაეჯახა კამეჩს: ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ცისტერნა, რომელიც ამოიღეს კონდუქტორებმა და მემანქანეებმა. ამ შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების მოძრაობის შეჩერება 2 საათით. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ვაგონების და გზის დაზიანებას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლო

1344 მანეთის გაფლანგვა.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ **სიმონ ტყეშელაშვილს** მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ტყეშელაშვილს ბრალდება 1344 მანეთის და 94 კაპ. კოოპერატიული ფულების მითვისება და გაფლანგვა.

ბრალდებული ირიცხებოდა ქუთაისის მუშკოოპის ზედა-მაღლაკის მაღაზიის პასუხისმგებელ ნოქრათ.

აღნიშნული თანხა ტყეშელაშვილმა გაფლანგა 1925 წლის პირველ ოქტომბრიდან 1926 წლის 3 აპრილამდე.

სასამართლომ ტყეშელაშვილს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

მკვლელობა.

დასავლეთ საქართვ. ოლქის სასამართლომ **ვერმანე გერგოიანს** მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

გერგოიანს ბრალდებოდა მოქ. ჩარგაზ კუტშანის მოკვლის ცდა შურისძიების ნიადაგზე.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სიკორსკის ახალი ჰაეროპლანი

ცნობილმა რუსმა კონსტრუქტორმა **იგორ სიკორსკიმ,** რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში მუშაობს, ამერიკული გაზეთების ცნობით ააგო ახალი უზარმაზარი ჰაეროპლანი.

სექტემბრის შუა რიცხვებში ამ ჰაეროპლანით აპირებს გადაფრენას ნიუ-იორკიდან პარიზში.

ახალი საფრენი აპარატი არაჩვეულებრივად დიდია. ფრთების სიგრძე უდრის 105 ფუტს (15 საჟენს). მანქანას შეუძლია 500 ფუთი ბარგის წაღება, ე. ი. ორჯერ მეტის, ვიდრე თვით ჰაეროპლანი იწონის (ჰაეროპლანის წონა 200 ფ. არ აღემატება).

ჰაეროპლანზე დადგმულია 3 მოტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 1.400 ცხ. ძალას უდრის. საფრენ აპარატზე დადგმულია განსაკუთრებული მოწყობილობა, რომლის საშუალებით შეიძლება ჰაეროპლანის გასწორება ჰაერში, თუ ფრენის დროს რომელიმე მოტორი გაფუჭდა ან გაჩერდა.

ჰაეროპლანის აგება უკვე დამთავრებულია და ახლო ხანში მოხდება მისი საცდელი გაფრენა. ამჟამად ჰაეროპლანი იმყოფება სიკორსკის ანგარში ვესტბურიში (ლონგ-აილანდის შტატი) და მეთვალყურეობს პოლიციის გაძლიერებული რაზმი.

სიკორსკის აზრით, მისი ჰაეროპლანი მთელ მანძილს ნიუ-იორკიდან პარიზამდი გაივლის 32—35 საათის განმავლობაში. ამ ჰაეროპლანით გადაფრენაში მონაწილეობას მიიღებენ: მსოფლიოში ცნობილი ფრანგი მფრინავი კაპიტანი **ფონკი** და ამერიკელი მფრინავები.

ჰაეროპლანზე აღმართული იქნება საფრანგეთისა და შეერთებული შტატის დროშა. საფრანგეთის საჰაერო რაზმი გზაში შეხვდება ჰაეროპლანს.

ნარევი

29 დღეში—დედამიწის გარშემო.

ორმა ამერიკელმა—**ედუარდ ევანსმა,** პროფესიით ინჟინერმა, და ჟურნალისტმა **ლინტონ უელსმა** სცადეს შემოევლოთ დედამიწის გარშემო 30 დღეზე ნაკლებ დროის განმავლობაში. ეს მათი ცდა წარმატებით დამთავრდა.

მიმდინარე წლის 16 ივნისს ისინი გემით გაემგზავრენ **ნიუ-იორკიდან** ევროპაში და 22 ივნისს ჩავიდენ საფრანგეთის ნავთსადგურ **შერბურგში,** საიდანაც, მათ მიერ დაქირავებული ჰაეროპლანის დაზიანების გამო, ავტომობილით გაემგზავრენ პარიზში. **პარიზიდან** ისინი სპეციალურად დაკვეთილ ჰაეროპლანით ჩაფრინდენ **კიოლნში,** სადაც გადაჯდენ მეორე ჰაეროპლანში, რომლითაც ისინი ჩაფრინდენ **მაგდებურგში.**

მაგდებურგში ისინი, ცუდი ამინდის გამო, იძულებული შეიქნენ დაექირავებიათ ავტომობილი, რომლითაც გაემგზავრენ **ბერლინში,** სადაც ჩავიდენ 23 ივნისს ღამის 1-ლ საათზე და 42 წუთზე (ადგილობრივი დროით). იმავე ღამეს 2 საათზე და 35 წუთზე ისინი **კენიგსბერგით** გაფრინდენ **მოსკოვისაკენ,** სადაც დაეშვენ ნაშუადღევის 5 საათზე.

ღამის 2 საათზე ისინი სპეციალურად დაკვეთილ ჰაეროპლანით „ყველა ავიაქიმში", რომელსაც მართავდა მფრინავი **კოპილევი,** გაფრინდენ **ომსკისაკენ,** რომელიც მოსკოვიდან 2.400 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. გადაფრენა შესრულებული იქნა ბრწყინვალედ. მფრინავი კოპილევი 11 საათის განმავლობაში ფრენის შემდეგ რამოდენიმე საათით დაეშვა **კრასნოუფიმსკში** და შემდეგ განაგრძო ფრენა **კურგანამდე,** სადაც დაეშვა საღამოს 9 საათზე. ღამის 1-ლ საათზე და 45 წუთზე კოპილევი გაფრინდა კურგანიდან და დილის 6 საათსა და 15 წუთზე (დანიშნულ დროზე ერთი საათითა და 45 წუთით ადრე) **ომსკში** იყო. კოპილევმა გაუსწრო ციმბირის ჩქარ მატარებელს, რომელიც მოსკოვიდან გავიდა 22 ივნისს,—იმ დროს, როცა ევანსი და უელსი ჯერ კიდევ ბერლინში არ იყვენ ჩასული.

ომსკში მოგზაურები გადაჯდენ მატარებელში და გაემგზავრენ **ხარბინში,** სადაც მათ, ჩან-ძო-ლინთან წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, დაკვეთილი ჰყავდათ ჰაეროპლანი. რაღაც გაუგებრობის გამო ჩან-ძო-ლინმა მათ გაუგზავნა ერთ ადგილიანი ჰაეროპლანი, რომლითაც ევანსი გაფრინდა **მუკდენში.** უელსი კი ჩქარი მატარებლით გაემგზავრა **ანტუნგში,** იქ გადაჯდა მეორე მატარებელში, რომელმაც ის ჩაიყვანა **მუკდენში,** სადაც ჩაუსწრო ევანსს. აქედან ისინი ჩქარი მატარებლით გაემგზავრენ **ფუზანში** (კორეა). გზა მუკდენიდან ფუზანამდე მატარებელმა გაიარა არაჩვეულებრივი სისწრაფით—24 საათში 31 მაგიერ.

ფუზანიდან ისინი გემით გაემგზავრენ **შიმონოსეკში,** იქიდან კი—**იოკაგამაში,** სადაც მათ მიუსწრეს ამერიკაში მიმავალ გემს. გემით მათ გადასცურეს წყნარი ოკეანე და 12 ივლისს ჩავიდენ **ვიქტორიაში** (კანადა). აქედან ისინი გაფრინდენ **სიატლში,** იქიდან კი—**ნიუ-იორკისაკენ.** გზაში მათ გამოიცვალეს რამდენიმე ჰაეროპლანი, სანამ 14 ივლისს არ ჩავიდენ **ნიუ-იორკში.**

სულ თავის მოგზაურობისათვის მათ მოუნდათ 28 დღე, 14 საათი, 36 წუთი და 51 წამი. ამრიგათ მათ დაამყარეს დედამიწის გარშემო მოგზაურობის ახალი რეკორდი, რომელიც 7 დღით ნაკლებია იმ დროსთან შედარებით, რომელიც ამერიკელმა **მირსმა** მოანდომა 1913 წ. დედამიწის გარშემო მოგზაურობას (35 დღე, 21 საათი, 35 წუთი და 45 წამი).

გავლილი გზიდან 10.000 კილომეტრი მათ გაიარეს ჰაეროპლანით, 12.900 კილომეტრი—გემით, 6.600—მატარებლით, ან ავტომობილით. არახელსაყრელი ამინდის გამო მათ იმდენათ ვერ გამოიყენეს ჰაეროპლანი, როგორც განზრახული ჰქონდათ და ამიტომ მოგზაურობაზე ცოტა მეტი დრო დაეკარგათ.

ევანსზე და უელსზე ადრე მირსისათვის პირველობის წართმევას შეეცადა ამერიკელი ჟურნალისტი **ჯონ გოლდშტრომი,** რომელიც მიმდინარე წლის 19 მაისს გაემგზავრა ნიუ-იორკიდან და 26 მაისს ჩავიდა მოსკოვში. მოსკოვიდან იგი მატარებლით გაემგზავრა ჩიტაში, საიდანაც აპირებდა გაფრენას იაპონიის ჰაეროპლანით, მაგრამ ჰაეროპლანი იქ არ დახვდა და გოლშტრომმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა სამაზრო არქივის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებული იქნეს შემდეგი დებულება სამაზრო არქივის ბიუროს შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**ს. თოდრია.**

1926 წლ. სექტემბრის 1

დებულება

სამაზრო არქივის ბიუროსათვის

1. მთელი საარქივო მასალა, რაც მაზრის ფარგლებშია და რაც ამავე დროს არის ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის ნაწილი, შეადგენს მაზრის საარქივო ფონდს.
2. სამაზრო არქივის ფონდის უშუალო გამგებლობა დაეკისრება სამაზრო არქივის ბიუროს.
3. სამაზრო არქივის ბიუროს გამგეს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური არქივის დირექტორთან შეთანხმებით.
4. საარქივო საქმის საკითხებში სამაზრო არქივის ბიურო ემორჩილება ცენტრალური არქივის დირექტივებს და მაზრის საარქივო ფონდიდან ცნობების და ასლების გაცემის დარგში ასრულებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დავალებას.
5. სამაზრო არქივის ბიუროს შესანახი ხარჯი შეიტანება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხარჯთაღრიცხვაში დადგენილი წესისამებრ.
6. სამაზრო არქივის ბიუროს დაეკისრება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მაზრის საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საარქივო ნაწილის დაყენების საქმეს.
7. თავის მოქმედების შესახებ სამაზრო არქივის ბიურო ყოველთვე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ არქივს.
8. არქივის ბიუროს შეუძლიან გამოიყენოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ტეხნიკური აპარატი.
9. მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბ. რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ამა დებულების შესაფერი სათანადო დებულებანი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

დატვირთვის პროცენტები ართმევენ თუ არა მუშა-მოსამსახურეთ დასვენების დღის მიღების უფლებას?

კითხვა.

ჩვენ ვმუშაობდით „ზაჰესი"-ს პირველ უბნის სასადილოში—უფროსი მზარეულის თანაშემწე გოროდეზიანი, ფოფხაძე, ოსიპოვი, კოკოშვილი; ვმუშაობდით დილის 6 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ხანდახან გვიხდებოდა მუშაობა საღამოს 7—8 საათამდეც. არ გვქონია არც ერთი გამოსასვლელი დღე, განუწყვეტლივ ვმუშაობდით კვირა-უქმე დღეებსაც. ადმინისტრაციას ნათქვამი ჰქონდა ჩვენთვის, რომ კვირა-უქმე დღეებისა მოგვეცემოდა. ეხლა კი იგი უარს გვეუბნება. გთხოვთ ახსნა-განმარტებას,—დატვირთვის 30 პროცენტის ჯილდო ავალდებულებს თუ არა მუშა-მოსამსახურეთ იმუშაონ კვირა-უქმე დღეებშიც დაუსვენებლად და უსასყიდლოდ?

მუშები:გოროდეზიანი, ვ. ოსიპოვი, ვ. ფოფხაძე და ს. კოკიშვილი.

პასუხი.

საერთო წესით დატვირთვის პროცენტები ეძლევათ მხოლოდ პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა კოოპერატიულ და სამეურნეო დარგის მომუშავეთ, რომელთა სამუშაო საათების აღრიცხვა, განსაზღვრა შეუძლებელი ხდება იმ თანამდებობათა მიხედვით, რომელნიც მათ უჭირავთ (იხ. ამიერ-კავკ. 1922 წ. 29 აგვისტოს დადგენილება № 1-ის მუხ. 4). მისივე დადგენილება № 68 1924 წ. 14 მარტიდან და მესამე დადგენილება № 53 1925 წ. 31 ივლისიდან). ტეხნიკურ, განსაკუთრებულ ხელობის მომუშავეთ, როგორიც არიან, მაგ., სხვადასხვა პროფესიის სპეცები,—შრომის ხელფასი ეძლევათ სპეცგანაკვეთის სახით (თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს 1922 წ. 24 აპრილის დადგენილება № 26-ის, ა.-კ. უ. ე. კ. საბ. დადგენილება № 73 1925 წ. 30 ოქტომბრიდან, საქართველოს შრომის სახკომატის 1924 წ. 7 ოქტომბრის დადგენილება № 6 და მისივე განმარტება 1924 წ. 15 ოქტომბრიდან—მისივე ცირკულიარი № 7 1925 წ. 11 ნოემბრიდან). ყველა ზემოაღნიშნული მომუშავენი (პასუხისმგებელნი და სპეცგანაკვეთიანები) ზედმეტი საათების მუშაობისათვის ცალკე ჯილდოს არ იღებენ, რადგანაც მათ განაკვეთში ასეთი ჯილდო უკვე წინასწარ განსაზღვრული და გათვალისწინებულია. ყველა ტეხნიკურ მომუშავეთ კი ზედმეტი საათების მუშაობისათვის ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდო, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 60-ისა. დასასვენებელი ყოველკვირეული ერთი დღე, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 109-ისა, უნდა მიეცეს ყველა პროფესიის და ხელობის (დაქირავებითი შრომის) მომუშავეთ, მიუხედავად იმისა, ეძლევათ მათ პასუხისმგებელ მუშაკთა, ან სპეცგანაკვეთი დატვირთვის წესით შრომის ხელფასი, თუ არა. დატვირთვის პროცენტები სრულებით არ უსპობენ მომუშავეთ ყოველკვირეული ერთი დასასვენებელი დღის მიღების უფლებას; ასეთი წესები სავსებით ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას და ყოვლად მიუღებელია.

მეკუთნის თუ არა პენსი და ვის უნდა მივმართო?

კითხვა

1912 წ. გარდამიცვალა ქმარი, რომელიც მსახურობდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად 1888 წ.—1906 წლამდე და დათხოვნილი იქნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო. სიკვდილის შემდეგ მას დარჩა 4 ობოლი. ვაივაგლახით ყველა ესენი გავზარდე და ეხლა ყველაზე უმცროსი 18 წლისაა. მე თვითონ ავადმყოფი ვარ და შრომის უნარ-მოკლებული (60 წლის). საცხოვრებელი არა გამაჩნია რა არც მე და არც ჩემს შვილებს. მაქვს მხოლოდ ნახევარი ქცევა მიწა და ერთი სახლი.

გთხოვთ განმიმარტოთ, მერგება თუ არა პენსია და ვის უნდა მივმართო და როგორ უნდა მოვიქცე ამ შემთხვევაში?

ქვრივი მართა თევზაძისა.

პასუხი

ყოველგვარი ის შუამდგომლობანი და მოთხოვნილებანი პენსიის დანიშვნის შესახებ (სოც დაზღვევის წესით), რომელნიც არ იქნენ წარდგენილი სოცდაზღვევის ორგანოებში ა.-კ. შრომის სახკომატის 1924 წ. 17 ივნისის ცირკულიარი № 119-ის გამოქვეყნებამდის ითვლებიან ძალა დაკარგულად და არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი. პენსიის დანიშვნის შესახებ მოთხოვნები სოცდ. ორგანოს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს ორი წლისა ოჯახის მარჩენალის, (დაზღვეულის) სიკვდილის პირველ დღიდან. (იხ. საკავშირო საბ. რეს. ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 14 მაისის დადგენილება. გამოქვეყ. გაზ. „ზარია ვოსტოკა" № 1198-ში).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 10 სექტემბერს, დილის სრულ 8 საათზე შესდგება საქ. კომპარტ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მიმღებ კომისიის სხდომა.

საჭიროა დაუგვიანებლად გამოცხადდნენ ამხ. ინაური, ჟუკოვი და ენუქიძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო აცხადებს ცალკე უჯრედთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 10 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა დახურული კრება.

დღის წესრიგში: მოხსენება ამხ. ფილიპე მახარაძისა—საკავშირო კ. პ. ც. კ. ივლისის პლენუმის რეზოლიუციების შესახებ.

დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, 10 სექტემბერს, დღის 2 საათზე შესდგება საქართველოს ახალგაზრ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

საკონფლიქტო კომისიის წევრთა და აგრეთვე შემდეგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: სარქისოვი აბრამი, ხმალაძე გიორგი იროდიონისძე, ლენევი მიხეილი, ვოზნია იულია, ქიტუაშვილი ივანე, ხითარიშვილი ივანე, იაროვი გიორგი, მესხიძე ფილიპე, მეტყავეთა უჯრედის მდივანი (მე-4-ე რაიონი): ტატიანა ფარაზენი და ფედოროვიჩი ნიკოლოზ.

— საქ. კომ. პარტ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-2 რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, 10 სექტემბერს, საუჯრედო კრებები ჩატარდება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

1. ტრამვაის უჯრედი (სამოძრაო ნაწილი)—ტრამვაელთა კლუბში, დილის 8 საათზე, მომხსენებელი ამხ. გეურქოვი; 2. ტრამვაის უჯრედი (სახელოსნოები)—იქვე, საღამოს 6 საათზე, მომხსენებელი ამხ. ყურულიშვილი; 3. 26 კომუნარის სახელობის ქარხნის, სპილენძის ქარხნის და სარემონტო-მექანიკურ ქარხნის უჯრედი—26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, საღამოს 6 სათზე, მომხსენებელი ამხ. რატნეკი, 4. არსენალის უჯრედი—არსენალში, დღის 2 საათზე, მომხსენებლი ამხ. მაშკევიჩი; 5. რ. ლიუქსემბურგის სახელ. ფაბრიკის უჯრედი—ფაბრიკაში, დღის 2 საათზე, მოხსენებელი ამხ. გრიშჩენკო; 6. ფაბრიკა „პროლეტარი"-ს უჯრედი—ფაბრიკაში, დღის 2 საათზე, მომხს. ამხ. გუსეინოვი, 7. კოლოფების ფაბრიკის უჯრედი—ფაბრიკაში, ნაშუადღევის 3 საათზე, მომხს. ამხ. სოხიანი; 8. „ზაკავტოპრომტორგ"-ის და ხეტყის სახერხი ქარხნების უჯრედი—ავტოკლუბში, საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. გავრილოვი; 9. 1-ლ, მე-2 ელსადგურების, თბილისის ელექ. სამართველოს და ტრამვაის ცენტრ. ელსადგურის უჯრედი—რაიკომში (პლეხან. გამზირი, 96), საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. სტელმახი; 10. მუშკოოპის უჯრედი—მუშკოოპის კლუბში (ეორ. ქ.) საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. ერისთავი; 11. წყალსადენის სახელოსნოების უჯრედი—წყალსადენის სახელოსნოებში, საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. ლოლობერიძე; 12. „გრუზშვეიპრომის", შინა-მუშათა, ოღმშენებელთა და მკერავთა კოლექტივის უჯრედი—მკერავთა კლუბში (დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა ყოფ. კლუბი), საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. შავერდოვისა; 13. სანიტარულ-ტეხნიკურ მუშათა და მტვირთველთა უჯრედი—სანტეხის შენობაში (მადათოვის კუნძული), საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. რახმანი; 14. კინო-ფაბრიკისა და „გრუზგოსსპირტი"-ს უჯრედი—„გოსსპირტი"-ს ლუდის სახელ ქარხანაში (კამოს ქ. 6), საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. მარიამიძე; 15. კინო-მუშაკთა უჯრედი—კინო „არფასტოს" შენობაში, დილის 10 საათზე, მომხს. ამხ. რონზანი; 16. ა.-კ. კოოპ. კავშირის, ცეკავშირის, საბაჟოთა სამმართველოს, სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს და დამზღვევ სალაროს უჯრედი—ცეკავშირის შენობაში (შტაბის ქ., 4), საღამოს 6 საათზე, მომხს. ამხ. აკოფოვი; 17. ჯანსახკომის მთავარ საავადმყოფოს და სახმედვაჭრობის უჯრედი—სანგანათლების კლუბში (ევანგულოვის ქ.), საღ. 6 საათზე, მომხს. ამხ. ბეჟანოვი; 18. მე-3 საქარხნო კომიტეტის და შინა-მრეწველთა უჯრედი—საქარხნო კომიტეტ. ბინაზე (პლეხან. გამზ., 125), საღ. 6 საათ., მომხს. ამხ. ტამჩიევი; 19. საქ. სახ. ვაჭრ. და პურის მცხობთა უჯრედი—პურის მცხობთა შენობაში (წისქვილ. შეს., 2), საღ. 6 ს., მომხს. ამხ. პოლოსოვი.

შალიკო და თამარა ტაბიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს
და ამხანაგებს თავისი საყვარელი შვილის
ვილიამის
უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში. ნ. 1756

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—6

უკანასკნელი დღე
სეზონის საუკეთესო კომედია
„სიყვარულის გამარჯვება"
ანონსი: დიდი სურათი
„დოროტი ვერნონ"
მერი პიკთორდის მონაწ.

პირველ ეკრანათ
ფრანგული საინტერესო კინო-სურათი
„მანდრენ" 1 და 2 სერია ერთად
უამინდობის გამო, სურათი გადატანილი იქნება „არფასტო"ში

2 ოთახი
სასახლის ქუჩაზე, მზიანი, ნათელი და მოხერხებული მინდა
გადავცვალო
2 ოთახზე 1-ლ და მე-2 რაიონში. იკითხეთ „კომუნისტის" კანტორაში, რუსთველის 34.
3549 3—2 ზ. ბ—ასთან.

წყლებით სამკურნალო
(ბაზრის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სასრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისაგან
„კომუნისტ"-ზე და „ახალ სოფელ"-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება
შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**—მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ესტატე შიშნიაშვილთან.**

0—1
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოდ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს
დღის 12 საათზე აღმასკომის 1-ლი საბჭოთა სახლის
(სასახლის სასტუმროს) შენობაში დანიშნულია,
საჯარო ვაჭრობა
რომელზედაც გაიცემა პირველი ხარისხის ბუფეტი ყოველივე თავისი მოწყობილობით. დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ამავე სასტუმროს კანტორაში საღამოს 8—10 საათ. პუშკინის ქ. № 4 ტელ. № 9—13 და 5—12. ნ. 1742 3—3

კონტრაგენტების საყურადღებოდ
გაზ. „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა
აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 15 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი.

თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.

7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ 14 სექტემბერს 12 საათზე, პლეხანოვის პროსპექტზე, სახლი № 65, მოხდება საჯარო ვაჭრობა სასოფლო სამეურნეო ნივთების, პოლიტიკური ლიტერატურისა და სხვების „იზვესტიას", და „პრავდას", „ბედნოტას" და „ტრუდის" გამომცემლობათა ამიერ-კავკასიის განყოფილების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ეს ნივთები აწერილია გამომცემლობა „ახალი სოფლის" ვალში, რომელიც შეფასებულია ნომინალური ღირებულების 3 პროც. ე. ი. 361 მანეთად და 40 კაპ.

ქ. თბილისის 2-რე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი
ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს, 1926 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 21 სოლომონის ქუჩაზე. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი მურალოვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 154 მანეთად, საქ-სახელმწიფო საპაიო ვაჭრობის სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 12 სექტემბერს 1925 წ. თარიღით, № 3297 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3597

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი
აცხადებს, რომ 14 სექტემბერს, 1 საათზე, მატერიალურ ქუჩაზე, იობაშვილის სახლში. № 18, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ილია იობამილაის ორ სართულიანი სახლის ერთი მეოთხედი ნაწილი, მთელი სახლში მოთავსებულია 15 ოთახი და 3 სამზარეულო. აღნიშნული სახლის ერთი მეოთხედი შეფასებულია 1000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია საზოგადოება „კახეთი"-ს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ საერთო ჯამით 1723 მან. და 23 კაპ. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 100 მან. 3608

ექიმი **მ. ოლ. ზანდუკელი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე
ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
ტელეფ. № 4—82.
3574

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. გ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 31—63. 25—1

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ყლაპის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23,
25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
348 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
ხიილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი მელიტონ არჯევანიძის სახელზე, ჩ. გ. 3 96

დაიკარგა მატრიკული წიგნაკი, გაცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გიორგი კოპაძის სახელზე, ჩ. გ. უ.

დაიკარგა მოწმობა ქალაქ ხონის ცხრაწლედის შრომის სკოლის მერვე ჯგუფის კურსის გავლისა, ლიდა გეგიას სახელზე, ჩ. გ. 3613

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 75 აბრამ ონისიმესძე გოგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3606

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, გაცემული სურების რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ, ილია ბარამიძის სახელზე, ჩ. გ. 3605

დაიკარგა წიგნაკი მონადირეთა კავშირის № 1233 გ. ბენდუქიძეს სახელზე, ჩ. გ. 3604

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული სახელმწიფო უნივერს. მიერ, თამარი იოსების ასული დარახველიძის სახელზე, ჩ. გ. 3601

დაიკარგა 4 წლედის გათავების მოწმობა № 52 გაცემული წნოსირის პედაგოგიურ საბჭოდან ნინა ფაჩულიას სახელზე, ჩ. გ. 3599

დაიკარგა ოზურგეთის მუშაკთა განათლების კავშირის წიგნაკი № 7883 ნინო ალე სის ასული გრგუაძეს სახელზე, ჩ. გ. 3595

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1931 სონა არტემას ასული ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. 3594

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 8229, გაცემული ოზ. გან. მუშ. კავშირიდან და პირადი საქმეები, პარტ-კანდიდობის და ა.ლ.კ.კ. წევრობის, გაცემული გურიის სამაზრო კომიტეტიდან შაქრო სიბიტოსძე კვინტრაძის სახელზე, ჩ. გ. 3607

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა მაგდანელა პეტრეს ასული იორგაძის სახელზე, ჩ. გ. 3612

დაიკარგა განქორწინების ქაღალდი, მიღებული მე-7-დე უბნიდან კარაპეტი გიორგისძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 3609

დაიკარგა საშუალოს დამთავრების მოწმობა, მოცემული ქ. ზესტაფონის ცხრა-წლედის ვერა გრიგოლ ქოჩეჩაშვილის ასულის სახელზე, ჩ. გ. 3610

დაიკარგა პირადი წიგნაკი, გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ № 82, გრიგორი ინოროყვას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1786

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ბიქტორ ანტონის-ძე ფაილოძის სახელზე № 11586, ჩ. გ. 3611

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68